


ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი

შალვა გიუაშვილი
გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადება საქართველოში –
დიაგნოსტიკის და ქირურგიული მკურნალობის თანამედროვე
ასპექტები.

დისერტაცია
მედიცინის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად
(მულტიცენტრული, რეტროსპექტული კვლევა)

სამეცნიერო სელმძღვანელი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი მერაბ ა. კილაძე



თბილისი 2014 წ.

წინასიტყვაობა

დიდ მადლობას გუხდი პროფესორ მერაბ ა. კილაძეს დისერტაციის ხელმძღვანელობისთვის, უანგაროდ სწავლისთვის, ზრუნვისთვის, იმისთვის რომ, მისი დოქტორანტი და გუნდის წევრი ვარ – ეს ჩემთვის დიდი პატივია. ვინატრებდი საქართველოს უმრავლოს დმერთმა ისეთი პროფესორ - მასწავლებლები, როგორიც ბატონი მერაბ კილაძეა, რომელიც ესე თავდადებით ზრუნავს მომავალ თაობაზე და დიდ კვალს ამჩნევს საქართველოს და არა მარტო საქართველოს ქირურგიას.

აგრეთვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, უნივერსიტეტის რექტორს ლადო პაპავას, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს ალექსანდრე ცისკარიძეს, პროფესორ დიმიტრი კორძაიას, პროფესორ - მასწავლებლებს, მოწვეულ სპეციალისტებს და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს, მათი წყალობით ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და დამსახურობით სამეცნიერო მუშაობისთვის საუკეთესო გარემო.

მინდა მადლობა გადავუხადო პროფესორ ვ. ვ. გრუბნიკს და ქ. ოდესის № 1 ქირურგიის კათედრის მთელ შემადგენლობას, სადაც გამიჩნდა აზრი დამგრება დისერტაცია გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების ირგვლივ და მათი მხარდაჭერით გავეცანი ამ დაავადებით დაავადებულ 1500-ზე მეტ პაციენტს. ქ. ოდესის საოლქო საავადმყოფოში გატარებული კლინიკური - ორდინატურის 2 წელიწადი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იყო.

აგრეთვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო შ.კ.ს. “გორმედის” ადმინისტრაციას, ქირურგიულ განყოფილებას, ყველა სამედიცინო პერსონალს, პროფესორ გურამ გვასალიას, ბატონ ჭიმშერ ყველაშვილს და ბატონ ნუგზარ ქარელს ყოველდღიური მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პროფესორ მერაბ მ. კილაძეს და თორაკო-აბდომინალურ კლინიკას, სადაც საშუალება მომეცა გამომევლინა საქართველოში გერდის გამო ლაპაროსკოპიულად ნაოპერაციებ პაციენტებში შორეული რეზულტატები და მათ გამოცდილებას მნიშვნელოვანი როლი უკავია სადისერტაციო ნაშრომში.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პროფესორ პ. პ. ფუქს (ფრანკფურტი, გერმანია) და პროფესორ მ. მიხალიკს (ვენეროვო, პოლონეთი), რომელთაგანაც მომეცა საშუალება გავცნობოდი გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების

დიაგნოსტირების თანამედროვე მეთოდებს და მცირე ინგაზიური ქირურგიული მკურნალობის ევროპულ მიდგომებს და ჩემთვის დიდი გამოცდილებაა მათ გვერდში მუშაობა და მათ კლინიკებში პრაქტიკის გავლა.

მადლობას ვუხდი გია აგოიანს დისერტაციის კომპიუტერული გაფორმებისთვის.

და ბოლოს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მშობლებს ყოველიმხრივი მხარდაჭერისთვის რათა შემექმნა სადისერტაციო ნაშრომი, მადლობას ვუხდი ჩემს დაძმას, საყვარელ ადამიანს, ნათესავებს, მეგობრებს მოთმინებისა და თანადგომისთვის.

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ჩემს ოჯახს
პატივისცემით შალვა გიუაშვილი

პუბლიკაციები:

1. Киладзе М.А. Гиуашвили Ш.Т. Современные аспекты хирургического лечения гастроэзофагеальной рефлюксной болезни: наш опыт и обзор литературы // Georgian Medical News - ISSN 1512-0112 – Октябрь 2011 № 10 (199) – С. 7-13.
2. Грубник В.В., Малиновский А.В., Киладзе М.А., Гиуашвили Ш.Т. Анализ отдаленных результатов 1500 лапароскопических антирефлюксных операций //Український журнал малоінвазивної та ендоскопічної хірургії – ISSN 1029 – 743X – Київ - 2010 г. - Volume 14 No 4. – С. 28 – 35.
3. Грубник В.В., Киладзе М.А., Малиновский А.В., Гиуашвили Ш.Т. Роль селективной проксимальной ваготомии при лапароскопической фундопликаций по Тупе // - ISSN 1025 – 7209 – МедиаСфера – Эндоскопическая хирургия - Москва – 2011г. Том 17 № 3. С. 24-27.
4. Kiladze M.A., Giuashvili S.T., Kiladze M.M., Elgandashvili D.V., A comparative study of laparoscopic and open Nissen fundoplication for GERD in Georgia // - ANNALI ITALIANI DI CHIRURGIA - Rome – ISSN 2239-353X – Impact Factor – 0,683 - in Press 2014 - n° 2147.
5. Киладзе М.А., Гиуашвили Ш.Т., Херодинашвили Г.И., Чикобава Г.И., Элисабегашвили Г.В. Модифицированная “ открытая ” фундопликация по Ниссену хирургическом лечении ГЭРБ: Ретроспективное исследование // - Материалы Съезда Хирургов Российской Федерации, 25 – 27 мая 2011г., Волгоград, с. 161
6. Kiladze M., Lominadze N., Gvenetadze T., Giuashvili S., Gobgaidze G. Hiatal hernia repair by modified open Nissen fundoplication with excellent long-term outcomes // Springer – The World Journal of Hernia and Abdominal Wall Surgery – Abstract Book – New York, USA Volume 16, Supplement 1, March 2012

მოხსენებები:

1. უკრაინის სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია – ვიდეოენდოსკოპიური მეთოდებით ქირურგიული პათოლოგიების მკურნალობა – 14 ოქტომბერი 2010წ. ტერნოპოლი - სელექტიური პროქსიმალური ვაგოტომიის როლი დაპარასკოპიული ტუპეს ფუნდოპლიკაციის დროს.
2. მედიკოსთა XXIX საერთაშორისო სკოლა – კონფერენცია – თანამედროვე კლინიკური და ექსპერიმენტალური მედიცინა, მიღწვები და უახლესი ტექნოლოგიები – 4 მარტი 2011 წ. ბაკურიანი – გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების ქირურგიული მკურნალობის თანამედროვე ასპექტები.
3. მაღალტექნოლოგიური მედიცინა, შესაძლებლობები და პერსპექტივები – 17 ივნისი 2011წ. თბილისი - გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადება საქართველოში: კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის თანამედროვე მიღგომები.
4. MMESA მე-14 and GAMIS მე-2 საერთაშორისო კონგრესი – თავისუფალი სესია – 24 სექტემბერი 2014 წ. თბილისი – გერდ-ი საქართველოში – ეპიდემიოლოგია, დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე ასპექტები.

სარჩევი

| | |
|---|----|
| შესავალი | 5 |
| 1.1 პრობლემის აქტუალობა | 6 |
| 1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები | 8 |
| 1.3 მეცნიერული სიახლე | 10 |
| 1.4 პრაქტიკული ღირებულება | 11 |
| 2 ლიტერატურული მიმოხილვა | 12 |
| 2.1 ისტორიული ექსკურსი | 12 |
| 2.2 გერდ-ის ეტიოლოგია და პათოგენეზი | 14 |
| 2.3 გერდ-ის სიმპტომატიკა | 21 |
| 2.4 გერდ-ის გართულებები | 25 |
| 2.5 დიაგნოსტიკის მეთოდები | 27 |
| 2.6 გერდ-ის კონსერვატიული მკურნალობა | 40 |
| 2.7 გერდ-ის ქირურგიული მკურნალობა | 43 |
| 2.8. ანტირეფლუქსური ოპერაციების გართულებები | 45 |
| 3 კლინიკური მასალა და მეთოდები | 47 |
| 3.1 კვლევის დიზაინი | 48 |
| 3.2 გასტროეზოფაგური რეფლუქსური დაავადების კლინიკური გამოვლინება | 51 |
| 3.3 რენტგენოლოგიური კვლევა | 54 |
| 3.4 ენდოსკოპიური კვლევა | 55 |
| 3.5 ჰისტოლოგიური კვლევა | 56 |
| 3.6 ენდოსკოპიური ერთჯერადი pH – მეტრია | 57 |
| 4 ოპერაციული მკურნალობა | 58 |
| 4.1 ნისენის ფუნდოპლიკაცია ღია წესით | 59 |
| 4.2 ნისენის ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაცია | 65 |
| 5 შედეგების ანალიზი | 71 |
| 5.1 კლინიკური ჯგუფების დახასიათება | 74 |
| 5.2 ღია წესით ფუნდოპლიკაციის შედეგები | 76 |
| 5.3 ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაციის შედეგები | 78 |
| დისკუსია | 81 |
| დასკვნა | 87 |
| ლიტერატურის ჩამონათვალი | 88 |

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება სოციალურ-ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სხვა უარყოფით ფაქტორებთან ასოცირებული ფუნქციური თუ ორგანული პათოლოგიების ოდენობის მატება. საჭმლის მომნელებელი სისტემა ამ უარყოფითი ფაქტორების პრიორიტეტული სამიზნეა. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციური პათოლოგიები ცალკე ნოზოლოგიურ ჯგუფებად ჩამოყალიბდა მკაფიო კრიტერიუმებით (რომის კრიტერიუმები 2006წ.). ამ დაავადებებს შორის, გავრცელების და გართულებების სისტემის მიხედით, ერთ-ერთი წამყვანი როლი უკავია გასტრო ეზოფაგურ რეფლუქსურ დაავადებას (გერდ).

საქართველოში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური სიტაცუაციიდან გამომდინარე გერდი საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული. ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სადიაგნოზო გამოკვლევების სპეციალის გაფართოების შედეგად ამ დაავადების გამოვლინების მაჩვენებელიც გაიზარდა და აშკარა გახდა, რომ ეს პათოლოგია და მასთან შეუდლებული გართულებები ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს (1).

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია გერდით დაავადებულ პაციენტთა ექიმთან მიმართვიანობა, თითქმის არ არსებობს საყლაპავის ფუნქციური სადიაგნოსტიკო საშუალებები (საყლაპავის მანომეტრია, 24 საათიანი pH-მონიტორინგი), დაბალია ზოგადი პროფილის ექიმების კომპეტენტურობა გერდის არსის, დიაგნოსტიკის, გართულებების და მკურნალობის დარგში, რის გამოც ამ დაავადების გამოვლინების სისტემე შეზღუდულია. ხშირია აზრთა სხვაობა გასტროენტეროლოგებს და ქირურგებს შორის გერდის დიაგნოსტიკასა და მკურნალობის ტაქტიკის საკითხებში, ხშირია დაუსაბუთებლად ხანგრძლივი კონსერვატიული მკურნალობა უშედეგობის პირობებშიც კი. დღესდღეობით ცნობილია რომ, კონსრვატიულ მიდგომას, რასაც ბოლო დრომდე წამყვანი ადგილი ეპავა გერდის მკურნალობაში, ახასიათებს შედარებით დაბალი ეფექტურობა, რაც გამოხატულია ამ დაავადების ხშირი რეციდივების არსებობით.

ბოლო წლებში ინტენსიურად ვითარდება გერდის მკურნალობის ქირურგიული მეთოდები, იხვეწება ლია და ლაპაროსკოპიული ანტირეფლუქსური ოპერაციების ტექნიკა, მუშავდება ფუნდოპლიკაციის სხვადასხვა მოდიფიკაციები, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში გერდის მკურნალობის ოქროს სტანდარტათ იქცა.

1.5 პრობლემის აქტუალობა

გასტროენტოროლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადება (გერდი). ბოლო წლებში წყლულოვანი დაავადების სიხშირის დაჭვებით და გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადებით დაავადებული პაციენტების ოცხვის მკვეთრმა ზრდამ, მისცა საბაბი ბირმინგემში 1997 წელს, გასტროენტეროლოგთა მუნიციპალურ კვირეულზე თამამად წარმოთქულიყო შემდეგი სლოგანი „XX საუკუნე წყლულოვანი დაავადების საუკუნეა, ხოლო XXI – გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების“ (1).

გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადება საყლაპავის ფუნქციის დარღვევით გამოწვეულ დაავადებათა 75 %-ს შეადგენს (3,19). გასტრო ეზოფაგური რეფლუქსი საყლაპავში კუჭის შიგთავსის რეტროგრადული დენაა, ხოლო გერდი ქრონიკული დაავადებაა, გამოწვეული გასტროეზოფაგური ან დუოდენოგასტროეზოფაგური რეფლუქსით და 80% შემთხვევაში ასოცირებულია საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრთან (1,19,20,21). მას ახასიათებს მულტიფაქტორული მოშლილობა ფართო სპექტრის სიმპტომოკომპლექსით და გართულებებით, როგორიცაა: რეფლუქს-ეზოფაგიტი, საყლაპავის პეპტიკური წყლული, საყლაპავის პეპტიკური სტრიქტურა, ბარეტის საყლაპავი, სისხლდენა, ანემია, ადენოკარცინომა; ექსტრაეზოფაგური გართულებები: ფილტვების ქრონიკული დაავადებები, ბრონქიული ასთმა, რეფლექტორული სტენოკარდია, არითმიის რამოდენიმე სახეობა, ლარინგიტი, ფარინგიტი, ოტიტი და ა.შ., რომლებიც პაციენტის ჯამრთელობის ხარისხს მკვეთრად აქვეითებს.

ბოლო წლებში გერდის აქტუალობა კიდევ უფრო მატულობს განსაკუთრებით განვითერებულ ქვეყნებში, რაც განპირობებულია რაფინირებული პროდუქტების მოხმარების ზრდით, მაგნე ჩვევებით (სიგარეტი, ალკოჰოლი, ყავა, გაზირებული სასმელები), არასწორი კვებით, სიმსუქნითა და მოსახლეობის მაღალ ფსიქო-ემოციური დატვირთვით.

გერდის გავრცელება მსოფლიო პოპულაციაში მერყეობს 7–40 %-ს შორის (1,6,19), განვითარებულ ქვეყნებში გერდის გავრცელება 40 %-ს აღემატება, როდესაც აფრიკულ და აზიურ ქვეყნებში 1–5%-ს შეადგენს, მისი გავრცელება დიდ ბრიტანეთში 23%-ია, ამერიკის შეერთებულ შტატებში – 16 %, ნორვეგიაში – 15 %, იაპონიაში – 4%, სენეგალში – 0,5% (19). სადათ არაა ის ფაქტი რომ, გერდის

გავრცელების მაჩვენებლების ასეთი მაღალი ციფრები განპირობებულია ამ დაავადების გამოვლენის შესაძლებლობებზე, რაც რა თქმა უნდა გაცილებით მაღალია განვითარებულ ქვეყნებში. გერდ-ის დიაგნოსტიკის სირთულე აიხსნება ამ დაავადების კლინიკური გამოვლინებების მრავალფეროვნებითა და ძვირადღირებული თანამედროვე სადიაგნოსტიკო აღჭურვილობების აუცილებლობით. ცნობილია, რომ გერდ-ის პირველადი და მეორადი მართვა საკმაოდ ძვირად დირებულია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ დაავადების მართვა წელიწადში 9 მილიარდ დოლარზე მეტი ჯდება.

გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების გავრცელების უპეტესი წარმოდგენის მიზნით დონალდ კასტელმა (1985წ.) შემოგვთავაზა „აისბერგის“ კონცეპცია. აისბერგის მსგავსად, დიდი ნაწილი რომელიც წყლის ქვეშაა, არიან პაციენტები დაავადებული გერდ-ით, რომელიც მკურნალობენ ექიმთან ვიზიტის გარეშე, თავისთავად და არარეგულარულად, (ე.წ. „სატელეფონო რეფლუქსი“); შუა – წყალზედა ნაწილი, მსაგვსად აისბერგისა – არიან პაციენტები დაავადებული გერდ-ით, გამოხატული რეფლუქს-ეზოფაგიტით, რომლებიც იძულებული არიან ჩაიტარონ მუდმივი კონსერვატიული მკურნალობა (ე.წ. „ამბულატორიული რეფლუქსი“); ხოლო აისბერგის მწვერვალი - პაციენტები გერდ-ის გართულებებით, რომლებიც მკურნალობენ საავადმყოფოში (ე.წ. „ჰოსპიტალური რეფლუქსი“) (19). ნათელია რომ, ქვედა, აისბერგის წყალქვეშა ნაწილი, ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტია ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპის ქვეყნებში, ამიტომ ამ ეტაპზე ძნელია საქართველოში გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების გავრცელების და მისი გართულებების ზუსტი განსაზღვრა, თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას რომ გერდ-ის გავრცელება საქართველოში შეესაბამება ევროპის მაღალ განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს და უნდა ვიყიქროთ რომ სიხშირეც იზრდება.

1.5 კვლევის მიზანი და ამოცანები

სადისერტაციო კვლევის მიზანია: საქართველოში გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების პრობლემატიკის განსაზღვრა, მისი თავისებურებების გამოვლენა, წარმოებული ოპერაციების ახლო და შორეული შედეგების შეფასების საფუძველზე გერდ-ის ოპტიმალური სამკურნალო ტაქტიკის შემუშავება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩატარდა პროსპექტული და რეტროსპექტული კვლევა მულტიცენტრულად, ორ კლინიკაში - ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი და თორაკო-აბდომინალური კლინიკა 2000 წლიდან 2010 წლამდე და მოიცავს გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების 365 კაზოდს და დასახულ იქნა შემდეგი კონტენტული ამოცანები:

1. საქართველოში გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების გადამდებლობის განსაზღვრა: სიმპტომატიკის, დაავადების ხანდაზმულობის, სქესის, ასაკის და გართულებების მიხედვით.
2. ჩვენს ქვეყნაში სპეციფიკური ეტიოლოგიური ფაქტორების გამოვლენა, კერძოდ: სოციალური ფაქტორი, კვება, მავნე ჩვევები, თანხმლები დაავადებები და არაადეკვატური მკურნალობის სიხშირე და მისი ზეგავლენა დაავადების პროგრესირებაზე.
3. დიაგნოსტიკის სრულყოფა: საყლაპავის ფუნქციონალური დიაგნოსტიკის აუცილებლობა და მისი გამოყენების ჩვენება ატიპიურად მიმდინერე გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადებით დაავადებულ პაციენტებში
4. ლია და ლაპაროსკოპიული წესით ტოტალური ფუნდოპლიკაციების ახლო და შორეული შედეგების ანალიზი, გაანალიზირებულ იქნა:
 - ა) ინტრაოპერაციული და პოსტოპერაციული გართულებები და მათი გამოვლენის სიხშირე,
 - ბ) დამატებითი ინტრაოპერაციული ჩარევები,
 - გ) ოპერაციის ხანგრძლივობა,
 - დ) საწოლდღე,
 - ე) ნაოპერაციები პაციენტების შრომისუნარიანობის ხარისხი,
 - ვ) დაავადების რეციდივის სიხშირე,
 - ზ) რეინტერვენციალური ქირურგიის სიხშირე,
- თ) დისფაგია და რეფლუქსი ნაოპერაციებ პაციენტებში, რის მიხედვითაც მოხდა ახლო და შორეული რეზულტატების შეფასება.

5. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე მოხდა ლაპაროსკოპიული და ლია წესით ანგირეფლუქსური ოპერაციების ოპტიმიზაცია.
6. გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების დიაგნოსტიკის და ქირურგიული მკურნალობის ალგორითმის განსაზღვრა.

1.6 მეცნიერული სიახლე

შრომაში პირველიდან:

1. საქართველოში შესწავლილ იქნა გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების ეპიდემიოლოგია, სიმპტომატიკა და მისი გამოვლინების თავისებურებანი.
2. მოხდა გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების დიაგნოსტიკის სრულყოფა და საყლაპავის ფუნქციონალური დიაგნოსტიკის წარმოჩენა.
3. აღწერილ იქნა ლაპაროსკოპიული და დია წესით ტოტალური ფუნდოპლიკაციების უპირატესობა და ნაკლი ერთმანეთან მიმართებაში, შემუშავებულ იქნა ოპერაციის შემდგომი გართულებების პრევენცია ფუნდოპლიკაციური მანქეტის დამატებითი ფიქსაციის გამოყენებით.
4. საქართველოს რეალიების გათვალისწინებით მოხდა გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების ქირურგიული მკურნალობის ალგორითმის განსაზღვრა.

1.7 პრაქტიკული დირექტულება

1. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების გამოვლინების თავისებურებანი, აღწერილია მისი ატიპიური მიმდინარეობა და გართულებები, ყურადღება გამახვილებულია სწორი მკურნალობის ეფექტურობაზე და არაეფექტური მკურნალობის სავალალო შედეგებზე.
2. ზოგადი პროფილის ექიმებისთვის წარმოჩენილია გერდ-ის დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები, მათი რუტინულად გამოყენების აუცილებლობა კონკრეტული ჩივილებისა და გამოვლენებების მქონე პაციენტებში.
3. პრაქტიკოსი ქირურგისთვის აღწერილია რიგი რეკომენდაციები ანტირეფლუქსური ოპერაციების ქირურგიულ ტექნიკასა და ოპერაციის შემდგომი გართულებების პრევენციის შესახებ.
4. წარმოდგენილია რეკომენდაციები ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაციის ირგვლივ, რაც მისცემს საშუალებას გერდ-ის მკურნალობის მინიმაზიური მეთოდების განვითარებას საქართველოში, როგორც ცენტრალურად ასევე რეგიონებში და საბოლოოდ ხელს შეუწყობს პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

2. ლიტერატურული მიმოხილვა
2.1 ისტორიული ექსკურსი

საყლაპავის ქვედა მესამედის ანთებითი პროცესის შესახებ პირველი გზავნილი XVIII საუკუნეშია და ეკუთვნის Ch. Bilard – ს (32). პირველად საყლაპავის ქვედა მესამედის წყლული აღწერა F. Zenker - მა 1839წ. (33), მას შემდგომ 1879 წ. H. Quincke - მ აღწერა მისი პისტოლოგიური სტრუქტურა (34). მე-20 საუკუნის დასაწყისამდე გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადება ითვლებოდა იშვიათ და გაურკვეველ დაავადებად და მის შესახებ ძალიან ცოტა მონაცემი არსებობდა. ვარაუდი საყლაპავის ქვედა მესამედის წყლულის პეპტიკურ წარმოშობაზე წარმოთქვა A.Winkelstein - მა 1935 წ. (35), ხოლო ტერმინი „რეფლუქს-ეზოფაგიტი“ შემოგვთავაზა P.Alison - მა 1946 წ. მანვე პირველად დაამტკიცა პათოგენური კავშირი რეფლუქს-ეზოფაგიტსა და საყლაპავის დიაფრაგმულ ხვრელის თიაქრის შორის (36). საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრის შესახებ პირველი მონაცემები ეკუთვნის Ambrose Pare-ს (1579წ.) (37). 1926 წ. Ake Akerlund-მა, სტოკჰოლმში გამოაქვეყნა 30 ნაშრომი, პირველად მან შემოგვთავაზა „პიატალური თიაქრის“ ტერმინი, წარმოადგინა მისი კლასიფიკაცია და შემოგვთავაზა თიაქრის სამი ტიპი (38). პირველად 1919 წელს A. Soresi - იმ გამოაქვეყნა სტატია პიატალური თიაქრის ადდგენის შესახებ (39), შემდგომ ამ ოპერაციების დამუშავებული ტექნიკა წარმოადგინა S. Harrington - მა (1949 წ.), რომელმაც ლაპაროტომიის შემდეგ, შუასაყრიდან ჩამოიტანა თიაქრის პარკი, პარკის მობილიზების შემდეგ საყლპავი დააფიქსირა კვანძოვანი ნაკერებით მარჯვნივ საყლაპავის ხვრელის კიდეზე და შემდგომ Π-ს მაგგარი ნაკერებით გაკერდა დიაფრაგმის ფეხები საყლაპავის უკან (უკანა კრურორაფია) (40,41). L. J. Madden – მა დიაფრაგმაზე ზემოდან დააფიქსირა დიაფრაგმა-საყლაპავის იოგი. R. Sweet – მა და და S.Humphreys – მ გოფრირებული და Π-ს მაგვარი ნაკერებით შეამცირეს დიაფრაგმა-საყლაპავის იოგი და ჩაიტანეს დიაფრაგმის ქვემოთ, შემდგომ აწარმოეს კრურორაფია (42). Ch.Maurer – მა და F. Keile – მ კრურორაფიისას, ბოლო ნაკერით დააფიქსირეს ვერტებრალური ფასცია. კარდიის შუასაყარში გადაადგილების თავიდან აცილების მიზნით და პიატალური თიაქრის რეციდივის პროფილაქტიკისთვის აწარმოეს გასტროკარდიოპექსია, ამით მოწოდებული იქნა კარდიის მუცლის ღრუში დაფიქსირების სხვადასხვა ვარიანტი. 1956 წ. R. Nissen – ის სახელით გამოქვეყნდა ორი სტატია, კარდიოპექსიის შესახებ

(43,44). მე -20 საუკუნის მეორე ნახევარში P. Alison – მა და N. Barrett – მა, პირველებმა, ერთმანეთისგან განასხვავეს პიატალური თიაქარი და გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადება (45). ამ პერიოდში R. Nissen– მა და R. Belsey– მ შეასრულეს მათი ცნობილი პროცედურები (84,85). 1967წ. LD.Hill – მა გამოაქვეყნა ოპერაციის საკუთარი მოდიფიკაცია (46,47,48,49). შემდგომ M. Rossetti -ს, J. Dor – ს, A.Toupet – ს, A.Chernousov – ს წარმოადგინეს ფუნდოპლიკაციების სხვადასხვა სახის მოდიფიკაციები (50,51,93,94,95). ლაპაროსკოპიულად კრურორაფია ნისენის ფუნდოპლიკაციო პირველმა შეასრულა B. Dellemagne – ს 1991 წ. (86).

2.2 გერდ-ის ეტიოლოგია და პათოგენეზი

არსებობს გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების წარმოშობისას ორი ძირითადი მექანიზმი: 1) საყლაპავის ქვედა სფინქტერის უკმარისობით გამოწვეული კუჭის შიგთავსის რეფლუქსი საყლაპავში და 2) საყლაპავის ლორწოვანზე რეფლუქსატის დამაზიანებელი მოქმედებით გამოწვეული დამცველი მექანიზმების დაქვეითება. რეფლუქსი შეიძლება იყოს გასტროეზოფაგური ან დუოდენოგასტროეზოფაგური. გასტროეზოფაგური რეფლუქსის შემთხვევაში საყლაპავში მოხვედრილი შიგთავსი უმეტეს შემთხვევაში აღენიშნება მჟავა რეაქციისაა, ატროფიული გასტრიტის დროს რეფლუქსატს გააჩნია ნეიტრალური რეაქცია. მრავალი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საყლაპავის დამაზიანებელი მოქმედება აქვს მჟავა რეფლუქსატს $\text{pH} < 4,0$ ფარგლებში (3,12,14,16,19,27). საყლაპავის ლორწოვანის დაზიანებისთვის აუცილებელია რეფლუქსის განსაზღვრული რაოდენობა და რეფლუქსატის განსაზღვრული ექსპოზიცია. პათოლოგიურ რეფლუქსად ითვლება დღვ-დამეში 48-ზე მეტი მჟავა რეფლუქსი (14,16,19,23,27). დუოდენოგასტროეზოფაგური რეფლუქსი – საყლაპავში კუჭის წვენთან ერთად 12-გოჯა ნაწლავის შიგთავსის რეტროგრადული დენა. დუოდენოგასტროეზოფაგურ რეფლუქსს შეიძლება ჰქონდეს ნეიტრალური რეაქცია ან ტუტე რეაქცია 12-გოჯას ტუტე შიგთავსის ნეიტრალიზაციის ხარჯზე. რამოდენიმე კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ საყლაპავზე განსაკუთრებული დამაზიანებელი მოქმედება აქვს ($\text{pH} > 7,0$) ტუტე რეფლუქსატს (14,16,19,20,23,27). ცნობილია რომ ტუტე დუოდენოგასტროეზოფაგური რეფლუქსი გერდ-ის 5–20%-ს შეადგენს, აღსანიშნავია რომ ტუტე შიგთავსის რეფლუქსის შემთხვევაში ერთზიული და წყლულოვანი ეზოფაგიტების სიხშირე უფრო მეტია ვიდრე მჟავა გასტროეზოფაგური რეფლუქსთან შედარებით (19,27).

თანამედროვე წარმოდგენით, გერდ-ი საყლაპავის და კუჭის მოტორიკის დარღვევასთან არის ასოცირებული, რომლის პათოგენეზში წამყვანი როლი უკავია შემდეგ ფაქტორებს: 1) ანტირეფლუქსური ბარიერის დარღვევა, რომელიც შეიძლება განვითარდეს საყლაპავის ქვედა სფინქტერის ტონუსის შემცირების შედეგად და მისი სპონტანური მოდუნების სიხშირის რაოდენობის მომატებით, საყლაპავის ქვედა სფინქტერის სტრუქტურული ცვლილებებით (მაგალითად, თანმხლები საყლაპავის დიაფრაგმული ხერელის თიაქრის შემთხვევაში), 2) ეზოფაგური კლიორენსის დაქვეითება – ქიმიური (ნერწყვის და საყლაპავის ლორწოს

ბიკარბონატების მანეიტრალიზებელი მოქმედების დაქვეითება) და მოცულობითი (საყლაპავის მეორადი პერისტალტიკის დაქვეეითება და მისი გულმკერდის ნაწილის ტონუსის შემცირება), ამ შემთხვევაში ე.ი. დაქვეითებილია საყლაპავის ფუნქცია გაანეიტრალოს და უკან დაბრუნოს მასში მოხვედრილი კუჭის - მუავა შიგთავსი. 3) რეფლუქსატის დამაზიანებელი თვისებანი (მარილმჟავა, პეპსინი, ნალვლოვანი მუავები). 4) საყლაპავის ლორწოვანის გარსის რეზისტენტობის დაქვეითება. 5) კუჭის და 12-გოჯა ნაწლავის შიგთავსის ევაკუაციის დარღვევა. 6) მუცელშიდა წნევის მომატება.

გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების პათოგენეზში წამყვან როლს ასრულებს საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრი, რომელიც გერდ-ით დაავადებულთა 80%-ში გვხვდება (19,20,21,27).

ვ. ვასილენკოს (1978წ.) კლასიფიკაციის მიხედვით, საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქარი არსებობს: აქსიალური, პარაეზოფაგური და შერეული (29,30,36). ინგლისურ ლიტერატურაში გამოიყენება თიაქრების შემდეგი ტიპები: 1 ტიპი - აქსიალური, 2 ტიპი - პარაეზოფაგური, 3 ტიპი - შერეული და 4 ტიპი - პარაეზოფაგური თიაქარი, როდესაც თიაქრის შიგთავსს წარმოადგენს მუცლის ღრუს სხვადასხვა ორგანო (72,74). აქსიალურ თიაქრებს აგრეთვე უწოდებენ დაცურებულ თიაქარს, ე.ი. თიაქრის შიგთავსი ჩასუნთქვისას საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელიდან „ამოცურდება“ უკანა შუასაყარში. დიდხანს არსებული აქსიალური თიაქარი ფიქსირდება საყლაპავის ხვრელთან ნაწიბუროვანი შეხორცებებით და გარდაიქმნება ე.წ. „ფიქსირებულ თიაქრად“.

გ. პეტროვსკის (1968 წ.) კლასიფიკაციის მიხედვით, ყველა თიაქრის ტიპს შეიძლება თან ახლდეს საყლაპავის დამოკლება, (არ იგულისხმება თანდაყოლილი მოკლე საყლაპავი): I ხარისხი (მანძილი gastro- esophageal junction – დან საყლაპავის დიაფრაგმულ ხვრელამდე < 4 სმ-ზე) და II ხარისხი (მანძილი gastro- esophageal junction – დან საყლაპავის დიაფრაგმულ ხვრელამდე > 4 სმ-ზე) (20,25).

ბ. პეტროვსკის და გ. კანშინის კლასიფიკაციის (1967) მიხედვით არსებობს საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის დაცურებული თიაქრების 3 ხარისხი: I ხარისხი - შუასაყარში პროლაბირებს საყლაპავის აბდომინალური ნაწილი, ხოლო კარდია მიბჯენილია დიფრაგმის ვისცერალურ ზედაპირზე, II ხარისხი (კარდიალური თიაქარი) შუასაყარში პროლაბირებს კუჭის კარდიალური ნაწილი, და აგრეთვე აღენიშნება საყლაპავის მცირედ დამოკლება, III ხარისხი (კარდიოფუნდალური თიაქარი, კუჭის სუბტოტალური თიაქარი, კუჭის ტოტალური

თიაქარი) შუასაყარში პროლაბირებს კარდია და კუჭის ფსკერის ნაწილი, კუჭის სხეულის ნაწილი ან მთელი კუჭი და აღენიშნება კარგად გამოხატული მოკლე საყლაპავი (20,25).

პარაეზოფაგური თიაქარი როგორც წესი ფიქსირებულია საყლაპავის დიაფრაგმულ ხვრელზე, ამ დროს ფიქსირებული კუჭის ნაწილი ან მუცლის ლრუს სხვა ორგანო მდებარეობს დიაფრაგმის ზემოთ შუასაყრის სივრცეში საყლაპავის პარალერულად და gastro-esophageal junction მდებარეობს თავის ნორმალურ ანატომიურ დონეზე საყლაპავის დიაფრაგმულ ხვრელთან მიმართებაში. თიაქრის შიგთავსი ხშირად მოთავსებულია საყლაპავიდან მარცხნივ და უკან, საყლაპავთან მჭიდრო კავშირშია და ხშირად მასზე ახდენს ზეწოლას. ბ. პეტროვსკის და ნ. კანშინის კლასიფიკაციის მიხედვით პარაეზოფაგური თიაქრები იყოფიან: 1) ფუნდალური, 2) ანტრალური, 3) ნაწლავური, 4) კუჭის და ნაწლავის და 5) ბადექონის (20,24,25). ფუნდალურ და ანტრალურ თიაქრებს უწოდებენ კუჭის სუბტოტალურ თიაქრებს. შერეული თიაქრები ხასიათდება gastro- esophageal junction -ის საყლაპავის დიაფრაგმულ ხვრელზე მაღლა განლაგებით (როგორც აქსიალური თიაქრისას) და ამავდროულად თიაქრის შიგთავსის განლაგება პარალერულად საყლაპავისა (მსგავსად პარაეზოფაგური თიაქრისა).

საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრისას (როგორც აქსიალური, ისე პარაეზოფაგური) პათოლოგიური გასტროეზოფაგური რეფლუქსის წარმოქმნა ხდება 3 მექანიზმით: 1) „ჰისის კუთხის – გუბარევის სარქველის“ კომპლექსის ანატომიის დარღვევა, 2) საყლაპავის ქვედა სფინქტერის ბაზალური წნევის შემცირება, მისი შუასაყრის სივრცეში არსებობის გამო (მოკლე საყლაპავი), 3) დიაფრაგმის ფეხების ჩამკეტი მექანიზმის დარღვევა. აქსიალური თიაქრების დროს შუასაყარში კუჭის ნაწილის პროლაბირების ხარჯზე ჰისის კუთხის ზომა იზრდება, რის შედეგადაც ირლგვევა გუბარევის სარქვლის ჩამკეტი ფუნქცია. ცნობილია, რომ საყლაპავის ქვედა სფინქტერის ბაზალური წნევა არა მარტო საყლაპავის ტონუსზეა დამოკიდებული, არამედ დამოკიდებულია მუცელშიდა წნევაზე და დიაფრაგმის ფეხების მომჭერ ეფექტზე. აქსიალური და პარაეზოფაგური თიაქრების შემთხვევაში, საყლაპავის ქვედა სფინქტერი მოთავსებულია შუასაყარში, საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის მაღლა და მისი ბაზალური წნევა მცირდება შუასაყარში არსებული უარყოფითი წნევის და დიაფრაგმის ფეხების მომჭერი ეფექტის არ არსებობის გამო.

საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქარი ფორმირდება სამი მექანიზმით:

- 1) დიაფრაგმის და დიაფრაგმული ხვრელის ელემენტების სისუსტე, 2) მუცელშიდა წნევის მომატება, 3) საყლაპავის რეფლექტორული სიგრძივი დამოკლება.

დიაფრაგმის ქსოვილების და დიაფრაგმული ხვრელის ელემენტების სისუსტე აღენიშნებათ ასთენიკებს და ვითარდება ხანდაზმულ ასაკში, რომლის დროსაც ვლინდება დიაფრაგმული ხვრელის გაფართოება და დიაფრაგმის ფეხების მოჭერი ეფექტის დარღვევა. ცნობილია, რომ საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრის სიხშირე 60 წელზე ხანსაზმულ პაციენტებში 40-60%-ს შეადგენს, თუმცა ყველა მათგანს არ უვითარდებათ გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადება (7,19,20,24). მუცელშიდა წნევის მომატება იწვევს კუჭის და მუცლის დრუს სხვა ორგანოების პროლაბირებას შუასაყარში და საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის გაფართოებას. მუცელშიდა წნევის მატების ხშირი მიზეზებია: სიმსუქნა, მძიმე ფიზიკური დატვირთვა, ხშირი შეკრულობა, ასციტი, ქრონიკული ხველა, ორსულობა, შეხორცებითი დაავადება, მუცლის დრუს დიდი ზომის სიმსვნეები (67). გასტროეზოფაგური რეფლუქსის შედეგად საყლაპავის რეფლექტორული სიგრძივი დამოკლება ახდენს კარდიისა და კუჭ-საყლაპავის კავშირის აწევას შუასაყარში. იგი ვლინდება საჭმლის მომნელებელი სისტემის ისეთი დაავადებების დროს როგორიცაა: ნაღვლ-კენჭოვანი დაავადება, ქრონიკული გასტრიტი, წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული პანკრეატიტი, გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია ნერვული სისტემის ფუნქციონალურ დარღვევებს. აღსანიშნავია, რომ რეფლუქსი ხშირად (გერდის 17-30%-ში) იწვევს საყლაპავის ქვედა სფინქტერის სპაზმს, კწ. კარდიოსპაზმს (7,20), აგრეთვე საყლაპავის სხეულის მოტორიკის რეფლექტორულ დაქვეითებას, რაც განაპირობებს საყლპავის კლირენსის დაქვეითებას და მასზე რეფლუქსატის უფრო ხანგრძლივ ზემომოქმედებას. (13,27,68). რეფლუქს-ეზოფაგიტის 7-23 % შემთხვევაში ფორმირდება საყლაპავის ქვედა მესამედის პეპტიკური სტრიქტურა, რაც იწვევს საყლაპავის დამოკლებას და შესაბამისად თიაქრის ზომების მომატებას (3,19).

პათოლოგიური გასტროეზოფაგური რეფლუქსის განვითარების მეორე ხელშემყობი ფაქტორი არის საყლაპავის ქვედა სფინქტერის სპონტანური რელაქსაციის გახშირება და მისი ბაზალური წნევის დაქვეითება. რაც ვითარდება კვების, ენდოკრინული და ფარმაკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით. არასწორი კვება და მავნე ჩვევები (მწარე და მუავე საკვები, ერთბაშად დიდი რაოდენობით საკვების მიღება, განსაკუთრებით სადამოს საათებში, შოკოლადი,

პიტნა, ყავა, სიგარეტი, ალკოჰოლი, ზოგიერთი ხილის წვენი და ა.შ.), ზოგიერთი ფარმაკოლოგიური პრეპარატები (კოფეინი, ციტრამონი, ანტისპაზმური პრეპარატები მათ შორის მიოტროპული - ქოლინოლიზური პრეპარატები, ნიტრატები - ადრენობლოკატორები, სედაციური და საძილე საშუალებები), მნიშვნელოვანია ენდოკრინული ფაქტორები - ლიტერატურაში აღწერილია, რომ ორსულობის დროს ესტროგენების და პროგესტერონების ზემოქმედება აქვეითებს საყლაპავის ქვედა სფინქტერის ტონუსს (17,19).

კუჭის და 12 გოჯა ნაწლავის ევაკუაციის დარღვევა იწვევს პათოლოგიურ გასტროეზოფაგურ და დუოდენოგასტროეზოფაგურ რეფლუქსს. როგორც ცნობილია კუჭის მოტორიკის დარღვევა ახასიათებს ქრონიკულ გასტრიტს, კუჭის წყლულოვან დაავადებას (12 გოჯა ნაწლავის ნაწილუროვანი დეფორმაციის გამო), ფუნქციონალურ არაწყლულოვან დისპექსიას და კუჭის სიმსიგნებს (19). 12 გოჯა ნაწლავის მოტორიკის დარღვევა (დუოდენოსტაზი) ვითარდება ქრონიკული დუოდენიტების, პილოროანტრალური ნაწილის წყლულოვანი დაავადებისას, ქრონიკული პანკრეატიტების, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებების დროს.

პათოლოგიური გასტროეზოფაგური რეფლუქსი შეიძლება განვითარდეს რიგი ოპერაციების შემდგომ: კარდიომიოტომია ჰელერის წესით, კარდიის ბალონური დილატაცია (1-4 %), საყლაპავის შუა და ქვედა მესამედის რეზექცია, კუჭის პროქსიმალური რეზექცია, კუჭის 2/3 რეზექცია ან კუჭის სუბტორალური რეზექცია, გასტრექტომია (5,8,10,18,24,26,27,52,54,78).

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პათოლოგიური გასტროეზოფაგური რეფლუქსი საყლაპავის ლორწოვანის დამცავი მექანიზმების დაქვეითების ხელშეწყობით იწვევს გასტრო ეზოფაგურ რეფლუქსურ დაავადებას, რომლის მორფოლოგიურ სუბტრატს წარმოადგენს რეფლუქს-ეზოფაგიტი და გერდ-ის ექსტრაეზოფაგური გართულებები. საყლაპავის დაზიანების ხარისხი რეფლუქს-ეზოფაგიტის შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა იყოს, ზოგ შემთხვევაში ენდოსკოპიური კვლევისას ვიზუალურად არ ვლინდება, თუმცა მორფოლოგიური კველვით ანთებითი ცვლილება ყოველთვის არსებობს. კატარალური ეზოფაგიტის შემთხვევაში თვალით ჩანს ჰიპერემია, საყლაპავის ლორწოვანის შეშუპება, რომელიც რიგ შემთვევაში დაფარულია ფიბრინით (13,74). გერდ-ის ამ ვარიანტს „ენდოსკოპიურად ნეგატიური ან არაეროზიული ფორმა“ ეწოდება (3,19), რაც გერდ-ით დაავადებულ პაციენტების 10-30% -ს ადენიშნებათ (1,3,19). ერთხიულ ეზოფაგიტს, კატარალური ცვლელებებთან ერთად თან ახლავს

ლორწოვანი გარსის ერთეული ან მრავლობითი ზედაპირული დეფექტები – ფიბრინით დაფარული ეროზიები (13,74). გერდის უფრო გართულებული მიმდინარეობისას ვითარდება წყლულები ან ნაწილუროვანი სტრიქტურები. გერდით დაავადებულ პაციენტებში წყლული (საყლაპავის პეპტიკური წყლული) წარმოდგენილია 2–7% - ში, როდესაც გამოხატულია ტიპიური წყლულოვანი დეფექტი, ხშირად დაფარული ფიბრინით, შეშუპებული, ანთებადი კიდეებით (13,74). წყლული განლაგებულია საყლაპავის ქვედა მესამედში, ხშირად 1–3 სმ–ში კუჭსაყლაპავის შერთულთან და იწვევს საყლაპავის წყლულოვან-ნაწილუროვან დეფორმაციას და სტენოზს (15). პეპტიკური წყლულების 5% – რთულდება სისხლდენით, 14% – შუასაყრის ორგანოებში პენეტრაციით, ხოლო 15% – საყლაპავის პერფორაციით (3,19). საყლაპავის პეპტიკური წყლულის შეხორცება გრძელედება 1–3 თვე (15). საყლაპავის ნაწილუროვან ან პეპტიკურ სტრიქტურებს ახასიათებთ საყლაპავის კედლის ფიბროზული ცვლილებები, რის გამოც შესაძლებელია განვითარდეს საყლაპავის ნაწილობრივი გაუვალობა. ცნობილია რომ გერდით დაავადებული პაციენტების 7–23%–ს უვითარდებათ პეპტიკური წყლული.

ხანდაზმული გერდის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს საყლაპავის ეპითელიუმის მეტაპლაზია კუჭის ან წვრილი ნაწლავის ლორწოვანის უჯრედებით, ეს უკანასნელი არის ორგანიზმის დამცავი ფუნქცია, რაც ნიშნავს იმას რომ კუჭის ან წვრილი ნაწლავის ეპითელიუმი უფრო მდგრადია მჟავა ან ტუტე რეფლუქსატის ზემოქმედების მიმართ. კუჭის მეტაპლაზიის მორფოლოგიური ნაწილები წარმოადგენენ ერთშრიან კუჭის ცილინდრულ ეპითელიუმს ჯირკვლებთან ერთად, რომლებიც წარმოქმნიან პეპსინს და მარილ-მჟავას (21,24,29). თანამედროვე შეხედულებით კუჭის მეტაპლაზია არ ნიშნავს კიბოსწინა მდგომარეობას (19,75,77), თუმცა კუჭის მეტაპლაზიას, *Helicobacter pilori* - ს კოლონიზაციის გამო (62%), ახასიათებს საყლაპავის პეპტიკური წყლულების და ეზოფაგიტის მძიმე მიმდინარეობა (20).

წვრილნაწლავოვანი მეტაპლაზია (ბარეტის საყლაპავი) გვხვდება გერდის 8–30%–ში (19,20). წვრილნაწლავოვანი მეტაპლაზია წარმოადგენილია ცილინდრული ეპითელიუმის ერთშრიან ზონად, 12 გოჯა ნაწლავის დამახასიათებელი თასისებური უჯრედებით. მეტაპლაზიის ამ ტიპს, 1–2% შემთხვევაში ახასიათიებს საყლაპავის ადენკარცინომად გადაგვარება (75,77), ხოლო ზოგიერთი მონაცემებით – 11%–ს (20). მეტაპლაზიის სეგმენტი რაც უფრო დიდია, მით უფრო

მაღალია დისპლაზიის და ადენოკარცინომის განვითარების რისკი (81). დადგენილია, რომ მთავარი ფაქტორები წვრილნაწლავოვანი მეტაპლაზიის არის არა მარტო მარილმჟავა და პეპსინი, აგრეთვე დუოდენალური შიგთავსის კომპონენტები – ნაღვლოვანი მჟავები, ლიზოლეციტინი და ტრიპსინი (31,61,66). მთავარი მოქმედების აგენტის, ნაღვლოვანი მჟავის ზემოქმედება ხორციელდება მჟავა გარემოში (31,61,66,79). ამიტომ ბარეტის საყლაპავის განვითარებას იწვევს დუოდენოგასტრალური და მჟავა გასტროეზოფაგური რეფლუქსის შერწყმა. (31,61,66,79). დადგენილია რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის 1–2 %-ს ადენიშნებათ ბარეტის საყლაპავი (59). ზოგიერთი ავტორი იუწყება, რომ ბარეტის საყლაპავის გარდაქმნა ადენოკარცინომად წლის განმავლობაში ხდება პაციენტებთა 0.5%-ში (59,75), ე.ი. 3–6 მილიონი ამერიკელი თუ დაავადებულია ბარეტის საყლაპავით, მაშინ მათგან 15–30 ათას პაციენტს განუვითარდებათ საყლაპავის ადენოკარცინომა (59). Sharma et al. მონაცემებით, პირველადი ცილინდრული მეტაპლაზიით დაავადებული 1376 პაციენტის 7,3%-ს აღმოაჩნდათ დაბალი ხარისხის დისპლაზია, 3%-ს მაღალი ხარისხის დისპლაზია, ხოლო 6%-ს საყლაპავის ადენოკარცინომა. მსოფლიო ლეიტერატურის მონაცემებით, ბოლო წლებში ბარეტის საყლაპავის პრობლემა შეიძლება აიხსნას საყლაპავის ადენოკარცინომის ზრდით.

2.3 გერდის სიმპტომატიკა

გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების სიმპტომები შეიძლება დავყოთ 2 ჯგუფად: საყლაპავის დაზიანების და ექსტრაეზოფაგური გართულებების სიმპტომებად. საყლაპავის დაზიანების სიმპტომებს მიეკუთვნება გულძმარვა, ბოჟინი, ტკივილი რეტროსტერნალურად და ეპიგასტრიუმის არეში, დისფაგია, რეგურგიტაცია, გულისრევა, ღებინება, ოდინოფაგია, სლოკინი, ნერწყვისდენა. გერდის დროს საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქართან არაასოცირებული ან ასოცირებული მცირე ზომის აქსიალური თიაქრისას უფრო ხშირი სიმპტომია გულძმარვა და ბოჟინი. საყლაპავის დიდ აქსიალურ, პარაეზოფაგეალურ ან შერეულ თიაქართან ასოცირებული გერდის დროს წამყვანია ტკივილის სინდრომი.

გულძმარვა გვხვდება პაციენტების 47–90% და წარმოადგენს რეტროსტერნალურად წვის შეგრძნებას (19,20). იგი წარმოიქმნება მჟავა ან ტუტე რეფლუქსატის საყლაპავის ლორწოვანზე ზემოქმედებით, გულძმარვა უპირატესად ვითარდება მჟავა რეფლუქსატით, ნეიტრალური რეაქციის რეფლუქსატი როგორც წესი არ იწვევს გულძმარვას. არსებობს აზრი, რომ გულძმარვა წარმოიშვება მხოლოდ რეფლუქსატის კონტაქტით საყლაპავის ანთებად კედელზე, ე.ი. მხოლოდ ეზოფაგიტის არსებობის პირობებში (19). მოცემული აზრი შეიძლება უგულველყოფილი იყოს რადგან ენდოსკოპიურად ნეგატიური გერდის დროს პაციენტები მაინც უჩივიან გულძმარვას. საყლაპავის პეპტიკური წყლულების დროს გულძმარვას უფრო შეუპოვარი ხასიათი აქვს. პაციენტებს და ექიმებს ხშირად ეშლებათ გულძმარვა რეტროსტერნალურ ტკივილში, რომელსაც აქვს მჩხვლეტავი, მოჭერითი ხასიათი, გააჩნია წარმოშობის სხვა მექანიზმი. გულძმარვა წარმოადგენს ადრეულ სიმპტომს და მიღრეკილია პროგრესირებისკენ. დაავადების საწყის ეტაპზე გულძმარვა წარმოიქმნება პერიოდულად, თვეში ერთხელ, კვირაში რამოდენიმეჯერ, შემდგომ პერიოდებში, გულძმარვა ხდება ყოველდღიური და დღე-დამის განმავლობაში შეუჩერებელი სიმპტომი. გულძმარვას შეიძლება თან ახლდეს რეტროსტერნალური ტკივილი, ბოჟინი, რეგურგიტაცია, გულისრევა. იგი წარმოიშვება ჭამის შემდეგ მაშინვე ან 30 წუთის შემდეგ. გულძმარვის წარმოშობის ანალოგიურ მიზეზებს წარმოადგენენ: სიგარეტის მოწევა, გაზირებული სასმელების, ალკოჰოლის მიღება და ძლევრდება სხეულის პორიზონტალურ მდგომარეობაში. გერდის გართულებულ სტადიებში გულძმარვა შეიძლება წარმოიქნას კვებასთან კავშირის გარეშეც, განსაკუთრებით სხეულის

პორიზონტალურ მგლომარეობაში. არც თუ ისე იშვიათად გულძმარვა შეიძლება წარმოიქმნას მუცელშიდა წნევის მომატებისას (მაგ. ძლერი ხველისას, შეკრულობების დროს). შესაძლებელია გაიაროს თავისთავად ან სითხის ერთი ყლუპის მიღების შემდგომ (განსაკუთრებით ტუტე, არაგაზირებული მინერალური წყლის, რდის ან საჭმელი სოდის ხსნარის ან ანტაციდების მიღების შემდეგ). პეპტიკური სტრიქტურით გართულებული გერდის დროს (7–23%) შესაძლებელია გულძმარვა არ იყოს გამოხატული, თუმცა ესეთი პაციენტები ანამნეზში (სტრიქტურის წარმოშობამდე) აღნიშნავენ გულძმარვას (19).

რეტროსტერნალური ტკივილი გამოხატულია გერდით დაავადებულ პაციენტების 45–84%-ში, განსაკუთრებით საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრის დროს (20). ტკივილის ხარისხი დამოკიდებულია დიაფრაგმული ხვრელის თიაქრის და რეფლუქს-ეზოფაგიტის ხარისხზე. ტკივილი, როგორც წესი, მუდმივი, მოჭერითი ხასიათისაა, ხშირად ლოკალიზდება მკერდის ძვლის უკან ან ეპიგასტრიუმის არეში, იშვიათად მარცხენა ნეპრენული არეში ან კიდევ მეზოგასტრიუმის მიდამოში. ტკივილი ირადირებს გულმკერდის მარცხენა ნახევარში, მარცხენა ბეჭედებში არეში, მუცლის მარცხენა ნახევარში. ტკივილის ირადირება გულმკერდის მარცხენა ნახევარში ხშირად აღიქმევა როგორც სტენოკარდია. ასეთ ტკივილებს ეწოდება ფსევდოკორონარული სინდრომი და აუცილებელია დიფერენციალური დიაგნოსტიკა გერდ-სა და სტენოკარდიას შორის.

პეპტიკური წყლულების დროს აღინიშნება მუდმივი და მაღალი ინტენსივობის ტკივილი, განსაკუთრებით წყლულის შუასაყრის ორგანოებში პენეტრაციის დროს. ცნობილია რომ პეპტიკური წყლულების 14% განიცდის პენეტრირებას შუასაყრის ორგანოებში. ერთერთ სერიოზულ გართულებას წარმოადგენს პეპტიკური წყლულის პერფორაცია, რომლის დროსაც ვლინდება „ხანჯლისებური“ რეტროსტერნალური ტკივილი, შოკი და აუცილებელი ხდება სასწრაფო ოპერაციული მკურნალობა.

ჰიატალური თიაქრის ჩაჭედვისას აღენიშნება ინეტნიური, მუდმივი ხასიათის ტკივილი, მრავალჯერადი დებინება, ხშირად სისხლიანი მასებით. ძნელად კუპირდება მედიკამენტებით. ჰიატალური თიაქრის ჩაჭედვა საჭიროებს სასწრაფო ოპერაციულ მკურნალობას განსაკუთრებით პარაეზოფაგური თიაქრებისას, როდესაც თიაქრის შიგთავს წარმოადგენს ნაწლავის მარყუჟი.

რეტროსტერნალური ტკივილი ხშირად წარმოდგენილია ოდინოფაგით - საკვების მტკივნეული გადაადგილება საყლაპავში, რაც გამოწვეულია განსაკუთრებით მწარე, მკვრივი საკვების საყლაპავში გადაადგილებისას, გამოხატული ეზოფაგიტების დროს.

ბოჟინი გვხვდება გერდ-ით დაავადებული პაციენტების 30–52%-ში და უმეტესად თან ახლავს გულმარვას (20). იგი წარმოადგენს გერდ-ის ერთერთ ადრეულ სიმპტომს, დაავადების საწყის ეტაპზე ის ვითარდება პერიოდულად, კვირაში რამოდენიმეჯერ, ჭამისთანავე ან ჭამიდან 30 წუთის შემდგომ. შემდგომ სტადიებში ბოჟინს ახასიათებს მუდმივი ხასიათი და არ არის დამოკიდებული კვებაზე და სითხების მიღებაზე.

რეგურგიტაცია აღენიშნებათ გერდ-ით დაავადებული პაციენტების მცირე რაოდენობას და გამოხატულია დაავადების გართულებულ სტადიებში. ის წარმოიქმნება საყლაპავის ქვედა სფინქტერის უკმარისობის დროს, საკვების და სითხის რეტროგრადული დენით კუჭიდან საყლაპავში და შემდგომ პირის დრუში. რეგურგიტაცია ხშირად ვითარდება დამე პაციენტის პორიზონტალურ მდგომარეობაში არსებობისას და მას მოსდევს საკვები მასების ფილტვებში ასპირაცია გერდ-ის პულმონალური გართულებების განვითარებით.

გერდ-ის კიდევ ერთ-ერთ სიმპტომს წარმოადგენს დისგფაგია და მისი გამოვლინება მერყეობს 16–60% – ში (20,83). დისფაგია ადრეულ სტადიაში ვლინდება გერდ-ით ასოცირებული საყლაპავის ნერვ-კუნთოვანი დაავადებების დროს, რომლებიცაა საყლაპავის ატონია, საყლაპავის ახალაზია, და ეზოფაგოსპაზი. გერდ-ის დროს არც თუ იშვითია საყლაპავის ქვედა სფინქტერის რეფლექტორული სპაზი – ახალაზია (14–31%). გერდ-ის მოგვიანებით სტატიებში დისფაგია ვითარდება საყლაპავის პეპტიკური სტრიქტურის ხარჯზე. დაავადების საწყის ეტაპზე დისფაგიას ახასიათებს იშვიათი გამოვლინება და ასეთ შემთხვევაში დისფაგია იხსნება ნიტროგლიცერინის მიღების შემდგომ და ამ ტესტს აქვს მნიშვნელობა საყლაპავის დაზიანების დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში. მოგვიანებით სტადიაში დისფაგია მყარია და აღინიშნება ყოველდღიურად საკვების მიღებისას. მას ახასიათებს პროგრესირება და შეიძლება თან ახლდეს რეგურგიტაცია. გერდ-ის მძიმე ფორმებისას დროს გამავალია მხოლოდ თხიერი საკვებისთვის, პაციენტი იწყებს კვების რაციონის შეზღუდვას, იკლებს წონაში, აუცილებელია გატარდეს დიფერენცია საყლაპავის კიბოსთან, კარდიოეზოფაგურ სიმსივნესთან და საყლაპავის პირველად ახალაზიასთან. ისიც

აღსანიშნავია რომ, საყლაპავის სტრიქტურას თითქმის არ ახასიათებს კუჭ–საყლაპავის გადასასვლელის სრული გაუვალობა.

სიმძიმის გრძნობა, სლოკინი, გულისრევა, დებინება, ჭარბი ნერწვის დენა გვხვდება გერდ–ით დაავადებულ პაციენტების 5–18%–ში როგორც ეზოფაგიტის და პერიეზოფაგიტის გამოვლინება მათი წარმოქმნა აგრეთვე კავშირშია ვაგუსის და დიაფრაგმული ნერვის გაღიზიანებასთან (20). ეს სიმპტომები აგრეთვე შესაძლებელია იყოს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვა ორგანოების ორგანული და ფუნქციური დარღვევების გამოვლინება, როგორც ძირითადი ან თანმხლები გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების შედეგი.

გერდ–ის სიმპტომები შეიძლება არ ვლინდებოდეს ერთდროულად, ამიტომ აღწერილია გერდ–ის 5 მთავარი კლინიკური ფორმა: დისპეპსიური (გულძმარვა, ბოჭინი, რეგურგიტაცია), ტკივილის, დისფაგიური, შერეული და ექსტრაეზოფაგური ფორმები (20).

ზოგადი სიმპტომები აღენიშნებათ გერდ–ით დაავადებული პაციენტების მცირე ჯგუფს და ეს გამოხატულია საყლაპავის პეპტიკური წყლულებიდან სისხლდენის შედეგად გამოწვეული ანემით. ზოგიერთ პაციენტში – ეზოფაგიტით, პერიეზოფაგიტით და ფილტვის გართულებებით შესაძლებელია სუბფებრილიტეტის არსებობა.

2.4 გერდის გართულებები

გერდის ექსტრაეზოფაგური გართულებების სიხშირე აღწევს 50%-ს, არც თუ ისე იშვიათად, ექსტრაეზოფაგური სიმპტომები არის გერდის ერთადერთი კლინიკური გამოვლინება, ამ დაავადებით დაავადებულთა 15%-ს აღენიშნებათ ატიპიური ჩივილები (19,22,28,30).

გერდის ექსტრაეზოფაგური გართულებები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად: რესპირატორული სინდრომი (ბრონქული ასთმა, ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი, პაროქსიზმული ხველა, ბრონქოენექტაზი, ასპირაციული პნევმონია, პნევმოფიბროზი, ფილტვების ატელექტაზი), ოტორინოლარინგოლოგიური სინდრომი (ქრონიკული ლარინგიტი, სახმო იოგების გრანულომები, ქრონიკული ფარინგიტი, ქრონიკული რინიტი, ქრონიკული ოტიტი), კარდიალური სინდრომი (რეფლექტორული სტენოკარდია, არითმია), სტომატოლოგიური სინდრომი (კბილების კარიესი, პარადონტოზი) (28,30,60,69,70,71,82).

მსოფლიო ლიტერატურის მონაცემებით გერდის რესპირატორული გართულებების სიხშირე აღწევს 50%-ს (22,30,69). ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ ბრონქიალური ასთმის შემთხვევათა 30–80 % და ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტის 21% კავშირშია გასტრო ეზოფაგურ რეფლუქსურ დაავადებასთან (3,19,20). ცნობილია, რომ გერდით დაავადებული პაციენტების 5–40%-ს არ აღენიშნებათ ეზოფაგური სიმპტომები (ე.წ. “silent GERD”), ამ დროს პრიორიტეტული შეიძლება იყოს გერდის რესპირატორული გამოვლინება, ცნობლია რომ “silent GERD”-ით პაციენტების 75%-ის ერთადერთი სიმპტომური გამოვლინებაა ხველა. (19,22). გერდის რესპირატორული გართულებების მიზეზს წარმოადგენს ასპირაცია, რეფლუქსატი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ბრონქების ლორწოვან გარსზე, რომელიც ხშირად ვითარდება სხეულის ჰორიზონტალურ მგდომარეობაში და ძილის დროს, ასევე ერთ-ერთი მიზეზია ეზოფაგო-ბრონქეალური რეფლუქსით გამოწვეული ბრონქიოლების სააზმი, რაც იწვევს ბრონქიალური სეპრეციის მომატებას (22,30).

გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების (არაასოცირებული საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრით) სიმპტომი, მკერდის ძვლის უკან ტკივილი, სიხშირით მეორე ადგილზეა (გულძმარვის შემდგომ), ხოლო საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრის შემთხვევაში – პირველ ადგილზე გადმოდის (20).

გერდის დროს ტკივილის სინდრომი აუცილებელია დიფერენცირდებოდეს სტენკარდიასთან, განსაკუთრებით ხანდაზმულ პაციენტებში (3,19). ისიც გასათვალისწინებელია რომ 70–80% შემთხვევაში ტკივილი გულმკერდის არეში აიხსნება საყლაპავის დავადებებით, ხერხემლის ოსტეოქონდროზით, მკერდის, ნეკნების და ფილტვების დაავადებებით და არა სტენკარდიით, რაც დადასტურებულია კორონოროგრაფიის უარყოფითი მონაცემებით (20,22). გერდის დროს მკერდის ძვლის უკან ტკივილის წარმოშობის ორი მექანიზმი არსებობს, ერთ შემთხვევაში ტკივილის წარმოშობის მიზეზი თვით საყლაპავია, მისი ლორწოვანის რეფლუქსატის გაღიზიანებით გამოწვეული რეფლუქს-ეზოფაგიტების დროს. ადსანისნავია რომ ტკივილის სინდრომი მეტად გამოხატულია ენდოსკოპიურად პოზიტიური გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების დროს (19,22). ამიტომ, ენდოსკოპიურად ნეგატიური გერდის დროს წინა პლანზე გამოდის სხვა გამოვლინებები, მათ შორის ექსტრაეზოფაგური სიმპტომები და სწორედ ამით აიხსნება ენდოსკოპიურად ნეგატიური გერდის დროს ხშირი ექსტრაეზოფაგური სიმპტომების არსებობა (22). მკერდის ძვლის უკან ტკივილის წარმოშობის მეორე მექანიზმია რეფლექტორული ხასიათის სტენკარდია, ე.ო. კორონარული არტერიების რეფლექტორული სპაზმი (ეზოფაგო-კარდიალური სინდრომი) მიოკარდიუმის იშემით გამოწვეული ტკივილი, ეს არის მაღული კარდიალური სინდრომი (ბერგმანის სინდრომი), რომლის სიხშირე გერდის დროს 50%-ს აღწევს (3,19,22). “Silent” გერდით დაავადებული პაციენტების 10%-ში რეფლექტორული სტენკარდია (დადასტურებული ხოლტერის მონიტორინგით და 24 საათიანი pH მონიტორინგით) ამ ვარიანტის ერთადერთი სიმპტომია (14,22).

ოტო-რინო-ლარინგოლოგიური სინდრომის გამოვლინების სიხშირე მსოფლიო ლიტერატურის მონაცემებით 78%-ს აღწევს. უფრო ხშირად გვხვდება ქრონიკული ლარინგიტი (3,19,22). სტომატოლოგიური სინდრომი გვხვდება 15%-ში. ანემიური სინდრომი - 5–15% ში და უფრო კორექტული იქნება არა გერდის, არამედ ერთხიული ეზოფაგიტის ექსტრაეზოფაგური გართულებად მივიჩნიოთ (29). ანემია, როგორც წესი გამოხატულია მცირედ, აქვს მაღული ხასიათი და დაკავშირებულია საყლაპავის პეპტიკური ერთხიებიდან ან წყლულებიდან ქრონიულ სისხლდენასთან.

2.5 დიაგნოსტიკა

2.5.1 რენტგენოლოგიური კვლევა

რენტგენოლოგიური კვლევა 88-95%-ში ადგენს ჰიატალური თიაქრის სწორ დიაგნოზს, დიდი ალბათობოთ კი გერდის დიაგნოზს (20). რენტგენოლოგიური კვლევის მეთოდებია: გულმკერდის მიმოხილვით რენტგენოგრაფია, საყლაპავის კონტრასტულ რენტგენოლოგიური კვლევა ვერტიკალურ და ტრენდელენბურგის პოზიციაში. გულმკერდის მიმოხილვით რენტგენოგრამაზე შეიძლება ინახოს ფილტვებში არსებული სხვადასხვა ცვლილება გამოწვეული გასტროეზოფაგური რეფლუქსური დაავადებით, აგრეთვე, პირდაპირ და გვერდით პროექციაში შესაძლებელია ნანახი იქნას დიდი ფიქსირებული თიაქარი, დიაფრაგმის ზემოდან კუჭის პროქსიმალური ნაწილი მრგვალი კონტურის (აირის ბუშტის) სახით (4,20,24,25). ვერტიკალურ მდგომარეობაში რენტგენოსკოპით ფასდება საყლაპავის ფორმა, დიამეტრი და პირველადი ყლაპვის კომპლექსის ხასიათი. გაურთეულებელი გერდის დროს საყლაპავის ფორმა, დიამეტრი და პირველადი ყლაპვის კომპლექსი უმეტესად შეუცვლელია, თუმცა შესაძლებელია საყლაპავის დიამეტრი გადიდებული იყოს 3-3,5 სმ-მდე; კონტრასტის გადასვლა მცირედ შენელებულია საყლაპავის პირველადი და მეორადი პერისტალტიკის ამპლიტუდის დაჭვეითების გამო. გერდით და ჰიატალური თიაქრით დაავადებულ პაციენტებს ვერტიკალურ მდგომარეობაში რენტგენოსკოპით 14-31% შემთხვევაში აღენიშნებათ საყლაპავის ქვედა სფინქტერის სპაზმი (7,20).

უფრო ინფორმატიულია რენტგენოლოგიური კვლევა ტრენდელენბურგის ან მუცელზე წოლით მდგომარეობაში. გერდის რენტგენოლოგიური მაჩვენებელია – ლრმად ჩასუნთქვისას კონტრასტის პორციის რეტროგრადული მოძრაობა საყლაპავ-კუჭის გადასასვლელში. თუმცა რენტგენოლოგიურად აღმოჩენილი გასტროეზოფაგური რეფლუქსი საკმარისი არ არის დაისვას გერდის დიაგნოზი. ასევე არ გამოვლენილი გასტროეზოფაგური რეფლუქსი ჯერ კიდევ არ ნიშნავს გამოირიცხოს გერდი (მაგალითად პეპტიკური სტრიქტურების დროს).

ტრენდელენბურგის მდგომარეობაში რენტგენოსკოპია ჰიატალური თიაქრების დიაგნოსტიკის საუკეთესო საშუალებაა. თიაქრები არსებობს აქსიალური (ან დაცურებული) და პარაეზოფაგური. აქსიალური თიაქრების ხარისხის ზუსტად დადგენა ხდება ენდოსკოპიური კვლევით, რენტგენოლოგიური კვლევით შესაძლებელია დადგინდეს საშუალო და დიდი ზომის თიაქრები. აქსიალური

თიაქარი შეიძლება იყოს ფიქსირებული ან არაფიქსირებული. აქსიალური ფიქსირებული თიაქრის დროს კონტრასტი ავსებს თიაქრის პარკს ლოკალიზებულს დიაფრაგმის ზემოთ. ჩასუნთქვისას, მუცელშიდა წნევის მომატებისას, თიაქრის შიგთავსის მოძრაობა რენტგენოლოგიურად არ ვლინდება.

6. კანშინის და ბ. პეტროვსკის კლასიფიკაციის მიხედვით (1967 წ.) ყველა აქსიალური თიაქარი იყოფა სამ ხარისხად: პირველი ხარისხი გულმკერდის დრუში მოთავსებულია საყლაპავის აბდომინალური ნაწილი, კარდია და კუჭის ფუძე მიბჯენილია დიაფრაგმის ვისცერულ ზედაპირზე, მეორე ხარისხი (კარდიალური თიაქარი) – შუასაყარში პროლაბირებს კუჭის კარდიალური ნაწილი, რომელიც გამოისახება დიაფრაგმის ზემოდან კუჭის ნაოჭების არსებობით; აგრეთვე აღინიშნება საყლაპავის მცირედ დამოკლება, მესამე ხარისხი (კარდიოფუნდალური, კუჭის სუბტოტალური თიაქარი) – რენტგენოლოგიურად ვლინდება კარგად გამოხატული მოკლე საყლაპავი და კარდიის და კუჭის სხეულის პროლაბირება შუასაყარში (4,7,20,24,25).

პარაეზოფაგური თიაქრები ბ. პეტროვსკის და 6. კანშინის კლასიფიკაციით იყოფიან: 1) ფუნდუსის, 2) ანტრალური, 3) ნაწლავის, 4) ნაწლავის და კუჭის, 5) ბადექონის თიაქრებად. ფუნდუსის და ანტრალურ თიაქრებს ეწოდებათ კუჭის სუბტოტალური. (20,24,25). ნაწლავის თიაქრები იყოფა წვრილი ნაწლავის და მსხვილი ნაწლავის (20,24,25). ხშირად გვხვდება ფუნდალური პარაეზოფაგური თიაქრი, რომელიც ხშირად ფიქსირებულია საყლაპავის ხვრელთან და გამოიყერება როგორც კუჭის ნაწილი მოთავსებული დიფრაგმის ზემოდან საყლაპავის პარალერულად (4,7,20,24,25). აღსანიშნავია რომ, რენტგენოლოგიურად ზუსტად განსაზღვრა კუჭ-საყლაპავის გადასასვლელის დიფრაგმასთან მიმართებაში შეუძლებელია, მხოლოდ ენდოსკოპიურადაა შეასძლებლი პარაეზოფაგური და შერეული თიაქრების დიფერენცირება, თუმცა ქირურგიული მკურნალობის ტაქტიკა ორივე შემთხვევაში ერთნაირია. პარაეზოფაგური თიაქრების დროს თიაქრის შიგთავსი მოთავსებულია საყლაპავის მარცხნივ და უკან და ხშირად აწვება საყლაპავს, რაც კარგად გამოხატულია პოლიპოზიციური რენტგენოსკოპისას. (20,24,25).

თუ თიაქრის შიგთავსს წარმოადგენს წვრილი ან მსხვილი ნაწლავის მარყუები, მისი დიაგნოსტირება ხდება ბარიუმის პასაჟით წვრილ ნაწლავში ან ირიგოსკოპით. რთულ სიტუაციებში ბადექონის ან ნაწლავური ჰიატალური თიაქრების დიაგნოსტირებისთვის გამოიყენება კომპიუტერული ტომოგრაფია.

რეფლუქს-ეზოფაგიტისას რენტგენოლოგიური მონაცემები დამოკიდებულია მის ფორმაზე, კატარალური ან ეროზიული ეზოფაგიტის დროს შესაძლებელია გამოვლინდეს საყლაპავის მოტორიკის დაქვეითება, მისი დიამეტრის გაზრდა, თუმცა კატარული ეზოფაგიტის მთავარი კვლევის მეთოდი მაინც ენდოსკოპიაა. საყლაპავის წყლულების ტიპიური რენტგენოლოგიური სიმპტომებია: წყლულოვანი ნიშა, ლორწოვანის ნაოჭების კონვერგენცია და საყლაპავის რეაქტიული სპაზმი (4,20,24,25). წყლულოვანი ნიშა გამოიყურება, როგორც საყლაპავის ქვედა მესამედში სამკუთხედის ფორმის კონტრასტის მყარი დეპო (4,20,24,25). პენეტრირებული წლულების დროს ნიშა უფრო დრმაა, ნაოჭების კონვერგენცია წყლულოვან ნიშაში გამოიყურება როგორც საყლაპავის ლორწოვანის ნაოჭების ზომების მომატება, ჩამავალი წყლულოვან დეფექტში. საყლაპავის სეგმენტის რეაქტიული სპაზმი გამოიყურება წყლულის მოპირდაპირე მხარეს მოთავსებული შპორის მსგავსად (4,24,25). ნაწილუროვანი სტრიქტურების დროს აღინიშნება საყლაპავის ქვედა მესამედის შევიწროვება არასწორი კონტურებით, მცირედ გამოხატული სუპრასტენოზირებული საყლაპავის ნაწილის გადიდებით და მისი პერისტალტიკის შემცირებით (4,20,24,25). შევიწროვებულ სეგმენტში კონტრასტი გადადის მცირე ნაკადით; როგორც წესი საყლაპავის ქვედა სფინქტერის გახსნა არასრულია და იძლევა საყლაპავის ახალაზიის რენდგენოლოგიურ სურათს.

2.4.2 ენდოსკოპიური კვლევა

ენდოსკოპიური კვლევით სააყლაპავის დიაფრაგმული ხერხლის თიაქრის და რეფლუქს-ეზოფაგიტის გარდა შეიძლება გამოვლინდეს საყლაპავის ქვედა სფინქტერის სარქველის უცმარისობა, საყლაპავში კუჭის ლორწოვანი გარსის პროლაფსი და თვით გასტროეზოფაგური რეფლუქსი. ენდოსკოპიურად რეფლუქსი ვლინდება მუცელშიდა წნევის მომატების დროს (დებინების მცდელობისას), საყლაპავ-კუჭის გადასასვლელში კუჭის ან 12 გოჯას შიგთავსის რეტროგრადული დენით (13,74).

ცნობილია რომ, არსებობს გასრტო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების ენდოსკოპიურად ნეგატიური და ენდოსკოპიურად დადებითი ფორმები. ენდოსკოპიურად ნეგატიური ფორმის გერდის დროს, რომლის სიხშირე 60 %-ს აღწევს, საყლაპავის ლორწოვანის ცვლილებები არ ვლინდება ან გამოხატულია კატარალური ეზოფაგიტის ნიშნები (3,19). თუმცა მიკროსკოპიულ დონეზე აღინიშნება ანთებითი ცვლილებები. კატარალური ეზოფაგიტისას საყლაპავის ქვედა მესამედის ლორწოვანი გარსი ჰიპერემიულია, შეშუპებული, ადგილ-ადგილ დაფარულია ფიბრინული ნადებებით, გამოხატულია ლორწქვეშა სისხლჩაქცევები, აღინიშნება კონტაქტური სისხლდენა. უფრო მოგვიანებით სტადიაში შეიძლება გამოვლინდეს ჰიპერტოფიული ეზოფაგიტი, ამ დროს ლორწოვანის გარსის ჰიპერემია და შეშუპება ძლიერდება, რის გამოც ლორწოვანი ხდება უფრო ელასტიური. ხანდაზმული რეფლუქს-ეზოფაგიტის შემთხვევაში ვითარდება ატროფიული ეზოფაგიტი (13,74) ამ დროს საყლაპავის ლორწოვანის გარსზე გვხვდება მკრთალი-ნაცრისფერი ნაწილები, კარგად გამოხატული სისხლარღვვანი ქსელით (13,74).

ეროზიული ეზოფაგიტის დროს აღნიშნული ცვლილებების ფონზე ვლინდება ლორწოვანი გარსის მრავლობითი ზედაპირული დეფექტები – ეროზიები, დაფარულია ფიბრინით და გამოხატულია ირგვლივი ჰიპერემია (12,13,74).

წყლულების გამოვლენა მეტყველებს საყლაპავის უფრო დრმა დაზიანებაზე. რეფლუქს-ეზოფაგიტის დროს წყლულის არსებობას ეწოდება საყლაპავის ჰეპტიკური წყლული. ამ დროს საყლაპავის ქვედა მესამედში კატარალური ან ეროზიული ეზოფაგიტის ფონზე არსებობს ტიპიური წყლულოვანი დეფექტი, დაფარული ფიბრინის ნადებით, შეშუპებული, ჰიპერემიული კიდეებით. ზოგჯერ წყლულის კიდეებზე გამოვლინდება მეტაპლაზიური კვანძები (13,74). წყლულის

ფსკერი, დაფარული მწვანე ფერის ფიბრინით მეტყველებს დუოდენოგასტრო ეზოფაგურ რეფლუქსე (74). შავი შეფერილობის ფიბრინის არსებობა ასახავს სისხლდენის ადგილს. წყლულის შეხორცება გრძელდება 1 თვიდან 3 თვემდე (74).

საყლაპავის პეპტიკური სტრიქტურა როგორც წესი ვითარდება გართულებული ფორმის წყლულოვანი ეზოფაგიტების ფონზე, ამ დროს წლულოვანი დაფექტების ადგილას წამოიქმნება ხაზისებური ან ვარსკვალივისებური ნაწილურები, გამოხატული საყლაპავის დეფორმციით და შევიწროებით, ნაწილურებს შორის შეიძლება აღინიშნებოდეს წყლულები და ეროზიები. ენდოსკოპი სტრიქტურის ადგილას შეიძლება ძნელად ან საერთოდ ვერ გავიდეს (13,74).

რეფლუქს-ეზოფაგიტის ხარისხის და გავრცელების აღწერისთვის მოცემულია მრავალი კლასიფიკაცია, მათგან უფრო წარმატებულია Savary-Miller-ის კლასიფიკაცია (ცხრილი 1.1), ლოს-ანჯელესის კლასიფიკაცია (ცხრილი 1.2), და MUSE-ს კლასიფიკაცია (ცხრილი 1.3) (13).

ცხრილი 1.1. Savary-Miller-ის კლასიფიკაცია

| სიმძიმის ხარისხი | ცვლილებების გამოვლინება |
|---------------------|---|
| I | ერთეული ეროზიები (ერითემა), რომლებიც იკავებენ საყლაპავის დისტალური ნაწილის ლორწოვანი გარსის გარშემოწერილობის 10 %-ზე ნაკლებს. |
| II | ერთეული ეროზიები (ერითემა), რომლებიც იკავებენ საყლაპავის დისტალური ნაწილის ლორწოვანი გარსის გარშემოწერილობის 10-50%-ს. |
| III | ცირკულარული ეროზიები. |
| IV | პეპტიკური წყლული, სტრიქტურა, საყლაპავის ქვედა მეტაპლაზია. |

გასტროენტეროლოგების მე-10 კონგრესზე, ლოს-ანჯელესში მიღებულ იქნა კონსესუსი ეზოფაგიტების კლასიფიკაციების შესახებ (29). ამ კონსესუსის მიხედვით, საყლაპავის ლორწოვანის ყველა დაზიანებამ (ერითემა, ეროზია, წყლული) მიიღო ერთი კომპრომისული დასახელება „ლორწოვანი გარსის დაზიანება“ (Mucosal breaks), რომლის მიხედვითაც საყლაპავის ლორწოვანი გარსის

დაზიანების ხარისხი განისაზღვება მისი გარშემოწერილობის და სიგრძის მიხედვით (1,15) ცხრილი 1.2

ცხრილი 1.2 ლოს-ანჯელესის კლასიფიკაცია

| სიმძიმის ხარისხი | ცვლილებების გამოვლინება |
|---------------------|---|
| A | საყლაპავის ლორწოვანი გარსის ერთი ან რამოდენიმე დაზიანებული მონაკვეთი, რომელიც არ არის შერწყმული ერთმანეთან და მათი სიგრძე 5 მმ-ზე ნაკლებია. |
| B | საყლაპავის ლორწოვანი გარსის ერთი ან რამოდენიმე დაზიანებული მონაკვეთი, რომელიც არ არის შერწყმული ერთმანეთან და მათი სიგრძე 5 მმ-ზე მეტია. |
| C | საყლაპავის ლორწოვანი გარსის ერთი ან რამოდენიმე დაზიანებული მონაკვეთი, განლაგებული ნაკეცებზე და მათ შორის, და წარმოადგენს საყლაპავის ლორწოვანი გარსის გარშემოწერილობის 75%-ზე ნაკლებს. |
| D | საყლაპავის ლორწოვანი გარსის ერთი ან რამოდენიმე დაზიანებული მონაკვეთი, განლაგებული ნაკეცებზე და მათ შორის, და წარმოადგენს საყლაპავის ლორწოვანი გარსის გარშემოწერილობის 75%-ზე მეტს. |

1991 წელს D. Armstrong-ა მოგვაწოდა MUSE -ს კლასიფიკაცია, რომელიც მსგავსია ონკოლოგიური, TNM კლასიფიკაციისა და კარგად ასახავს ეზოფაგიტის გართულებებს, როგირიცაა ეროზია, წყლული, სტრიქტურა და მეტაპლაზია. MUSE -ს აბრივიატურა შეესაბამება პარამეტრებს, რომლის მიხედვითაც ხდება მეტაპლაზიის (Metaplasia), წყულის (Ulcer), სტრიქტურის (Stricture) და ეროზიების (Erosion) შეფასება (1,15). თითოეულ ნიშანს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ხარისხის გამოვლინება: 0 – არ გამოვლინდება, 1 – მცირე ხარისხით გამოვლინება, 2 – საშუალო ხარისხით გამოვლინება, 3 – მძიმე ხარისხით გამოვლინება. ცხრილი 1.3 (15).

ცხრილი 1.3 MUSE -ს კლასიფიკაცია.

| გამოვლინების ხარისხი | მეტაპლაზია | წყლული | სტრიქტურა | ეროვნია |
|-------------------------|--------------------|--|---|--------------------|
| არადინიშნება | M0 არადინიშნება | U0 არადინიშნება | S0 არადინიშნება | E0 არადინიშნება |
| ცირკ | M1 ერთი კვანძი | U1 Z-ხაზის დონეზე (სავარის წყლული) | S1 სიგრძე < 9 მმ | E1 ერთი ნაკეცი |
| საშუალო | M2 ორი კვანძი | U2 ბარეტის წყლული | S2 სიგრძე > 9 მმ | E2 ორი ნაკეცი |
| მძიმე | M3 ცირკულარული | U3 კომბინირებული (სავარი + ბარეტი) | S3 სტრიქტურა + მოკლე საყლაპავი | E3 ცირკულარული |

ენდოსკოპიური კვევისას ერთ-ერთი ორიენტირი Z-ხაზია, რომლის საყლაპავის დიაფრაგულ ხერელიდან 2 სმ-ით მაღლა დგომა მიუთითებს აქსიალური ან შერეული თიაქარის არსებობაზე. აქსიალური და შერეული თიაქრის კიდევ ერთი საიმედო კრიტერიუმია თიაქრის პარკის ვიზუალიზაცია, რომელიც გამოხატულია ე.წ. კუჭში მეორე შესასვლელით, რაც გამოვლინდება საშუალო და დიდი ზომის თიაქრების არსებობისას (15,20). ფიქსირებული აქსიალური თიაქრის ნახვა აგრეთვე შესაძლებელია რეტროფლექსიური ენდოსკოპიური კვლევით, რომლის დროსაც გამოხატულია შებრუნებული სურათი – საყლაპავის დიაფრაგმული ხერელიდან ორალური მიმართულებით პროლაბირებს კუჭის ნაწილი – თიაქრის პარკი, შემდეგ ვიზუალიზდება gastro-esophageal junction.

პარაეზოფაგური თიაქრების დროს ანატომიური ცვილებების ნახვა პირდაპირი მიმართულების ენდოსკოპიური კვლევით შეუძლებელია, რეტროფლექსიით კლინდება საყლაპავის გვერდით თიაქრის პარკში ცალკე შესასვლელი.

ბარეტის საყლაპავის კვლევის 5 მეთოდი არსებობს, ესენია:

- 1) ფიბროეზოფაგოსკოპია ან ვიდეოენდოსკოპია ჩვეულებრივ რეჟიმში,
- 2) ქრომოსკოპია,
- 3) ვიდეოენდოსკოპია NBI ან FICE რეჟიმში,
- 4) ვიდეოენდოსკოპია გადიდებით,
- 5) ენდომიკროსკოპია.

ქრომოსკოპიისას გამოიყენება ლუგალის ხსნარი, რომელიც დებავს საყლაპავის შეუცვლელი ლორწოვანი გარსის უჯრედებს და არ დებავს უჯრედებს, რომლებიც არ შეიცავს გლიკოგენს.

NBI ან FICE რეჟიმი წარმოდგენიალია ციფრული გამოსახულებით, საღებავის გარეშე ახდენს ვიზუალიზაციას, გ.წ. ვირტუალური ქრომოსკოპია. ენდომიკროსკოპია გვაძლევს საშუალებას გაკეთდეს დიფერენცირება მეტაპლაზიის სახეებს შორის, აგრეთვე დიფ. დიაგნოსტიკა დისპლაზიასა და ნეოპლაზიას შორის.

2004 წელს ეზოფაგიტებზე მომუშავე საერთაშორისო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნა პარიზის და პრაღის კრიტერიუმები - C&M (Circumferential & Maximum), სადაც Circumferential – ცირკულარული მეტაპლაზიის გავრცელების სიგრძეს წარმოადგენს, ხოლო Maximum – gastro – esophageal junction - დან მეტაპლაზიის ენების სიგრძეს განსაზღვრავს (15).

1999 წელს Japanese society for Ezophageal diseases შემოგვთავაზა საყლაპავის ქვედა მესამედის ეპითელიარული მეტაპლაზიის შემდეგი ტერმინი – columnar – lined esophagus, CLE და მიეთითება ბიოფსიური მონაცემებით მეტაპლაზიის ტიპი: კუჯის ან ნაწლავური მეტაპლაზია (73).

2.5.3 24 საათიანი pH – მონიტორინგი

საყლაპავშიდა 24 – საათიანი pH – მონიტორინგი გერდის დიაგნოსტიკის „ოქროს სტანდარტს“ წარმოადგენს. გერდის დროს ამ კვლევის მეთოდის სპეციფიურობა და მგრძნობელობა 88–96% – ს შეადგენს. 24 – საათიანი pH – მონიტორინგი გვაძლევს საშუალებას დაითვალოს გერდის 6 მთავარი მაჩვენებელი: 1) ხანგრძლივობა, რომლის დროსაც ვითარდება მჟავა რეფლუქსი, 2) მწოლიარე მდგომარეობაში რეფლუქსის ხანგრძლივობა, 3) ფეხზე მდგომიარეს რეფლუქსის ხანგრძლივობა, 4) რეფლუქსების საერთო რიცხვი, 5) 5 წუთზე მეტი ხანგრძლივობის რეფლუქსების რიცხვი, 6) ყველაზე გრძელი რეფლუქსის ხანგრძლივობა (14,19,20,23).

ამ მაჩვენებლების დახმარებით სპეციალური ფორმულით ითვლება DeMeester-ის ინდექსი, რომელიც ნორმაში არ უნდა აღემატებოდეს 14,7-ს, რაც უფრო მაღალია DeMeester-ის ინდექსი, მით უფრო გამოხატულია გასტროეზოფაგური რეფლუქსი და როგორც წესი რეფლუქს-ეზოფაგიტი.

ცხრილი 1.4 24 საათიანი pH – მონიტორინგის ნორმალური მაჩვენებლები.

| | |
|---|----------|
| რეფლუქსების საერთო რიცხვი | 47-მდე |
| 5 წუთზე მეტი ხანგრძლივობის რეფლუქსების რიცხვი | 3,5-მდე |
| ყველაზე გრძელი რეფლუქსის ხანგრძლივობა | 20-მდე |
| მჟავა რეფლუქსის ხანგრძლივობა, საერთო, % | 4,5-მდე |
| მჟავა რეფლუქსის ხანგრძლივობა, ვერტიკალურ მდგომარეობაში, % | 8,4-მდე |
| მჟავა რეფლუქსის ხანგრძლივობა, პორიზონტალურ მდგომარეობაში, % | 3,5-მდე |
| DeMeester-ის ინდექსი | 14,7-მდე |

pH – მონიტორი პორტატული აპარატია, რომელსაც პაციენტი კვლევის მთელი ხანგრძლივობისას თან ატარებს. იგი მოიცავს აქტიურ და პასიურ ელექტროდებს, აქტიური ელექტროდი (2მმ იანი ზონდი) ცხვირიდან თავსდება საყლაპავის ქვედა სფინქტერიდან 5 სმ-ით პროქსიმალურად, რომლის განსაზღვრა ხდება მანომეტრის საშუალებით. თუმცა ახალი თაობის pH – მეტრი აღჭურვილია

საყლაპავის ქვედა სფინქტერის ზედა კიდის განმსაზღვრელი მანომეტრით (19,23). დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება ზონდის გარეშე pH – მონიტორინგი – Bravo - ს კაფსულა, მინიატურული კაფსულა ენდოსკოპის საშუალებით ფიქსირდება საყლაპავის ქვედა მესამედის ლორწოვან გარსზე და რადიოსიგნალით გადასცემს ინფორმაციას მაჩვენებლების მარეგისტრირებელ აპარატს. Bravo - ს კაფსულის საშუალებით მოხერხებულია 48 საათიანი pH – მონიტორინგი, რაც ზრდის რეზულტატების სიზუსტეს (19). კვლევის შემდეგ კაფსულა გამოდის თავისთავად ან ენდოსკოპიურად ამოღებულ იქნება. აღწერილია რამოდენიმე შემთხვევა ამ მეთოდის გართულებისა, კერძოდ საყლაპავის პერფორაცია ნემსით, რომლითაც კაფსულა მაგრდება საყლაპავის ლორწოვან გარსზე. მოცემული გართულება აღწერილია 0,05% შემთხვევაში და ძირითადათ ვლინდება ეზოფაგიტების მძიმე ფორმებისას (19).

გერდ-ის დიაგნოსტიკის დროს 24 საათიანი pH – მონიტორირების ჩვენებაა: 1) ენდოსკოპირად ნეგატიური გერდ-ი, 2) გერდ-ის ექსტრაეზოფაგური გამოვლინება, კარდიალური ექსტრაეზოფაგური სინდრომისას pH – მონიტორინგს თან ერთვის ხოლსტერის მონიტორინგი. 3) პაციენტის სურვილი დამატებით დააზუსტოს გერდ-ის დიაგნოზი.

2.5.4 საყლაპავის მანომეტრია

საყლაპავის მანომეტრია ერთ-ერთი მგრძნობიარეა საყლაპავის ნერვ-კუნთოვანი დაავადებების დროს, რომლის საშუალებით შესაძლებელია აღნიშნული დაავადების დიაგნოსტირება საწყის ეტაპზე, საყლაპავის ახალაზის დროს მას დიაგნოსტიკის „ოქროს სტანდარტს“ უწოდებენ. არსებობს სხვადასვა სახის საყლაპავის მანომეტრები, ესენია: ბალონის მეთოდი, დია კათეტერების მეთოდი და მაღალი რეზულტატების მქონე საყლაპავის მანომეტრი (5,23).

საყლაპავის მანომეტრიის მთავარი მაჩვენებლებია: მოსვენებულ მდგომარეობაში საყლაპავის ქვედა სფინქტერის წნევა (ბაზალური წნევა), ყლაპვის დროს საყლაპავის ქვედა სფინქტერის წნევა (ნარჩენი წნევა), მოსვენებულ მდგომარეობაში საყლაპავის ქვედა მესამედის წნევა და საყლაპავის შუა და ქვედა მესამედის შეკუმშვის ამპლიტუდა (5,23,24). აღწერილია კიდევ სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი მაჩვენებლები: პერისტალტიკური შეკუმშვების სიჩქარე, საყლაპავის ქვედა სფინქტერის მოდუნების სიჩქარე, კუჭის ფუნდალური ნაწილის წნევა და სიგრძე საჭრელი კბილებიდან კარდიამდე (23,24).

გერდის დროს შემცირებულია საყლაპავის ქვედა სფინქტერის ბაზალური წნევა, შემცირებულია საყლაპავის ქვედა სფინქტერის სიგრძე, აგრეთვე შეიძელება დაკლებული იყოს საყლაპავის შუა და ქვედა მესამედის შეკუმშვის ამპლიტუდა (3,19,20,23). საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრების დროს აღინიშნება მომატებული წნევის დამატებითი ზონა, რაც წარმოადგენს მომატებული წნევის მქონე ერთი ზონის (საყლაპავის ქვედა სფინქტერი და დიაფრაგმის ფეხები) ორად დაყოფას და მათ შორის მომატებული წნევის მქონე ზონის არსებობას, რაც შეესაბამება თიაქრის პარკს (4,20,23,24). აგრეთვე გამოხატულია საჭრელებიდან საყლაპავის ქვედა სფინქტერამდე მანძილის შემცირება. (4,20,23,24).

2.5.5 ბილიმეტრია

ბილიმეტრია განსაზღვრავს კუჭიდან საყლაპავში ნაღვლოვანი პიგმენტების გადმოდენის რაოდენობას (23,79). 24 საათიანი საყლაპავშიდა ნაღვლოვანი პიგმენტების მონიტორინგი ტარდება Bilitec – ის აპარატით, დამყარებული სპექტროფოტომეტრიის პრინციპზე. გვხვდება სიტუაცია, როდესაც pH-მონიტორინგის რეზულტატები არის ნორმის ფარგლებში, თუმცა გამოხატულია ტუტე რეფლუქსი, კუჭის მჟავა შიგთავსის ნეიტრალიზაციის ხარჯზე (79). ასეთ სიტუაციაში 24 საათიანი საყლაპავშიდა ნაღვლოვანი პიგმენტების მონიტორინგი გვაძლევს საშუალებას, მეტი სიზუსტით გამოვალინოთ ტუტე დუოდენოგასტროეზოფაგური რეფლუქსი.

2.5.6 ფარმაკოლოგიური ტესტი

უფრო მეტად გავრცელებულ ფარმაკოლოგიურ ტესტს წარმოადგენს ომეპრაზოლის ტესტი. გერდ-ის დიაგნოსტიკაში მისი მგრძნობელობა 79 – 86 % – ს შეადგენს, ხოლო სპეციფიკა – 54%-ს. პაციენტს ენიჭნება 2 კვირიანი ომეპრაზოლის კურსი 20 მგ. 2 ჯერ დღეში, სიმპტომების შემცირების ან გაქრობის შემთხვევაში ტესტი ითვლება დადებითად (2,29,118). ომეპრაზოლის ტესტი გამოიყენება გერდ-ის ატიპიური, ექსტრაეზოფაგური სიმპტომების არსებობისას, გასტროეზოფაგური რეფლუქსის მათთან კავშირის დასადასტურებლად (9,11,19).

2.6 გერდის კონსერვატიული მკურნალობა

გერდის მკურნალობისას რიგ შემთხვევებში მედიკამენტოზურ თერაპიას აქვს მდგრადი ეფექტი, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ეფექტი მიიღწევა ხანგრძლივი კომპლექსური თერაპიით, აუცილებლად პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორის გამოყენებით. ახალი თაობის პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორების ლირებულება ძალიან მაღალია. დათვლილია, რომ მსოფლიოს ფარმაკოლოგიურ ბაზარზე გერდის მედიკამენტებით მკურნალობა 5 მილიარდ დოლარს აღემატება (19). გერდის კონსერვატიულ მკურნალობაში დიდ როლს თამაშობს ცხოვრების წესის შეცვლა, რაც იძლევა მედიკამენტების დოზირების შემცირების საშუალებას (3,19). დღესდღეისობით გერდის კომპლექსურ თერაპიაში Helicobacter pilori ერადიკაცია არ ითვლება მნიშვნელოვნად, რადგან ის არ მოქმედებს მკურნალობის რეზულტატზე, დაავადების რეციდივზე და არ აქვს წამყვანი როლი გერდის პათოგენეზში (6,19,67).

ცხოვრების წესის შეცვლა მოიცავს: 1) დიეტას – რაფირინებული საკვების რაციონიდან ამღება, მოხარშული საკვები, თხიერი საკვები, დროული კვება, უარი საკვების დამე მიღებაზე, უარი გაზირებულ სასმელებზე, უარი კოფეინის შემცველ სასმელზე, უარი ალკოჰოლზე და სიგარეტზე, დიეტურად კვება რაც ებრძვის სიმსუქნეს და შეკრულობებს. 2) რეჟიმს – ჭამის შემდეგ ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნება, ძილის წინ გასეირნება, უარი მწოლიარე მდგომარეობაში კვებაზე, ფიზიკური დატვირთვის შეზღუდვა, უარი მუცლის ბანდაჟის ტარებაზე, რაც იწვევს მუცელშიდა წნევის მომატებას, ფსიქო-ემოციური დატვირთვის შემცირება. 3) გერდის გამოწვევი პრეპარატების მოხსნას ან მისი დოზის შემცირებას.

გერდის მედიკამენტოზური თერაპია მოიცავს შემდეგი ჯგუფის პრეპარატებს:

1) კუჭის სეკრეციის ბლოკატორები – პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორები, წარმოდგენილია ამ პრეპარატებით მკურნალობის შემდეგი გარიანტები: საწყისი თერაპია, შემანარჩუნებელი და წყვეტილი თერაპია (67). მრავალი კვლევა კლინიკური და ენდოსკოპიური მონაცემების საფუძველზე ადასტურებს რომ შედარებით მყარი ეფექტის მისაღწევად საწყისი თერაპიის ხანგრძლივობა მინიმუმ 4 – 8 კვირაა, ხოლო კარგად გამოხატული ეზოფაგიტებისას 8–12 კვირა. (2,19,67). კლინიკური და ენდოსკოპიური არასასურველი რეზულტატების მიღებისას მკურნალობა გრძელდება შემანარჩუნებელი თერაპიით ან კიდევ წყვეტილი

თერაპიით. შემანარჩუნებელი თერაპიის კურსი ინდივიდუალურია, ზოგიერთ პაციენტს 1 წელიც უხანგრძლივდებათ, რადგან პრეპარატების მოხსნა იწვევს 1–2 კვირაში განმეორებით ჩივილების წარმოქმნას. ზოგიერთ პაციენტს უტარდება წვეტილი თერაპია, რაც გულისხმობს ჩივილების წარმოქმნისას 2 – 4 კვირიან კურსის ჩატარებას.

2) პროკინეტიკების მექანიზმი გერდის მკურნალობაში წარმოადგენს საყლაპავის ქვედა სფინქტერის ტონუსის გაძლიერებას, საყლაპავის პერისტალტიკის გაძლიერებას და კუჭის და 12 გოჯა ნაწლავის დროულ ევაკუაციას. გერდის პროკინეტიკებით მკურნალობის ეფექტი შედარებით დაბალია (პაციენტების 30–88%) და როგორც წესი ინიშნება პროტონული ტუმბოს ინპიპიტორებთან კომბინაციაში (20).

3) პრეპარატები, რომლებსაც გააჩნია საყლაპავის ლორწოვანის დამცავი და აღდგენითი ფუნქცია, ესენია ანტაციდები და ციტოპროტექტორები. ანტაციდებს გააჩნიათ საყლაპავის ლორწოვანის დამცავი ფუნქცია, არსებობს შეწოვადი და არაშეწოვადი ანტაციდები, დღესდღეობით გამოიყენება არაშეწოვადი ანტაციდები მისი შედარებით გახანგრძლივებული მოქმედების გამო, ანტაციდები ინიშნება არა უმეტეს 2 კვირიანი კურსით, მისი გვერდითი მოვლენების არსებობის გამო. ციტოპროტექტორებს გააჩნიათ ლორწოვანის წარმოქმნის მასტიმულირებელი ეფექტი და მისი დამცავი ფუნქცია. ეს პრეპარატები ძირითადათ გამოიყენება ქრონიკული გასტრიტების და წყლულოვანი დაავადების სამკურნალოდ, გერდის მძიმე მიმდინარეობისას ამ პრეპარატების გამოყენება ზრდის კომპლექსური თერაპიის ეფექტურობას (17).

ზოგიერთი ავტორის მიერ შესწავლილი იქნა გერდის კომპლექსური მედიკამენტოზური მკურნალობის ეფექტურობა და მათი მონაცემებით, გერდის დროს, არაასოცირებული საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრით და ასოცირებული I ხარისხის აქსიალური თიაქრით ორთვიანი კომპლექსური თერაპიის შემდგომ პაციენტების 70–80% – ს გერდის სიმპტომატიკა უქრება, ხოლო 75–85% პაციენტებს ენდოსკოპიურად ეზოფაგიტის სურათი აღარ აღენიშნებათ (17,20). თუმცა ესეთი პაციენტების 80%–ს, მკურნალობის შეწყვეტიდან 6–12 თვეში აღენიშნებათ სიმპტომატიკის რეციდივი (20,67). აგრეთვე დამტკიცებულია რომ გერდის დროს, ასოცირებული II – III ხარისხის აქსიალური ან პარაეზოფაგური თიაქრით, მედიკამენტოზური მკურნალობის ეფექტურობა 20–30 %–ს შეადგენს (19,20). გაურთულებელი გერდის მედიკამენტოზური

მკურნალობის თანხობრივი დირექტულება ნაკლებია, ვიდრე ოპერაციული მკურნალობის დირექტულებასთან შედარებით, ხოლო შესაბამისად გართულებული გერდის ოპერაციული მკურნალობის დირექტულება ნაკლებია, ვიდრე ხანგრძლივი კონსერვატიული მკურნალობის დირექტულებასთან შედარებით და ცხოვრების ხარისხი ნაოპერაციებ პაციენტებში უფრო მაღალია ვიდრე პაციენტებში, ხანგრძლივი კონსერვატიული მკურნალობის შემდგომ (19,20).

2.7. გერდის ქირურგიული მკურნალობა

დღესდღეობით გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების და საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრის მკურნალობის უფრო ეფექტურ მეთოდათ ქირურგიული მეთოდი ითვლება.

გერდის და საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრის დროს კუჭ-საყლაპავის გადასასვლელის მორფოლოგიური და ფუნქციური ცვლილებების შესაბამისად წარმოდგენილია ოპერაციის ორი მთავარი მომენტი: 1) თიაქრის აღმოფხვრა და მისი რეციდივის პროფილაქტიკა საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის პლასტიკით. 2) კუჭ-საყლაპავის გადასასვლელის დამხურველი მექანიზმის აღდგენა საყლაპავის ქვედა სფინქტერის ტონუსის გაძლიერების და კარდიალური ნაოჭის (ჰისის კუთხე) აღდგენის ხარჯზე, რაც მიიღწევა სხვადასხვა სახის ფუნდოპლიკაციებით. საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის პლასტიკა თრი სახისაა: 1) დიაფრაგმული ხვრელის გაკერვა – კრუოროაფია, 2) საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის პლასტიკა ტრანსპლანტაციით (ბადით). საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის ადექვატური პლასტიკა ახდენს თიაქრის რეციდივის პროფილაქტიკას, თუმცა გერდის მკურნალობისთვის მარტო საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის პლასტიკა საკმარისი არ არის და გერდის რეციდივი ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილია 10 – 20% – ში (7,20).

თანამედროვე ქირურგიაში ყველაზე ეფექტურ ანტირეფლუქსურ პროცედურად ითვლება ფუნდოპლიკაცია – ფუნდოპლიკაციური მანქეტის წარმოქმნა კუჭის ფუნდალური ნაწილით, წარმოიქმნება მეორე ხელოვნური საყლაპავის ქვედა სფინქტერი. ფუნდოპლიკაციური მანქეტის ანტირეფლუქსური ფუნქციის მექანიზმი წარმოდგენიალია მისი კუჭის პერისტალტიკურ მოძრაობასთან ჩართვაში და მასში წარმოქმნილი პერისტალტიკური ტალღა ხელს უშლის საკვების რეტროგრადულ დენას და რეფლუქსის წარმოქმნას, ფუნდუსის კუნთების ბაზალური ტონუსის ხარჯზე მანქეტი აძლიერებს საყლაპავის ქვედა სფინქტერის ტონუსს, რაც აგრეთვე ხელს უშლის რეფლუქსის წარმოქმნას.

წარმოდგენილია ფუნდოპლიკაციის სხვადასხვა ტიპები და მათი მოდიფიკაციები თორაკოტომიული, ლაპაროტომიული და ლაპაროსკოპიული მიდგომებით, ესენია: ტოტალური ფუნდოპლიკაცია ნისენის წესით და მისი მოდიფიცირებული ფორმები, როზეტის, ჩერნოუსოვის მოდიფიკაციები და ა.შ. ნაწილობრივი ფუნდოპლიკაცია – ბელსი – 270 გრადუსი წინა ფუნდოპლიკაცია,

ვატსონი – 90 გრადუსი წინა ფუნდოპლიკაცია, ტუპე – 270 გრადუსი უპანა ფუნდოპლიაცია და დორი – 180 გრადუსი წინა ფუნდოპლიკაცია. აგრეთვე ფართოდ გამოიყენება პილის ოპერაცია – პუჭის მცირე სიმრუდის ფიქსაცია რკალისმაგვარ იოგზე (93,94,95).

2.8 ანტირეფლუქსური ოპერაციების გართულებები

ანტირეფლუქსური ოპერაციების სპეციფიკურ გართულებებს წარმოადგენს: 1) საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრის რეციდივი (ფუნდოპლიკაციური მანქეტის მიგრაცია შუასაყარში), 2) ფუნდოპლიკაციური მანქეტის გახსნა, 3) საყლაპავის შევიწროვება საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის დონეზე, 4) საყლაპავის დეფორმაცია და შევიწროვება ფუნდოპლიკაციური მანქეტის დონეზე, 5) ბოჟინის შეუძლებლობა ე.წ. “Gas-bloat” - სინდრომი, 6) ფუნდოპლიკაციური მანქეტის ჩამოცურება კუჭზე ე.წ. “Slippage”-სინდრომი.

ჰიატალური თიაქრის რეციდივი წარმოდგენილია საყლაპავის აბდომინური ნაწილის და ფუნდოპლიკაციური მანქეტის მიგრაციით შუასაყარში. ანტირეფლუქსური პროცედურების ცუდი რეზულტატებიდან 10 - 84% მოდის თიაქრის რეციდივზე (55,56,57,58,62,64,76,80,67). ჰიატალური თიაქრის რეციდივის მიზეზებს წარმოადგენს: 1) დიაფრაგმული ხვრელის პლასტიკის მეთოდის არასწორი შერჩევა, 2) ტექნიკური სირთულეები კრურორაფიის და ფუნდიპლიკაციური მანქეტის წარმოებისას, 3) ადრეულ პოსტოპერაციულ პერიოდში შეუჩერებელი დებინება, 4) ინტრაოპერაციულად დაუდგენელი და შეუმჩნეველი მოკლე საყლაპავი, 5) მუცელშიდა წნევის მომატება (57,76).

ფუნდოპლიაციური მანქეტის გახსნას ყოველთვის თან ახლავს გერდის რეციდივი, რომელიც გამოვლინდება შესაბამისი კლინიკური სიმპტომატიკით. ფუნდოპლიკაციის შემდგომი ცუდი რეზულტატებიდან 11 - 82 % აღენიშნებათ მანქეტის გახსნა (31,58,62,76,88). მანქეტის გახსნა შეიძლება იყოს მთლიანი ან ნაწილობრივი, რაც ვითარდება კვანძების მოშვებით, ჩაჭრით ან გახსნით. მანქეტის გახსნის მიზეზს წარმოადგენს: 1) მანქეტის ფორმირებისას არსებული ტექნიკური სირთულეები; 2) კუჭის ფუნდალური ნაწილის ზერელე მობილიზაცია; 3) ადრეულ ოპერაციის შემდგომ პერიოდში ხშირი დებინება; 4) მძიმე ფიზიკური დატვირთვა ოპერაციის შემდგომ პერიოდში (57,76).

საყლაპავის შევიწროება დიაფრაგმული ხვრელის დონეზე განპირობებულია კრურორაფიით და დიაფრაგმული ხვრელის ბადით პლასტიკით, რაც ანტირეფლუქსური ოპერაციების ცუდი რეზულტატების 1-36 % გვხვდება, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საყლაპავის შევიწროვება უფრო ხშირად ვითარდება ბადით პლასტიკის შემდგომ კრურორაფიასთან შედარებით, შესაბამისად 15-36 % და 1-15 % (55,56,57,58,62,64,65,80,89). საყლაპავის შევიწროვება კლინიკურად

ვლინდება დისფაგით (გვიანი დისფაგია, ე.ი. ოპერაციიდან 3 თვის შემდგომ) და რეგურგიტაციით. მკურნალობის მეთოდია საყლაპავის ბალონური დილატაცია (55,58,80).

საყლაპავის შევიწროვებას და დეფორმაციას ფუნდოპლიაციური მანქეტის დონეზე მივყავართ მყარ დისფაგიამდე, რაც ანტირეფლუქსური ოპერაციების ცუდი რეზულტატების 6-39 % წარმოადგენს (55,56,57,68,80). აღნიშნული მდგომარეობის მიზეზად გვევლინება: 1) მოკლე, ნაკლებად მოძრავი მანქეტის ფორმირება; 2) არასათანადო კალიბრირება, 3) ფუნდალური ნაწილის არასაკმარისი მობილიზება, რაც ახდენს მანქეტის ტრაქციას და როტაციას ლატერალურად და ფუნდუსის მობილიზაციის არარსებობა (ფუნდოპლიკაცია ნისენ-როზეტის მეთოდით), 4) ნისენის გრძელი მანქეტის ფორმირება – 3-5 სმ. სიგრძით (55,56,57,68,80).

Gas-Bloat - სინდრომი არის ხელოვნურად წარმოქმნილი კუჭ-საყლაპავის გადასავლელის დამხურველი მექანიზმის ლოგიკური გამოვლინება, რაც კლინიკურად წარმოდგენილია ბიყინის შეუძლებლობით, კუჭის გადაბერვის შეგრძნებით, მუცლის შებერილობითა და ხანდახან ეპიგასტრიუმის მიდამოს ტკივილის სინდრომით. ნისენის წესით ფუნდოპლიკაციის შემდეგ ეს სინდრომი აღენიშნება ავადმყოფების 6,3 – 46 % (20,62,65,89). **Gas-Bloat** - სინდრომის მიზეზს წარმოადგენს ფუნდოპლიკაციური მანქეტის ჰიპერფუნქცია, თუმცა მაშინაც კი როდესაც მანქეტი არც ისე ვიწროა რომ გამოიწვიოს დისფაგია (20,62,65,89).

კუჭზე ფუნდოპლიკაციური მანქეტის ჩამოცურებას ეწოდება **Slippage** – სინდრომი, რომელიც უმეტესად ვითარდება ნისენის და ნისენ-როზეტის ფუნდოპლიკაციების შემდგომ. ამ დროს ერთის მხრივ ვითარდება გერდის რეციდივი, ხოლო მეორე მხრივ – დისფაგია, კარდიაზე ჩამოცურებული მანქეტის ზეწოლით გამოწვეული. რაც გამოხატულია ჭამისას და მის შემდგომ კუჭის მალევე სავსეობის შეგრძნებით და ძლიერი ტკივილით ეპიგასტრიუმის მიდამოში. **Slippage** – სინდრომი ანტირეფლუქსური ოპერაციების არადამაკმაყოფილებელი შედეგების 6-8% -ს წარმოადგენს, მისი წარმოქმნის მიზეზებია: 1) ფართო, მოძრავი მანქეტის ფორმირება; 2) ფუნდოპლიკაციური მანქეტის ნაწილობრივი გახსნა; 3) კუჭის ფუნდუსის არასრული მობილიზება (20,56).

3. კლინიკური მასალა და მეთოდები

სადისერტაციო კვლევა ჩატარდა 2000 – 2010 წწ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ბაზაზე, შესწავლის იქნა 365 პაციენტი გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადებით, რომელთაც ამ დაავადების გამო ჩაუტარდათ სხვადასხვა სახის მკურნალობა, როგორც ოპერაციული ასევე კონსერვატიული თერაპიის გურსი. ფორმიებული იქნა გასტროეზოფაგური რეფლუქსური დაავადებით დაავადებული პაციენტების მიახლოებითი რანდომიზაცია. შეიქმნა ორი კლინიკური ჯგუფი: I – 123 პაციენტი, რომლებსაც გაუკეთდათ ლაპაროტომიული მიდგომით კრურორაფია, ნისენის ფუნდოპლიკაცია ა. ჩერნოუსოვის მოდიფიკაციით და II ჯგუფი – 120 პაციენტი, რომლებსაც ჩაუტარდათ ლაპაროსკოპიული კრურორაფია, ფუნდოპლიკაცია ნისენის და ნისენ-როზეგის წესით. კვლევაში მონაწილე პაციენტებიდან შესწავლილ იქნა გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების გავრცელება საქართველოში, მისი სპეციფიკური კლინიკური გამოვლინება და თავისებურებანი, გაკეთდა ნაოპერაციებ პაციენტებში ახლო და შორეული რეზულტატების (10 წლის პერიოდში) მონაცემების შეფასება და შედარება.

სადისერტაციო კვლევა ჩატარდა ავადმყოფობის ისტორიის, ლაბორატორიული და ინსტრუმენტალური კვლევების შედეგების, კლინიკური მონაცემების შესაბამისი ანალიზით, რაც ჩატარებულ იქნა როგორც კვლევის საწყის ეტაპზე, აგრეთვე ოპერაციის შემდგომ მთელი 10 წლის განმავლობაში, საჭიროების მიხედვით განმეორდა ენდოსკოპიური და რენდგენოლოგიური კვლევები. ოპერაციის შემდგომ ამ პაციენტებმა გასცეს სპეციალურ კითხვარებს პასუხი, გამოყენებულ იქნა GERD-HRQL SCALE კითხვარი, რის საშუალებითაც გამოვლინდა ნაოპერაციები პაციენტების ცხოვრების ხარისხი. წარმოებულ იქნა პაციენტების ანკეტირება, სადაც თავმოყრილ იქნა ყველა ზემოთ მოცემული მონაცემების შედეგები, გაკეთდა მათი კლინიკური და სტატისტიკური ანალიზი და მათზე დაყრდნობით მოხდა შორეული რეზულტატების შეფასება და შედარება.

3.1 კვლევის დიზაინი

სადისერტაციო კვლევა წარმოებულია პროსპექტულად და რეტროსპექტულად, მულტიცენტრულად, ორ კლინიკაში – ო.ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრი და თორაკო-აბდომინალური კლინიკა 2000 წლიდან 2010 წლამდე და მოიცავს გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების 365 ეპიზოდს.

ჩართვის კრიტერიუმებს წარმოადგენს:

20-83 წლის, ორივე სქესის გერდ-ით დაავადებული პაციენტები, რომლებმაც მომართეს კლინიკას, ჩაუტარდათ შესაბამისი კონსერვატიული მკურნალობის კურსი და სხვადასხვა სახის ანტირეფლუქსური თპერაცია, როგორც დია ისე ლაპაროსკოპიული მეთოდით (დია წესით – ა. ჩერნოუსოვის მოდიფიკაციით ნისენის ფუნდოპლიკაცია და ლაპაროსკოპიული მეთოდით – ნისენის და ნისენ-როზეტის ფუნდოპლიკაცია).

გერდ-ის დიაგნოზი დადასტურებული იყო ენდოსკოპიური, რენდგენოლოგიური, pH - მეტრის და კლინიკური მონაცემების შეჯამების საფუძველზე. გასტრო ეზოფაგერი რეფლუქსური დაავადების ხანდაზმულობა წამოადგენდა 7–8 წელიწადს და უმეტეს მათგანს ანამნეზში არაურთხელ ჩატარებული ჰქონდათ არაეფექტური კონსერვატიული თერაპიის კურსი.

გამოთიშვის კრიტერიუმები იყო:

მძიმე სომატური დაავადებები მაღალი თპერაციული რისკით, მათ შორის დეკომპენსირებული გულის უკმარისობა, სუნთქვის უკმარისობა, გადატანილი ინსულტი, ონკოლოგიური დაავადებები.

კვლევის სქემა:

ყველა პაციენტს უტარდებოდა რუტინული კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევა სპეციფიკურ სადიაგნოზო დონისძიებებს წარმოადგენდა: საყლაპავის და კუჭის რენდგენო-კონტრასტული კვლევა, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია ბიოფსიით და pH-მეტრია.

რანდომიზაცია და მკურნალობა:

გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადებით დაავადებული პაციენტებისგან შემთხვევითი, შერჩევითი რიცხვების საშუალებით წარმოიშვა ორი საკონტროლო ჯგუფი:

I ჯგუფი – (123 პაციენტი) – გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადებით დაავადებული პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ღია წესით ა. ჩერონოვსოვის მიერ მოდიფიცირებული ნისენის ფუნდოპლიკაცია.

II ჯგუფი – (120 პაციენტი) – გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადებით დაავადებული პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ლაპაროსკოპიული წესით ნისენის და ნისენ-როზეტის ფუნდოპლიკაცია.

ეფექტურობის შეფასება:

შორეული რეზულტატების შესწავლა მოხდა ამ დაავადების რეციდივის სიხშირის, დისფაგიის, რეინტერვენციალური ქირურგიის რაოდენობის და ნაოპერაციებ პაციენტებში შრომისუნარიანობის ხარისხის გამოვლინების მიხედვით. კერძოდ, ყველა ნაოპერაციები პაციენტის ცხოვრების ხარისხი შეფასდა GERD-HRQL SCALE (90), ოპერაციული მკურნალობის ეფექტურობის შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა Visick –ის მიერ შემუშავებული სქემა (91), ყველა ნაოპერაციებ პაციენტს ჩაუტარდათ ენდოსკოპიური კვლევა, საყლაპავის მდგომარეობა შეფასებულ იქნა Savary-Miller–ის კლასიფიკაციით და აუცილებლობის შემთხვევაში გაკეთდა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რენტგენო-კონტრასტული კვლევა.

სტატისტიკური ანალიზი

მონაცემები დამუშავდა (IBM – SPSS statistics) პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. ორ ჯგუფს შორის სხვადასხვა კატოგიკურების მიხედვით განსხვავებების სანდოობა შემოწმდა X^2 მეთოდის გამოყენებით, ხოლო ერთი ცვლადის განაწილება შემოწმდა არაპარამეტრული X^2 ტესტის გამოყენებით. სანდოთ მიიჩნა მნიშვნელობა როდესაც მნიშვნელოვნების კოეფიციენტი ნაკლებია $p < 0,05$.

შედეგები:

სადისერტაციო ნაშრომის შედეგები გამოვლინდა დასკვნის სახით, რაც მიღწეულ იქნა ამ კვლევის დისკუსიის, კონკრეტული პაციენტების რაოდენობის, მათი პროცენტული მაჩვენებლების, სტატისტიკური ანალიზის, საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვის და ექსპერტთა აზრების ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომის სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 5 თავს, 95 გვერდს, 15 ცხრლს, 13 სურათს. სადისერტაციო ნაშრომში ლიტერატურულ წყაროებად წარმოდგენილია მსოფლიოს მონაცემები, შეგფასებულია უახლესი რანდომიზირებული და კოპორტული კვლევების შედეგები, გერდ–ის მკურნალობის მეტაანალიზები, თანამედროვე

გაიდლაინები და პროტოკოლები, განხილულია როგორც დასავთეთ ქვეყნების ასევე ევროპის და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ექსპერთა აზრები.

3.2 გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების კლინიკური გამოვლინება

კვლევაში მონაწილე 365 პაციენტში, გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადება განსხვავდებოდა სტერეოტიკური მიმდინარეობით. დაავადების ხანდაზმულობა საშუალოდ მერყეობდა 7 – 8 წელიწადი. კვლევაში მონაწილე პაციენტების უმეტესობას წარმოადგენდა მამაკაცები 189 (51,7%). პაციენტების საშუალო ასაკი შეადგინდა 42,5 წელს (20 – 83 წელი), რაც შეესაბამება ლიტერატურულ მონაცემებს (26).

ზოგიერთი აგტორი ხაზს უსმევს გენდერულ განსხვავებას გერდის განვითარების, მიმდინარეობის და კლინიკური გამოვლინებების თვალსაზრისით. ჩვენ განვიხილეთ კვლევაში მონაწილე საერთო პაციენტების ასაკობრივ და სქესობრივ სტრუქტურას (ცხრილი 2.1).

ცხრილი 2.1 პაციენტების სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა

| ასაკი | მამაკაცი | | ქალი | |
|-------|-----------|------|-----------|------|
| | რაოდენობა | % | რაოდენობა | % |
| <30 | 39 | 20,6 | 26 | 14,7 |
| 31-40 | 42 | 22,2 | 35 | 19,8 |
| 41-50 | 40 | 21,1 | 46 | 26,1 |
| 31-60 | 35 | 18,5 | 34 | 19,3 |
| >60 | 33 | 17,4 | 35 | 19,8 |

კვლევაში მონაწილე გერდით დაავადებული პაციენტების უმეტესი ნაწილი ადრე უშედეგოდ მურნალობდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში. კუჭის და 12 გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების და ქრონიკული გასტრიტის დიაგნოზით მკურნალობდა 145 პაციენტი – (39,7%). გერდის დიაგნოზი ჰოსპიტლამდე პერიოდში დაუდგინდათ 78 პაციენტს (21,3%). აქედან გამომდინარე, ხანგრძლივი უშედეგო მკურნალობის და დაავადების დაგვიანებული დიაგნოსტიკის გამო კვლევაში მონაწილე პაციენტებში აღენიშნა გერდის მძიმე მიმდინარეობა. გულძმარვა იყო დაავადების ყველაზე ხშირი დამახსიათებელი სიმპტომი და შეგვხვდა 292 პაციენტში (80%). მისი ასეთი ხშირი გამოვლინება აიხსნება კუჭის

მუსიკა შეიცვლის სანგრძლივი კონტაქტით საყლაპავის დორწოვანზე. ეს სიმპტომი ძირითადათ გვხვდებოდა მწეველებში, დიეტის დარღვევის, ალკოჰოლის ჭარბი მიღების, ფიზიკური დატვირთვისა და გაზირებული სასმელების მიღების დროს.

ბოჟინი, როგორც ერთ-ერთი წამყვანი სიმპტომი შეგვხვდა 263 პაციენტში (72%). როგორც წესი იგი ძლიერდებოდა ჭამისა და გაზირებული სასმელის მიღების შემდეგ.

ტკივილი (ეპიგასტრიუმის მიღამოში და რეტროსტერნალური) შეგვხვდა 209 პაციენტში (57,2%), უმეტესად დიდი ზომის ჰიატალური თიაქრების დროს და წარმოიშობოდა საკვების მიღებისას და უმეტესად ძლიერდებოდა მოხრითი მოძრაობის შემდგომ.

სიმძიმის გრძნობა მუცელში აღენიშნა 187 პაციენტს (51,2%), რაც აისხება როგორც საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვა ორგანოების ორგანული და ფუნქციური დარღვევის გამოვლინება, გამოწვეული გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადებით.

გარდამავალი ხასიათის დისფაგია აღენიშნა 21 პაციენტს (5,7%), მიგვაჩნია, რომ დისფაგის მიზეზი იყო საყლაპავის ჰიპერმოტორული დისკინეზია გამოწვეული მისი პერისტალტიკური ფუნქციის დარღვევით. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ამ პაციენტებს ჩაუტარდათ დამატებითი კვლევა – მანომეტრია და სამ შემთხვევაში გამოვლინდა მყარი დისფაგია, აქედან ორ შემთხვევაში დადასტურდა, მათ შორის რენდგენოლოგიურად, საყლაპავის ახალაზის დიაგნოზი და ერთ შემთხვევაში მყარი დისფაგია, თანავდროულად გულმარვის შემცირებით, რაც აისხება საყლაპავის სტრიქტურის ჩამოყალიბებით, დაავადების ხანდაზმულობისა და ანამნეზში გერდის არაადექვატური თერაპიის შედეგად.

გერდის ექსტრაეზოფაგური გამოვლინება აღენიშნა 121 პაციენტს (33,1%). აქედან ქრონიკული ხველა – 11 პაციენტს (3,1%), ანევმონია – 5 პაციენტს (1,3%), ბრონქიალური ასთმა – 18 პაციენტს (4,9%), ფარინგიტი – 9 პაციენტს (2,6%), სიმულტანური სტენოკარდიის ნიშნები აღენიშნა 22 პაციენტს (6%), რომლებთაც ჩაუტარდათ შესაბამისი კარდიოლოგიური კვლევა და გამოირიცხა რაიმე კარდიოლოგიური დაავადება. ოდინოფაგია და ყელში ბუშტის შეგრძება აღენიშნა 56 პაციენტს (15,3%).

გერდის მძიმე გართულებები აღენიშნათ 23 პაციენტს (6,3%), 10 პაციენტან გამოვლინდა საყლაპავის სტრიქტურა, 5 პაციენტს აღენიშნა სისხლდენა საყლაპავის პეპტიკური წყლულიდან და ეროზიებიდან. ბიოფსიის შედეგად 8

პაციენტს დაუდგინდა ბარეტის საყლაპავი, მათ შორის 2 პაციენტს – წვრილ ნაწლავოვანი ეპითელიუმის მეტაპლაზია საყლაპავის ლორწოვნზე. 5 კგ-დან 10 კგ-მდე წონაში კლება აღენიშნა 26 პაციენტს.

გერდ-ის თანმხლები დაავადებები გამოვლინდა 114 პაციენტში (31,2%). 2.2 ცხრილში წარმოდგენიალია გერდ-ით დაავადებულ პაციენტებში სხვადასხვა პათოლოგიების რაოდენობრივი მონაცემები.

ცხრილი 2.2 გერდ-ით დავადებული პაციენტებში თანმხლები დაავადებები

| პათოლოგია | სიხშირე | |
|---------------------------------------|-----------|------|
| | დაოდენობა | % |
| გ.ი.დ. | 34 | 9,3 |
| ჰიპერტონული დაავადება | 37 | 10,1 |
| ქრონიკული ბრონქიტი, პნევმოსკლეროზი | 19 | 5,2 |
| სიმსუქნე II-IV ხ. | 21 | 5,7 |
| ნალვლ-კენჭოვანი დაავადება | 14 | 3,8 |
| წყლულოვანი დაავადება | 26 | 7,1 |
| შაქრიანი დიაბეტი | 14 | 3,8 |
| გარიკოზული დაავადება | 15 | 4,1 |

კვლევაში მონაწილე პაციენტებში ხშირად გამოვლინდა გ.ი.დ. და არტერიული ჰიპერტენზია, შედარებით იშვიათად შეგვხვდა სიმსუქნე და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის თანმხლები ქრონიკული დავადებები. უფრო იშვიათად გამოვლინდა გარიკოზული დაავადება და შაქრიანი დიაბეტი, როგორც არასპეციფიკური თანმხლები პათოლოგია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გერდ-ის სიმპტომოკომპლექსის შეფასებისას, ჩვენ აგრეთვე გავითვალისწინეთ თანხმლები დაავადებები, რაც რიგ შემთხვევაში გვაძლევდა საშუალებას გაგვესაზღვრა ოპერაციული მკურნალობის რისკები, პროცედურის ტიპი და მოცულობა.

3.3. რენტგენოლოგიური კვლევა

რენტგენოლოგიური კვლევა ჩატარდა სტანდარტული მეთოდით, „Siemens“ აპარატით, კონტრასტად გამოყენებულ იქნა ბარიუმის სულფატის ფაფა. გასტრო ეზოფაგური რეფლუქსის გამოსავლენად 1–2 ჭიქა ბარიუმის ფაფის მიღების შემდგომ კვლევა წარმოებულ იქნა პაციენტების ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ზურგზე ან ლატეროპოზიციაში (იგულისხმება მარცხენა გვერდი). იყო მცდელობა მუცელშიდა წნევის მომატების, მუცლის გაბერვით, ჩახველებითა და ლრმა ჩასუნთქვით.

რენტგენოლოგიურად საყლაპავის პეპტიკური წყლულის დიფერენციალური დიაგნოსტიკა გატარდა საყლაპავის დაწყლულებულ კიბოსთან, სისტემურ სკლეროდერმიასა და სხვა კოლაგენოზების დროს არსებულ საყლაპავის ცვლილებებთან.

რენტგენოლოგიური კვლევის შედეგად 365 პაციენტიდან 158 – ს (43,2%) აღენიშნა აქსიალური თიაქარი, 69 – ს (18,9%) – პარაეზოფაგური თიაქარი, 61 – ს (16,7%) შერეული თიაქარი, 77 – ს (21%) თიაქარი არ გამოუვლინდა, თუმცა აღენიშნათ კონტრასტის შენელებული გამავლობა საყლაპავში.

3.4 ენდოსკოპიური კვლევა

ეზოფაგოსკოპია სრულდებოდა სპეციალურ მაგიდაზე, პაციენტის გვერდზე და ზურგზე მდებარეობაში, რიგ შემთხვევაში მჯდომარე მდგომარეობაში. ეზოფაგოსკოპია ჩატარდა რბილი ფიბროენდოსკოპით, საყლაპავი მილი დათვალიერდა როგორც ენდოსკოპის კუჭისკენ სვილას, აგრეთვე ჟანა მიმართულებით – რეტროფლექსით.

პაერის ინტენსიური მიწოდებით ხდებოდა საყლაპავის ნაოჭების გახსნა და ლორწოვანი გარსის დათვალიერება, შესწავლით იქნა ლორწოვანი გარსის მთლიანობა, შეფერილობა, საყლაპავის კედლის პერისტალტიკა, ელასტიურობა და რიგიდობა.

ყველა პაციენტს აღენიშნა რეფლუქს-ეზოფაგიტის ენდოსკოპიური ნიშნები. საყლაპავის ლორწოვანი გარსის დაზიანების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა Savary-Miller ის კლასიფიკაცია (ცხრილი 2.3).

ცხრილი 2.3 Savary-Miller-ის კლასიფიკაცია

| სიმძიმის ხარისხი | ცვლილებების გამოვლინება |
|---------------------|--|
| I | ერთეული ეროზიები (ერითემა), რომლებიც იკავებს საყლაპავის დისტალური ნაწილის ლორწოვანი გარსის გარშემოწერილობის 10 %-ზე ნაკლებს. |
| II | ერთეული ეროზიები (ერითემა), რომლებიც იკავებენ საყლაპავის დისტალური ნაწილის ლორწოვანი გარსის გარშემოწერილობის 10-50%-ს. |
| III | ცირკულარული ეროზიები. |
| IV | პეპტიკური წყლული, სტრიქტურა, საყლაპავის ქვედა მესამედის ეპითელიუმის მეტაპლაზია. |

ენდოსკოპიური კვლევის შედეგად კვლევაში მონაწილე 365 პასციენტიდან SM I ხარისხი აღენიშნა 136 პაციენტს (37,2%), SM II ხარისხი – 152-ს (41,6 %), SM III ხარისხი გამოვლინდა 61 პაციენტში (16,7%). ხოლო SM IV ხარისხით აღენიშნათ 16 პაციენტს (4,3%).

3.5. პისტოლოგიური კვლევა

პაციენტების უმეტესს ჩაუტარდა ბიოფსია შემდგომი პისტოლოგიური კვლევით. ბიოფსიის ჩვენებას წარმოადგენდა ენდოსკოპიურად კარგად გამოხატული ეზოფაგიტის ნიშნები, ცირკულარული ეროზიები და პეპტიკური წყლულები, აგრეთვე საყლაპავის დისტალური ნაწილის უჯრედოვანი დისპლაზიის და მეტაპლაზიის ენდოსკოპიური ნიშნები. ბიოფსიის წარმოებისას გათვალისწინებული იქნა ის ფაქტი რომ ლორწოვანი გარსი შეიძლება იყოს ფიქსირებული და მის ქვემოთ მიმდინარეობდეს ქსოვილის პათოლოგიური პროცესი, რაც ართულებდა ღრმა ქირურგიულ მანიპულაციას, საყლაპავის პერფორაციის მაღალი რისკის გამო. საყლაპავის ლორწოვანი გარსის ბიოპტატის პისტოლოგიური სურათის ანალიზით შეფასდა ეპითელიუმის ცვლილებების ხარისხი. ეპითელიუმი იშვიათად ინარჩუნებდა ჩვეულებრივ სისქეს, რომელიც ვლინდება მხოლოდ კატარალური ეზოფაგიტების დროს და აგრეთვე ხანდაზმული დაავადების შემთხვევაში (რამოდენიმე თვიდან 1-2 წელი). არც თუ ისე იშვიათად გამოვლინდა ეპითელიუმის ატროფია, ეპითელიარული შრის გათხელება, თუმცა ატროფირებულ უჯრედებთან ერთად ვხდებოდით ეპითელიუმის ბლასტის პიპერტროფიულ ნაწილებს. ეპითელიუმის შრეობრიობა ადგილ-ადგილ დარღვეული იყო, თუმცა მიუხედავად ამისა გამოვლინდა ეპითელიალური უჯრედების (ეპითელიოციტების) სხვადასხვა ხარისხის დისტროფია. ერთეულ შემთხვევებში აღინიშნა დისტროფია კერატინოციტების ნეკროზით, განსაკუთრებით ეპითელიუმის ზედაპირულ შრეებში, მისი ბაზალური მემბრანა უმეტეს შემთხვევაში ინარჩუნებდა ჩვეულებრივ ზომებს, თუმცა გამოვლინდა ბაზალური მემბრანის გასქელების და სკლეროზირების რამოდენიმე შემთხვევა. ბიოპტატის პისტოლოგიური კვლევის საფუძველზე გამოვლინდა ბარეტის საყლაპავის 8 შემთხვევა, აქედან 2 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ნაწლავურ მეტაპლაზიას. პისტოლოგიური მონაცემების საფუძველზე კვლევიდან გამოითიშა პაციენტები გართულებული უჯრედოვანი დისპლაზიით.

3.6. ენდოსკოპიური ერთჯერადი pH - მეტრია

ენდოსკოპიური pH - მეტრია ამბულატორიის პირობებში ინფორმაციული მეთოდია გერდ-ით დაავადებულ პაციენტებში, განსაკუთრებით ატიპიური სიმპტომატიკის შემთხვევაში. როდესაც სტანდარტული მედიკამენტოზური თერაპია არაეფექტურია.

ცნობილია რომ გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადებით პაციენტებში ხშირად აღინიშნება კუჭის მარილმჟავას ჰიპერსეკრეცია, ამიტომ კუჭის pH - მეტრია დაგვეხმარა პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორის (PPI) დოზის კორეგირებაში.

ენდოსკოპიური კვლევისას წარმოებული იქნა ერთჯერადი pH მეტრია, რომლის საშუალებითაც შესწავლილ იქნა კუჭის და საყლაპავის მეგიანობა. ენდოსკოპის სამუშაო არხში 20 მლ ფიზიოლოგიური ხსნარით ჩარეცხვის შემდგომ შეყვანილ იქნა pH - მეტრის ელექტროდი, რომელიც მიტანილი იქნა ენდოსკოპიური კონტროლით საყლაპავის ქვედა მესამედში (Z - ხაზიდან 5 სმ-ის ზემოთ) და კუჭის კარდიალურ ნაწილში, რიგ შემთხვევაში ვიზუალირებადი ჰიატალური თიაქრისას თიაქრის პარკში, სადაც ლორწოვანთან კონტაქტის შემდგომ მონაცემები გადმოტანილ აციდოგასტრომეტრზე.

| ცხრილი | აციდოგრამა |
|----------------|--------------------------|
| pH > 5,0 | ანაციდური მდგომარეობა |
| 2,0 > pH < 5,0 | ჰიპოაციდური მდგომარეობა |
| 1,2 > pH < 2,0 | ნორმოაციდური მდგომარეობა |
| pH < 1,2 | ჰიპერაციდური მდგომარეობა |

კვლევაში მონაწილე 230 პაციენტს (63%) ჩატტარდა ენდოსკოპიური pH-მეტრია, საიდანც გამოვლინდა 27 პაციენტთან (11,7%) pH > 5,0 – ანაციდური მდგომარეობა, 69 პაციენტთან (30%) 2,0 > pH < 5,0 – ჰიპოაციდური მდგომარეობა, 99 პაციენტთან (43%) 1,2 > pH < 2,0 – ნორმოაციდური მდგომარეობა და 35 პაციენტთან (15,1%) pH < 1,2 – ჰიპერაციდური მდგომარეობა.

4. ოპერაციული მკურნალობის ჩვენება

ოპერაციული მურნალობის ჩვენებას წარმოადგენდა:

- 1) საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრის დიდი ზომები – პარაეზოფაგური და შერეული ტიპის თიაქრები, აქსიალური II და III ხარისხის თიაქრები,
- 2) გერდის დროს 6 თვიანი არაეფექტური ადექვატური კონსერვატიული მურნალობა pH მეტრის მონაცემების გათვალისწინებით,
- 3) გერდის გართულებები: რეფლუქს-ეზოფაგიტი, საყლაპავის პეპტიკური წყლული, პეპტიკური სტრიქტურა, სისხლდენა, ბარეტის საყლაპავი,
- 4) ატიპიური კარდიალური სიმპტომები,
- 5) თანმხლები დაავადებები – ფილტვის ქრონიკული დაავადებები, ბრონქიული ასთმა, არითმია და სხვა,
- 6) პაციენტების შედარებით ახალგაზრდა ასაკი.

4.1 ნისენის ფუნდოპლიკაცია ღია წესით

ზურგზე მწოლიარე მდგომარეობაში პაციენტი თავსდებოდა საოპერაციო მაგიდაზე. წარმოებულ იქნა ზედა-შუა ლაპაროტომია - მახვილისებრი მორჩიდან ჭიპამდე. მუცლის დრუს რევიზიის შემდგომ, თიაქრის პარკიდან მისი შიგთავსი ჩამოიტანილ იქნა მუცლის დრუში. თიაქრის პარკთან არსებული შეხორცებები ითიშებოდა მაკრატელით, ასეთ შემთხვევაში თიაქრის პარკი რჩება თავის ადგილზე - შუასაყარში და დროთა განმავლობაში განიცდის ობლიტირებას. შემდგომი ეტაპი - ანესთეზიოლოგის მიერ კუჭში მსხვილი ზონდის ჩადგმის შემდგომ საყლაპავის აბდომინური სეგმენტის მობილიზაციაა, რომელიც მიიღწევა დვიძლის სამკუთხედი იოგის გადაკვეთით, კავით, დვიძლის მარცხენა წილის გაწევის შემდგომ, დისექტორის საშუალებით კეთდება კარდიის უკან გვირაბი, რომელიც საჩვენებელი თითოთ ფართოვდება და ფიქსირდება პენროუზის დრენაჟით, შემდგომი ეტაპი წარმოადგენდა ცდომილი ნერვების იდენტიფიცირება, რაც ჩვენების მიხედვით იძლეოდა ვაგოტომიის წარმოების საშუალებას. საყლაპავის აბდომინური სეგმენტის მობილიზაციის და თიაქრის პარკიდან შიგთავსის ქვემოთ ჩამოტანის შემდგომ კეთდება საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის ექსპოზიცია, დიაფრაგმული ფეხების მობილიზება, თუმცა ტექნიკურად ადვილად შესრულების მიზნით, კრურორაფიამდე, კეთდება კუჭ-ელენთის იოგის მობილიზება - კუჭის მოკლე არტერიების ლიგირება, გადაკვეთა. შემდგომი ეტაპი წარმოადგენს კრურორაფიას და ჩვენი გამოცდილებით რეკომენდირებულია შესრულდეს უკანა პიატოპლასტიკა - დიაფრაგმის ფეხების 2–3 ნაკერით გაკერვით, ნეკა თითის კონტროლით. შემდგომი ეტაპი წარმოადგენს კუჭის ფუნდალური ნაწილით, საყლაპავის ადბომინური ნაწილის ირგვლივ (360 გრადუსიანი) ნისენის მანქეტის ფორმირებას, რომლის სიგრძე არ აღემატებოდა 2 – 2,5 სმ-ს. შემდეგი ეტაპია ა. ჩერნოუსოვის მოდიფიკაციით ფუნდოპლიკაციური მანქეტის დამატებითი ფიქსაცია: მანქეტის ზემოთ მისი ფიქსაცია საყლაპავის მარჯვენა და მარცხენა კედელზე (სურათი 2,8) და მანქეტის ქვემოთ მისი ფიქსაცია კარდიაზე (სურათი 2,9), რაც პრაქტიკულად გამორიცხავს მანქეტის დაცურებას კარდიაზე, პ.წ. “Slippage” სინდრომს და იძლევა პისის მახვილი კუთხის შენარჩუნების საშუალებას. ელენთასთან და მარცხენა დიაფრაგმის ქვეშა სივრცეში მიტანილია ერთი სილიკონის დრენაჟი - როგორც წესი მეორე დღემდე ამოიღებულ იქნა.




სურათი 2.1 საყლაპავის აბდომინური სეგმენტის მობილიზება




სურათი 2.2 ცდომილი ნერვების იდენტიფიცირება



სურათი 2.3 კრურორაფია – უკანა ჰიატოპლასტიკა (2-3 ნაკერი)



სურათი 2.4 დიაფრაგმული ხვრელის ექსემოცია და კუჭის ფუნდალური ნაწილი




სურათი 2.5 ნისენის ფუნდოპლიკაცია (ეტაპობრივად)



სურათი 2.6 ნისენის ფუნდოპლიკაცია (ეტაპობრივად)



სურათი 2.7 ნისენის ფუნდოპლიკაცია (მანქეტის სიგრძე 2 - 2,5 სმ)



სურათი 2.8 ა.ჩერნოუსოვის მოდიფიკაცია (ეტაპობრივად)




სურათი 2.9 ა.ჩერნოუსოვის მოდიფიკაცია (ეტაპობრივად)

123 პაციენტს გაუძეთდა ღია წესით კრურორაფია ნისენის ფუნდოპლიკაცია ა.ჩერნოუსოვის მოდიფიციკაციით. 26 პაციენტს თანხმლები 12 გოჯა ნაწლავის წლულოვანი დაავადებისას დაემატა სელექტიური პროქსიმალური ვაგოტომია, 3 პაციენტს თანხმლები ნაღვლ-კენჭოვანი დაავადებით - სიმულტანური ქოლეცისტექტომია, 2 პაციენტს - გიგანტური ზომის შერეული თიაქრისას - უპანა ჰიატოპლასტიკა გაკეთდა ბადით (კრურორაფია + Ultrapro -ს კომპოზიტური ბადე), 2 შემთხვევაში გაკეთდა სპლენექტომია: პირველი - ელენთის ლიმფომის გამო და მეორე შემთხვევაში - იატროგენული სპლენექტომია, როგორც ინტრაოპერაციული გართულება, ელენთის იატროგენული, ტრავმული დაზიანების გამო. ოპერაციის სანგრძლივობა მერყეობდა 90–160 წუთი. პოსპიტალიზაციის პერიოდი წარმოადგენდა 4–6 დღეს.

4.2 ნისენის ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაცია

120 პაციენტს გაუკეთდა ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაცია. პროცედურები წარიმართა ენდოტრაქეალური ნარკოზის ქვეშ, პაციენტის ზუგზე მწოლიარე მგდომარეობაში, ფეხები განზე (ლითოტომიური პოზიცია). ინტუბაციის შემდგომ, განაკვეთამდე კუჭში ჩაიდგა 10 მმ-იანი ნაზოგასტრალური ზონდი, გაკეთდა კუჭის ასპირაცია, ასპირაციის შემდგომ ზონდი რჩებოდა კუჭში. ლითოტომიური პოზიცია ქირურგს აძლევს საშუალებას იდგეს პაციენტის ფეხებს შუა და ჰქონდეს მოხერხებული მანიპულირების საშუალება მუცლის ზედა სართულზე მუშაობისას, ხოლო ასისტენტები განლაგდებიან პაციენტის მარჯვნიდან და მარცხნიდან. ქირურგის და ასისტენტების განლაგება წარმოდგენილია 2.10 სურათზე.

სურათი 2.10



საოპერაციო მაგიდაზე პაციენტი თავსდება შებრუნებულ ტრენდელენბურგის პოზიციაში კარგად ქვემოთ დახრილი, რაც ხელს უწყობს კუჭის და სხვა ორგანოების დაწევას დიაფრაგმიდან ქვემოთ, საყლაპავის დიაფრაგმულ ხვრელთან უკეთეს მანიპულირების საშუალებას.


პნევმოპერიტონიუმის შექმნა ხდებოდა ორი მეთოდით: პირველ შემთხვევაში ვიყენებდით ვერეშის ნემს. ჭიპის ქვემოთ ვაკეთებდით 3 მმ-იან განაკვეთს, მუცლის წინა კედელი, ჭიპის ირგვლივი მიდამო, კბილიანი მომჭერების საშუალებით იწეოდა მაღლა, თეთრ ხაზზე კანის გაკვეთის შემდგომ ნემსი ნელი მოძრაობებით მცირე მენჯისკენ თავსდებოდა მუცლის დრუში, ქირურგი გრძნობს ნემსის მუცლის დრუში ჩასვლის თავისებურ „ხმიანობას“. ვერეშის ნემსის მუცლის დრუში თავისუფლად არსებობის დარწმუნების მიზნით ტარდებოდა კონტროლი – ფიზიოლოგიური ხსნარის წვეთი ესხმევა ნემსის თავზე და ფასდება მისი მუცლის დრუში შუფერხებლად ჩასვლის მომენტი, აგრეთვე კეთდებოდა შპრიცით ვერეშის ნემსიდან ევაკუირებული შიგთავსის კონტროლი. ვერეშის ნემსის მუცლის დრუში არსებობის დარწმუნების შემდგომ კეთდება ნახშირ ორჟანგით ინსუფლიაცია, პნევმოპერიტონიუმის არსებობის დამადასტურეელი ნიშნებია: მუცლის კედლის დაჭიმულობა და დვიძლის მოყრუების არარსებობა. მუცელშიდა წნევა ოპერაციის დროს არ სცილდებოდა 15 მმ. ვრწ. სვ.

პაციენტებს, რომლებსაც ანამნეზში პქონდათ მუცლის დრუში ქირურგიული ჩარევა, დიდი ვარაუდით შეხორცებების არსებობა მუცლის წინა კედელსა და ნაწლავის მარყუებს შორის, ვერეშის ნემსით მუცლის დრუს ორგანოების დაზიანების საფრთხის არსებობის გამო, ჩვენ ვიყენებდით პირველი ტროაკრის ჩაყენების ეწ. „დია მეთოდს“. კეთდებოდა 10 მმ-იანი განაკვეთი, აპონევროზი ფიქსირდება დამჯერი ძაფებით, შემდგომ ვიზუალური და თითის კონტროლით მუცლის დრუში ჩაიდგა ჰანსონ – ის კანულა, საიდანაც წარმოებულ იქნა პნევმოპერიტონიუმი.

პნევმოპერიტონიუმის შექმნის შემდგომ, მუცლის დრუში ჩაიდგა ერთი 10 მმ-იანი ტროაკარი ჭიპიდან 5 სმ-ით ზემოთ თეთრ ხაზზე, მეორე 5 მმ-იანი ტროაკარი მახვილისებრი მორჩიდან 2,5 სმ-ით ქვემოთ თეთრ ხაზზე (სურათი 2.11).

ლაპაროსკოპი მოთავსდა ჭიპის ზემოთ არსებული ტროაკარიდან (A), ერთი 10 მმ-იანი ტროაკარი ჩაიდგა ლავიტშუა ხაზზე მარცხენა ნეპნქვეშა სივრცეში (D). ზედა – თეთრი ხაზის და მარცხენა ნეპნქვეშა არსებული ტროაკარები გამოიყენება საყლაპავის დიაფრაგმულ ხვრელთან მანიპულირებისთვის (B და D). 1 - 10 მმ-იანი

ტროაკარი მოთავსდა მარჯვენა ნეკნქვეშა სივრცეში დვიძლის რეტრაქტორისთვის (C). კიდევ უფრო ლატერალურად მარცხენა ნეკნქვეშა სივრცეში ჩაიდგა დამატებითი 5 მმ-იანი ტროაკარი (E), საიდანაც ასისტენტი ინსტრუმენტით ახორციელებს კუჭის ტრაქციას ქვემოთ (სურათი 2.11).




სურათი 2.11 ტროაკარების განლაგება.

დიაფრაგმის მარჯვენა ფეხის გამოყოფის მიზნით ჩვენ ვიყენებდით ენდოსკოპიურ კოაგულაციურ კავს და CT-11 პარმონიკ სკალპერს, რის საშუალებითაც იკვეთება კუჭ-დვიძლის იოგი, ცდომილი ნერვების დვიძლის ტოტების შენარჩუნებით – მათ ზემოთ. შემდგომი ეტაპი თიაქრის შიგთავსის

თიაქრის პარკიდან მოცილებაა, შეხორცებები ითიშება ენდოსკოპიური მაკრატელით კოაგულაციასთან ერთად. შემდგომი ეტაპი წარმოდგენს: მარცხენა და მარჯვენა დიაფრაგმული ფეხების მობილიზაციას, საყლაპავის ზემოდან პერიტონიუმის ფურცლის მოცილებას, ცდომილი ნერვების იდენტიფიცირებას და მათ დისექციას შეხორცებებისგან და ირგვლივ მდებარე ქსოვილებისგან გათავისუფლებას. შემდგომ სრულდება კუჭის ფუნდალური ნაწილის მობილიზება დიაფრაგმიდან – ელენთის ზედა პოლუსამდე. გამოვლინდა კუჭ-ელენთის იოგის სხვადასხვა ანატომიური ვარიანტები, სხვადასხვა დიამეტრის კუჭის მოკლე არტერიები, რიგ შემთხვევაში მათი ლიგირების და კვეთის შემდგომ ელენთის ზედა პოლუსმა ფერი შეიცვალა, გახდა იშემიური, ჩვენი გამოცდილებით, რაც უფრო დიდი დიამეტრის არის კუჭის მოკლე არტერიები და მათი რაოდენობა მცირეა, მით უფრო მაღალი რისკია ელენთის ზედა პოლუსის სისხლმომარაგების დარღვევის, ამიტომ ეს ინტრაოპერაცულად ფუნდოპლიკაციური მანქეტის ტიპის არჩევისთვის ერთ-ერთი საკვანძო მომენტია.


დიაფრაგმული ფეხების კარგი მობილიზებისა და საყლაპავის აბდომინური ნაწილის მარცხნივ და ზემოთ ტრაქციის შემდგომ საყლაპავის უკან ვაწარმოებდით დიაფრაგმის ფეხების გაკერვას 2–3 ნაკერით – იხურება შუასაყრის დეფექტი (უკანა პიატოპლასტიკა) – წარმოებულ იქნა კრურორაფია, კრურორაფიამდე ჩვენ კუჭში ვაყენებდით 40 Fr. გასტრალურ ზონდს.

84 პაციენტს გაუქეთდათ ნისენის წესით ფუნდოპლიკაცია. ლაპაროსკოპიულად ფუნდოპლიკაციური მაჟუტის ფორმირება ერთ-ერთი საპასუხისმგებლო მომენტია, აუცილებელია ოპერატორი – ქირურგის კოორდინაცია კუჭის ფუნდალურ ნაწილზე პირველი კვანძის წარმოებისას და შემდგომ ცირკულარული, 360 გრადუსიანი, მანქეტის ფორმირებისთვის. ჩვენს შემთხვევაში მანქეტის სიგრძე არ აღემატებოდა 3–4 სმ – ს და ედებოდა 3–4 სერო-სეროზული, კუნთოვან შრესთან ერთად, ნაკერი. ნისენის ფუნდოპლიკაციისთვის აუცილებელია კუჭ-ელენთის იოგის კარგი მობილიზება, მანქეტის ფორმირება ხდებოდა აგრეთვე 40 Fr. ზონდის კუჭში არსებობისას. ოპერაცია მთავრდება მარცხნივ ლატერალური 5 მმ-იანი ხვრელიდან მარცხენა დიაფრაგმის ქვეშა სივრცის დრენირებით (სურათი 2.12).



სურათი 2.12 ნისენის მანქეტის ფორმირება

ოპერაციის დროს კუჭ-ელენთის იოგის ანატომიური თავისებურებების, კუჭის მოკლე არტერიების გამოყოფისას არსებული ტექნიკური სირთულეების გამოვლინების დროს 36 პაციენტს გაუკეთდა ნისენ-როზეტის ფუნდოპლიკაცია (სურათი 2.13). 11 პაციენტს თანხმლები ნაღველ-კენჭოვანი დააგადების დროს დაემატათ ქოლეცისტექტომია. 3 პაციენტს – გიგანტური ზომის პიატალური თიაქრისას – უკანა პიატოპლასტიკა გაკეთდა ბადის გამოყენებით (კრურორაფია + Ultrapro –ს კომპოზიტური ბადე).



სურათი 2.13 ნისენ – როზეტის ფუნდოპლიკაცია.

გამოვლინდა 4 ინტრაოპერაციული გართულება – მედიასტინალური და კანქვეშა ემფიზემა. რენტგენოლოგიური კვლევით და აუსკულტაციით პნევმოთორაქსი არ აღინიშნა, რაც დრენირების გარეშე ორ დღეში აღავლა. ოპერაციის ხანგრძლივობა მერყეობდა 50–90 წუთი. საკონტროლო დრენაჟი ამოღებულ იქნა მეორე დღეს, პოსპიტალიზაციის ვადა საშუალოდ წარმოადგენდა 2,5–3 დღეს.

5. შედეგების ანალიზი

კვლევის შორეული რეზულტატების შესწავლა მოხდა 10 წლის პერიოდში, 2000 წლიდან 2010 წლამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ოპერაციის შემდგომ, პაციენტებს ჩაუტარდათ ენდოსკოპიური, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რენტგენო - კონტრასტული კვლევები, შესწავლილი იქნა დისპეპსიური გამოვლინებები ნაოპერაციებ პაციენტებში და მათი ცხოვრების ხარისხი შეფასდა GERD-HRQL SCALE საშუალებით (90). როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილი 3.1 წარმოდგენილი, ცხოვრების ხარისხის მაქსიმალური მაჩვენებელი წარმოადგენს 50 ქულას. კითხვარი შედგება 10 პუნქტისგან, შეფასებულია 5 ბალიანი შკალით, სადაც, რაც უფრო დაბალია ქულა, მით უფრო მაღალია ცხოვრების ხარისხი.

ცხრილი 3.1

GERD-HRQL SCALE

პაციენტის გვარი, სახელი: _____
თარიღი: _____

0 = სიმპტომები არ არის.

1= სიმპტომები აღინიშნება, მაგრამ არაშემაწუხებელია.

2= სიმპტომები შემაწუხებელია, თუმცა არა ყოველდღიურად.

3= სიმპტომები შემაწუხებელია ყოველდღე.

4= სიმპტომები ზეგავლენას ახდენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

5= სიმპტომები უნარს ართმევს – შეუძლებელია ყოველდღიური საქმიანობა.

გთხოვთ, შემოხაზოთ სწორი პასუხი მოცემულ კითხვებზე:

1. რამდენად შემაწუხებელია თქვენთვის გულძმარვა? 0 1 2 3 4 5
2. გულძმარვა მწოლიარე მდგომარეობაში? 0 1 2 3 4 5
3. გულძმარვა ფქნებები დგომისას? 0 1 2 3 4 5
4. გულძმარვა ჭამის შემდგომ? 0 1 2 3 4 5
5. გულძმარვამ შეცვალა თქვენი კვების რაციონი? 0 1 2 3 4 5
6. გაღვიძებთ გულძმარვა? 0 1 2 3 4 5
7. გაქვთ გაძნელებული ყლაპვა? 0 1 2 3 4 5

8. ყლაპვასთან ერთად გაწუხებთ ტკივილი? 0 1 2 3 4 5
9. გაქვთ ბოყინის და ამოქაფების შეგრძნება? 0 1 2 3 4 5
10. თუ დებულობთ მედიკამენტს, ეს როგორ მოქმედებს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე? 0 1 2 3 4 5

რამდენად ქმაყოფილი ხართ თქვენი ჯანმრთელობის დღევანდელი მდგრმარეობით?

დადებითი

ნეიტრალური

უარყოფითი

ყველა პაციენტისთვის შეიქმნა სპეციალური ანკეტა, სადაც თავმოყრილ იქნა კლინიკური მონაცემები, ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლებლები, აგრეთვა რენტგენოლოგიური და ენდოსკოპიური მონაცემები. ამ მონაცემების ირგვლივ დისკუსიის და მისი ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა დია და ლაპაროსკოპიული ანტირეფლუქსური ოპერაციული მკურნალობების შედეგების შესახებ.

კვლევის მონაცემების შორეული რეზულტატები შესწავლილი იქნა დაავადების რეციდივის სიხშირის, დისფაგიის, რეინტერვენციალური ქირურგიის საჭიროების რაოდენობის, ნაოპერაციები პაციენტების შრომისუნარიანობის ხარისხის მიხედვით.

სადისერტაციო კვლევაში, ანტირეფლუქსური ოპერაციების კლინიკური ეფექტის შედარების მიზნით გამოყენებულ იქნა Visick – ის მიერ შემუშავებული სქემა (91), რომელმაც შეიმუშავა გასტროდუოდენალური წყლულების ქირურგიული მკურნალობის უფექტის შეფასებისთვის. ამ სქემის მიხედვით ოპერაციის შემდგომ ცხოვრების ხარისხი ფასდება ოთხბალიანი სისტემით. ოპერაციული ჩარევის საუკეთესო რეზულტატის დროს (Visick –1) პაციენტი თავს გრძნობს ნორმალურად, ცხოვრობს აქტიური ცხოვრების წესით, საკვების უხვად მიღების შემდგომ აღნიშნავს ეპიზოდურ „კუჭში“ დისკომფორტს და მოცემული სიმპტომები ქრება თავისითავად. კარგი რეზულტატების დროს (Visick –2) პაციენტი ცხოვრების უმეტეს დროს თავს გრძნობს ნორმალურად, თუმცა პერიოდულად (1 – 2 ჯერ კვირაში) აღენიშნება გულძმარვა, ბოყინი, რაც PPI პრეპარატების მიღების შემდგომ მაღევე კუპირდება. დამაკმაყოფილებელი რეზულტატებისას (Visick –3) პაციენტებს საკვების მიღების შემდგომ, კვირაში 4–5 ჯერ, აღენიშნებათ გულძმარვა, ბოყინი, რაც PPI პრეპარატების მიღების შემდგომ ქრება. ასეთ პაციენტებს პერიოდულად

(წელიწადში 2–3 ჯერ) ესაჭიროება გერდის კონსერვატიული მკურნალობის შემანარჩუნებელი თერაპიის კურსი და ბოლოს, ცუდი რეზულტატებისას (Visick –4) პაციენტებს აწუხებთ გულმარვა, ბოყინი რაც საჯიროებს უწყვეტ კონსერვატიულ მკურნალობას.

5.1 კლინიკური ჯგუფების დახასიათება

პირველ ჯგუფს შეადგენდა 123 პაციენტი რომელთაც ჩაუტარდათ ლაპაროტომიული მიღებით კრურორაფია და ა. ჩერნოუსოვის მოდიფიკაციით ნისენის ფუნდოპლიაცია. მეორე ჯგუფს წარმოადგენდა 120 პაციენტი რომელთაც გაუკეთდა ლაპაროსკოპიული წესით კრურორაფია და სხვადასხვა ტიპის (ნისენი და ნისენ-როზეტის) ფუნდოპლიაცია.

კლინიკური ჯგუფების ჩამოყალიბებისას დაავადების ხანდაზმულობის, ასაკობრივ-სქესობრივი და დაავადების სიმძიმის ხარისხებს შორის გამოხატული სტატისტიკური ცვლილებები არ გამოვლინდა. (ცხრილი 3.2). პირველ ჯგუფში დაავადების ხანგრძლივობა შეადგენდა საშუალოდ 7 წელიწადს (13 წლიდან 3 წლამდე), ხოლო მეორე ჯგუფში საშუალოდ 7,5 წელიწადს (15 წლიდან 4 წლამდე). ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა რომ, როგორც ლაპაროტომიული ისე ლაპაროსკოპიული მიღებით ნაოპერაციები პაციენტების პროცენტული მაჩვენებელი მაღალი იყო ახალგაზრდა ასაკის მამაკაცებში, რაც აიხსნება დაავადების ადრეული დებიუტით, ქართველ მამაკაცებში ჭარბად მავნე ჩვევების არსებობით და გართულებების მაღალი ხარისხით, რომლებსაც დასჭირდათ ოპერაციული მკურნალობა.

ცხრილი 3.2. ჯგუფებს შორის დაავადების ხანდაზმულობის და ასაკობრივ - სქესობრივი თავისებურებანის შედარება

| მაჩვენებელი | | კლინიკური ჯგუფები | |
|----------------------------|----------|---------------------------|----------------------------|
| | | I ჯგუფი – 123 პაციენტი | II ჯგუფი – 120 პაციენტი |
| დაავადების ხანგრძლივობა | | 7 წელიწადი | 7,5 წელიწადი |
| სქესი | მამაკაცი | 65 (52,8%) | 62 (51,6%) |
| | ქალი | 58 (47,1%) | 58 (48,3%) |
| ასაკი | <30 | 17 (13,8%) | 20(16,6%) |
| | 31-40 | 28(22,7%) | 23(19,1%) |
| | 41-50 | 40 (32,5%) | 29(24,1%) |
| | 51-60 | 19 (15,4%) | 26(21,6%) |
| | >60 | 19(15,4%) | 22 (18,3%) |

ცხრილი 2.4 ოპერაციამდე კლინიკური და დიაგნოსტიკური გამოვლინებანი

| სიმპტომები | რენდგენო-კონტრასტული ქვლევა | ენდოსკოპია Savary-Miller |
|--------------------------------------|---|-----------------------------|
| გულძმარვა – 197 პ. – 81% | აქსიალური – 98 პ. – 40,3% | SM I b. – 82 პ. – 33,7% |
| ბოჭინი – 165 პ. – 67,9% | პარაეზოფაგური – 69 პ. – 28,3% | SM II b. – 107 პ. – 44% |
| ტკივილი – 130 პ. – 53,4% | შერეული – 61 პ. – 25,1% | SM III b. – 41 პ. – 16,8% |
| სიმძიმის გრძნობა – 118 პ. – 48,5% | ჰიატალური თიაქარი არ გამოვლინდა – 15 პ. – 6,1% | SM IV b. 13 პ. – 5,3% |

5.2 ლია წესით ფუნდოპლიკაციის შედეგები

ლია წესით ოპერაციის ხანგრძლივობა შეადგენდა საშუალოდ 1 სთ და 30 წთ. სტაციონარში დაყოვნების პერიოდი 4–6 დღე, რაც საუკეთესო რეზულტატია ასეთი ტექნიკური სირთულის და მოცულობის ოპერაციული მკურნალობისთვის. არც ერთ პაციენტთან ოპერაციის შემდგომი ჭრილობის დაჩირქებას ადგილი არ ქონია, სამ შემთხვევაში აღინიშნა ჭრილობის არეში კანქვეშა სერომა. სისხლის დანაკარგი ინტრაოპერაციულად წარმოადგენდა $125,5 \pm 35,5$ მლ. ინტრაოპერაციულად ერთ შემთხვევაში აღინიშნა ელენთის იატროგენული დაზიანება.

ამ ჯგუფში, ოპერაციის შემდგომ 6 თვის განმავლობაში 3 პაციენტს აღენიშნა ოპერაციის შემდგომი ვენტრალური თიაქარი, რომლებსაც დასჭირდათ რეინტერვენციალური ქირურგია – თიაქრის აღდგენითი ოპერაცია.

ოპერაციის შემდგომ 9 პაციენტს აღენიშნა მსუბუქი ხარისხის დისფაგია, რაც 1 თვიანი მედიკამენტოზური მკურნალობის შემდგომ ალაგდა. დაავადების რეციდივი არ გამოვლენილა.

Visick-ის შკალის მიხედვით საუკეთესო და კარგი რეზულტატები აღენიშნა 114 პაციენტს (92,6%-ს), დამაკმაყოფილებელი – 9 პაციენტს (7,3%), ცუდი შედეგი არ გამოვლენილა. ($p = 0,000 < 0,05$)

დამაკმაყოფილებელი რეზულტატების მქონე პაციენტებს ჩაუტარდათ განმეორებითი რენტგენო-კონტრასტული და ენდოსკოპიური კვლევა და დაავადების რეციდივი გამოვლენილ არ იქნა, 9 პაციენტს აღენიშნა მსუბუქი ხარისხის დისფაგია, რაც ერთ თვიანი მედიკამენტოზური მკურნალობის შემდგომ თავისთავად ალაგდა, არ დასჭირვებიათ საყლაპავის ბალონით დილატაცია.

ლია წესით ნაოპერაციებ პაციენტებში ცხოვრების ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდა, გერდ-ის სიმპტომატიკა უმეტეს შემთხვევაში საერთოდ გაქრა, შემცირდა სოციალური და ფიზიკური დისფუნქცია, გაუმჯობესდა პაციენტების გმოციური ფონი. ოპერაციის შემდგომი შორეული რეზულტატები შეფასდა (GERD-HRQL SCALE) შკალის მიხედვით, სადაც ცხოვრების ხარისხის ინდექსი წარმოადგენდა: 103 (83,7%) პაციენტთან 0–10 ქულას, 11 (8,9%) პაციენტთან 11–20 ქულას, 5 (4%) პაციენტთან 21–30 ქულას, ხოლო 4 (3,2%) პაციენტთან 31–40 ქულას. ცვლილებების აღწერილობა სტატისტიკურად იყო გამყარებული ($p < 0,05$).

შორეული რეზულტატების შეფასებისთვის ოპერაციის შემდგომ მთელი 10 წლის პერიოდში 123-ე პაციენტს ჩაუტარდათ ენდოსკოპიური კვლევა, სადაც

შეფასება მოხდა აგრეთვე Savary-Miller კლასიფიკაციით და გამოვლინდა: SM – I ხარისხი – 9 პაციენტთან (7,4%), SM – II ხარისხი – 5 პაციენტთან (4 %), SM III – ხარისხი გამოვლინდა 4 პაციენტში (3,2%). ($p < 0.05$)

ცხრილი 3.3 დია წესით ფუნდოპლიკაციების შორეული რეზულტატები

| Visick – ის სკალა | GERD – HRQL სკალა | Savary – Miller – ის კლასიფიკაცია |
|--------------------------|----------------------------|-----------------------------------|
| Visick 1 – 93 ჟ. – 75,6% | 0-10 ქულა – 103 ჟ. – 83,7% | SM I ხ. – 9 ჟ. – 7,4% |
| Visick 2 - 21 ჟ. – 17% | 11-20 ქულა – 11 ჟ. – 8,9% | SM II ხ. – 5 ჟ. – 4% |
| Visick 3 – 9 ჟ. – 7,3% | 21-30 ქულა – 5 ჟ. – 4% | SM III ხ. – 4 ჟ. – 3,2% |
| | 31-40 ქულა – 4 ჟ. – 3,2% | |

5.3 ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაციის შედეგები

ლაპაროსკოპიული ტექნიკით წარმოებული ოპერაციის ერთ-ერთი განსაკუთრებული მომენტი წარმოადგენს მინიმალურ ოპერაციულ ტრავმატიზმს და ქსოვილების დეტალური ვიზუალიზაციის საუკეთესო საშუალებას, მათ შორის სისხლძარღვოვანი და ნერვული ელემენტების კარგ ვიზუალიზაციას. პაციენტების კლინიკური ანალიზის წარმოებამდე ადსანიშნავია პნევმოპერიტონიუმის შექმნა, რის გამოც 3 შემთხვევაში გამოვლინდა კანქვეშა ემფიზემა. რენტგენოლოგიური და აუსკულტაციური მონაცემებით პნევმოთორაქსი არ გამოვლენილა და მეორე – მესამე დღეს დრენირების გარეშე ალაგდა.

ლაპაროსკოპიული მეთოდით ოპერაციული მკურნალობისას კიდევ ერთი დადებითი მომენტი წარმოადგენდა ოპერაციული ხანგრძლივობის სიმცირეს, რაც მერყეობდა 55წთ. დან 90 წთ.მდე, მხოლოდ ერთხელ დაგვჭირდა 3 საათი.

ადსანიშნავია ის მომენტიც, რომ ოპერაციის მინიმალური ხანგრძლივობა და ქსოვილების ნაკლები ტრავმატიზაცია იძლეოდა ნაკლებად გამოხატულ სუნთქვით ცვლილებებს და სუნთქვითი ექსკურსია მერყეობდა 22 დან 26 მდე წუთში, ხოლო ჟანგბადის მოცულობა შეადგენდა 8 დან 9,5 მდე ლიტრს წუთში.

ლაპაროსკოპიული ანტირეფლუქსური ოპერაციებისას სისხლის დანაკარგი შეადგენდა $35,5 \pm 10,5$ მლ. სისხლის დანაკარგის ასეთი დაბალი მაჩვენებელის არსებობის გარანტს წარმოადგენდა კარგი ვიზუალიზაცია და ჰემოსტაზი ბიპოლარული კოაგულაციით ან პარმონიული სკალპერის საშუალებით.

ამ ჯგუფში პაციენტების სტაციონარში დაყოვნების ვადები მერყეობდა საშუალოდ 2,5 – 3 საწოლდღე.

ინტრაოპერაციულად აღინიშნა შუასაყრის და კანქვეშა ემფიზემის ორი შემთხვევა, რომელიც გამოვლინდა ოპერაციის დაწყებიდან დაახლოებით ერთ საათში, ხოლო – ემფიზემის ორი შემთხვევა ორეცაციის დამთავრებიდან 4 და 5 საათის შემდგომ გამოვლინდა. არც ერთ შემთხვევაში პაციენტის არასტაბილურობას და დამძიმებას ადგილი არ ქონია, რენტგენოლოგიური კვლევით და აუსკულტაციური მონაცემებით პნევმოთორაქსი არ გამოვლენილა და დრენირების გარეშე სრულად ალაგდა მეორე – მესამე დღეს.

ახლომდებარე და შორეული რეზულტატების შეფასებისას ამ ჯგუფიდან 2 პაციენტს აღენიშნა გახანგრძლივებულად მყარი დისფაგია, რომლებსაც ჩაუტარდათ 2 ჯერადი პნევმოდილატაცია. ასევე 5 შემთხვევაში გამოვლინდა

გარდამავალი დისფაგია. ერთ პაციენტს აღენიშნა კარდიოს მყარი სტენოზი, რომელსაც დასჭირდა რელაპაროსკოპია, დიაფრაგმის ფეხებზე ერთი ნაკერის მოხსნა. ერთ შემთხვევაში გამოვლინდა ოპერაციის შემდგომი შეხორცებების გამო მანქეტის დეფორმაცია და კარდიოს მყარი სტენოზი, რომელსაც დასჭირდა აგრეთვე რელაპაროსკოპია და სინექიოლიზი. ერთ პაციენტთან დაფიქსირდა მანქეტის ნაწილობრივი ატანა შუასაყარში და გამოვლინდა დაავადების ნაწილობრივი რეციდივი, მსუბუქად გამოხატული რეფლუქსით, მედიკამენტოზური მურნალობის შემდგომ რეფლუქსის სიმპტომატიკა გაქრა. ოპერაციის შემდგომი ხანგრძლივი რეფლუქსი აღენიშნა სამ პაციენტს, რომლებსაც დასჭირდათ პროლონგირებულად PPI მკურნალობა. ოპერაციის შემდგომ ერთ პაციენტს აღენიშნა ეპიგასტრალური ტროაკრის ხვრელის თიაქარი, რაც განპირობებული იყო ხშირი ხველით და ნახველის ამოღებით, რაც გადადიოდა მასიურ დებინებაში.

Visick – ის შკალის მიხედვით საუკეთესო და კარგი რეზულტატები აღენიშნა 109 პაციენტს (90,8%–ს), დამაკმაყოფილებელი – 8 პაციენტს (6,6%), ცუდი შედეგი გამოვლინდა 3 პაციენტთან (2,5%) ($p < 0.05$).

ლაპაროსკოპიული ოპერაციის შემდგომ პაციენტებს დადებითი ეფექტი ძირითადათ აღენიშნათ მეორე დღესვე, გაქრა ჩიგილების ძირითადი ნაწილი, მკვეთრად გაუმჯობესდა ცხოვრების ხარისხი, აღენიშნათ დადებითი ემოციური ფონი. აგრეთვე ამ ოპერაციების შემდგომი შორეული რეზულტატები შეფასდა (GERD-HRQL SCALE) შკალის მიხედვით, სადაც ცხოვრების ხარისხის ინდექსი წარმოადგენდა: 88 (73,3%) პაციენტთან 0–10 ქულას, 12 (10%) პაციენტთან 11–20 ქულას, 9 (7,5%) პაციენტთან 21–30 ქულას, 6 (5%) პაციენტთან 31–40 ქულას, ხოლო 5 (4,1%) პაციენტთან 41–50 ქულას. ცვლილებების აღწერილობა სტატისტიკურად იყო გამყარებული $p < 0.05$.

შორეული რეზულტატების შეფასებისთვის ოპერაციის შემდგომ მთელი 10 წლის პერიოდში 120-ე პაციენტს ჩაუტარდათ ენდოსკოპიური კვლევა, სადაც შეფასება მოხდა აგრეთვე Savary-Miller კლასიფიკაციით და გამოვლინდა: SM – I ხარისხი – 10 პაციენტთან (8,3%), SM – II ხარისხი – 8 პაციენტთან (6,6 %), SM III – ხარისხი გამოვლინდა 5 პაციენტში (4,1%), SM – IV ხარისხი – 2 პაციენტთან (1,6%) ($p < 0.05$).

ცხრილი 3.4 ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაციების შორეული რეზულტატები

| Visick – ob ქველა | GERD – HRQL სქელა | Savary – Miller – ob კლასიფიკაცია |
|--------------------------|----------------------------|--------------------------------------|
| Visick 1 – 85 ჟ. – 70,8% | 0-10 ქველა – 88 ჟ. – 73,3% | SM I b. – 10 ჟ. – 8,3% |
| Visick 2 – 24 ჟ. – 20% | 11-20 ქველა – 12 ჟ. – 10% | SM II b. – 6 ჟ. – 6,6% |
| Visick 3 – 8 ჟ. – 6,6% | 21-30 ქველა – 9 ჟ. – 7,5% | SM III b. – 5 ჟ. – 4,1% |
| Visick 4 – 3 ჟ. – 2,5% | 31-40 ქველა – 6 ჟ. – 5% | SM IV b. – 2 ჟ. – 1,6% |
| | 41-50 ქველა – 5 ჟ. – 4,1% | |

6. დისკუსია

ამ სადისერტაციო ნაშრომა წარმოაჩინა საქართველოში გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების საინტერესო თავისებურებანი, რაც გამოიხატა მის განსაკუთრებულ მიმდინარეობაში. კვლევის საწყის ეტაპზე მონაწილე 365 პაციენტთან დაავადების ხანდაზმულობა წარმოადგენდა საშუალოდ 7 – 8 წელიწადს, რაც დამოკიდებული იყო ამ დაავადების დაგვიანებულ დიაგნოსტიკასთან. აქედან გამომდინარე საქმე გვქონდა გერდ-ის მძიმე ხარისხის მიმდინარეობასთან, კერძოდ საყლაპავის დიაფრაგმული ხვრელის თიაქრების მძიმე გამოვლინება (პარაეზოფაგური და შერეული თიაქრები) აღენიშნა 130 პაციენტს (35,6%), ენდოსკოპიური მონაცემებით Savary-Miller-ის კლასიფიკაციით 77 პაციენტთან (21%) გამოვლინდა SM - III და IV ხარისხი, 8 შემთხვევაში (2,2%) ბარეტის საყლაპავი, აქედან 2 პაციენტთან ნაწლავური მეტაპლაზიით. გერდ-ის მძიმე გართულებანი აღენიშნა 23 პაციენტს (6,3%), როგორიცაა საყლაპავის სტრიქტურა, საყლაპავის პეპტიკური წყლულებიდან სისხლდენა, ანგმია. 121 პაციენტს (33,1%) აღენიშნა გერდ-ის ექსტრაეზოფაგური გამოვლინება, მათ შორის უმეტეს წარმოადგენდა რესპირატორული და კარდიალური სინდრომები 43 (11,7%) vs 22 (6%), ოდინოფაგია და ყელში ბუშტის შეგრძნება აღენიშნა 56 პაციენტს (15,3%).

კვლევაში მონაწილე გერდ-ით დაავადებულ პაციენტებში გამოიკვეთა გენდერული განსხვავებანი და ასაკობრივი თავისებურებანი. მამაკაცები ჭარბობდნენ ქალებს, შესაბამისად 189 (51,7%) vs 176 (48,2%). გერდ-ი უმეტესად გამოვლინდა საშუალო 41-50 წლამდე ასაკის პაციენტებში - 86 პაციენტი (23,5%). ურადღება მიიპყრო ამ დაავადებით დაავადებული მამაკაცების ახალგაზრდა ასაკმა - 40 წლამდე - 81 პაციენტი (42,8%), სადაც აღინიშნებოდა გერდ-ის მძიმე ხარისხით მიმდინარეობა. ჩვენის აზრით გერდ-ით დაავადებული მამაკაცების ჭარბი რაოდენობა, ახალგაზრდა ასაკი, დაავადების მძიმე მიმდინარეობა აიხსნება არასწორი კვებით, ალკოჰოლის და თამბაქოს ხშირი მოხმარებით, საქართველოში არსებული სოციალური პირობებით და მძიმე ფსიქო-ემოციური დატვირთვით.

კვლევაში მონაწილე პაციენტების 80%-ს (292 პაციენტი) აღენიშნათ გულქმარვა როგორც წამყვანი სიმპტომი, მისი ასეთი ხშირი გამოვლინება აიხსნება კუჭის მუავა შიგთავსის ხანგრძლივ კონტაქტზე საყლაპავის ლორწოვანზე. ბოყინი შეგვხდა 263 პაციენტში (72%) და როგორც წესი იგი ძლიერდებოდა გაზირებული

სასმელის მედებისას. ძლიერი რეტროსტერნალური ტკივილი აღენიშნა 209 პაციენტს (57,2%), რაც ძირითადათ ვლინდებოდა პარაეზოფაგური და შერეული თიაქრების არსებობისას და მისი ასეთი ხშირი გამოვლინება მიუთითებს ამ დაავადების ანამნეზში არაეფექტურ და არასწორ მკურნალობაზე. დისფაგია აღენიშნა 21 პაციენტს (5,7%), საიდანაც ორ შემთხვევაში დადასტურდა საყლაპავის ახალაზის დიაგნოზი, ხოლო დარჩენილი 10 შემთხვევა ჩვენ ვფიქრობთ აიხსნება საყლაპავის სტრიქტურის ჩამოყალიბებით, გამოვლენილი სხვადასხვა ხარისხის დისფაგით და ესეც მიუთითებს ამ დაავადების ხანდაზმულობასა და გერდის არაადექვატურ თერაპიაზე. სიმძიმის გრძნობა მუცელში, როგორც საქართველოში გამოვლენილი გერდის ერთერთი მთავარი სიმპტომი, თუმცა მსოფლიო ლიტერატურის მიმოხილვისას იგი არ არის წარმოდგენილი როგორც გერდის ტიპური სიმპტომი, კვლევაში მონაწილე პაციენტებიდან აღენიშნა 187 (51,2%), რაც აიხსნება როგორც საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვა ორგანოების ორგანული და ფუნქციური დარღვევის გამოვლინება, გამოწვეული გასტროეზოფაგური რეფლუქსური დაავადებით.

ამ პროსპექტულმა შედარებითმა რანდომიზებულმა კვლევამ აჩვენა გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების ქირურგიული მკურნალობის ორივე მეთოდის (ღია და ლაპაროსკოპიული) კარგი და საუკეთესო შორეული (10 წლის პერიოდი) რეზულტატები (92,6 % vs 90,8 % შესაბამისად) ($p = 0,457$), რაც შეესაბამება მსოფლიო ლიტერატურის მონაცემებს (92,96,97,98,99,100,101,102,103,104).

წარმოვადგენთ და განვიხილავთ ღია და ლაპაროსკოპიული ტოტალური ფუნდოპლიკაციების შესახებ ლოტერატურაში არსებულ სხვადასხვა მონაცემებს:

M.Anvari, C. Allen – ის აზრით ლაპაროსკოპიული ნისენის ფუნდოპლიკაცია წარმოადგენს ეფექტურ ანტირეფლუქსურ პროცედურას და მისი საუკეთესო რეზულტატები ინახება არანაკლებ 5 წელიწადი, არაეფექტური კლინიკური გამოვლინება არ აღმატება 14%-ს (28).

Heikkinen TJ, Haukipuro K, Sorasto A et al. შეისწავლეს ლაპაროსკოპიული და ღია ნისენის ფუნდოპლიკაციის მოკლევადიანი რეზულტატები. პროსპექტულმა რანდომიზებულმა კვლევამ აჩვენა ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაციის შემდგომ ეზოფაგიტის ნაკლები გამოვლინება ვიდრე ღია წესით. ოპერაციამდე არსებული გერდის სიმპტომები ორივე ჯგუფში მკვეთრად შემცირდა გარდა მეტეორიზმისა და დისფაგიისა, თუმცა დისფაგია მეტი სისშირით აღენიშნათ ლაპაროსკოპიული

ტექნიკით ნაოპერაციებ პაციენტებს. ცხოვრების ხარისხის (GIQLI - სკალა) მაჩვენებლების შესამჩნევი განსხვავება არ გამოვლენილა (100).

Hakanson, Thor et al. თავიანთ კვლევაში აჩვენეს შედარებით უკეთესი ახლო სიმპტომური რეზულტატები დია ნისენის ფუნდოპლიკაცით ნაოპერაციებ პაციენტების ჯგუფში, თუმცა 3 წლის შემდგომ სიმპტომების კონტროლი იყო ერთნაირი ორივე ჯგუფში და აღინიშნა ლაპაროსკოპიული ნისენის ფუნდოპლიკაციების უკეთესი რეზულტატების ტენდენცია (103).

K.H.Fuchs – მა თავის კვლევაში აჩვენა ლაპაროსკოპიული და დია წესით ნისენის ფუნდოპლიკაციის შემდგომ თანაბარი ფუნქციური სტატუსი და ეფექტური რეფლუქსის კონტროლი აღინიშნა 85% – ზე მეტ შემთხვევაში (96,102).

Ruiz-Tovar J, Diez-Tabernilla M et al. აზრით როგორც ლაპაროტომიული ასევე ლაპაროსკოპიული ნისენის ფუნდოპლიკაცია წარმოადგენს გერდის მკურნალობის უსაფრთხო და ხანგრძლივი ეფექტის მქონე პროცედურას, თუმცა ლაპაროსკოპიულ ტექნიკას გააჩნია მცირე ინგაზიური ქირურგიული ოპერაციის შემდგომი უპირატესობა (106).

Salminen P, Hurme S, Ovaska J აზრით ლაპაროსკოპიული ნისენის ფუნდოპლიკაცია არის გერდის მკურნალობის არჩევის მეთოდი, მათ მიერ 15 წლიანი შორეული რეზულტატების შედეგად დია და ლაპაროსკოპიული ტოტალური ფუნდოპლიკაციების სიმპტომების კონტროლი ერთიდაიგივეა ორივე ჯგუფში, ერთადერთი დია წესით ნაოპერაციებ პაციენტებში მცირედ მეტი რაოდენობა გამოვლინდა ფუნდოპლიკაციური მანქეტის დარღვევის და აგრეთვე ამ კვლევამ აჩვენა ნისენის ფუნდოპლიკაციის შემდგომ პროტონული ტუმბოს გამოყენების მატების ტენდენცია (107).

ჩვენი კვლევის შედეგების რეტროსპექტულმა ანალიზმა გამოავლინა ოპერაციული მკურნალობების, როგორც ლაპაროსკოპიული ისე დია წესით წარმოებული პროცედურების საინტერესო თავისებურებანი და საუკეთესო ადრეული რეზულტატები.

ლაპაროსკოპიული ჩარევისას აღინიშნა ორგანოების და ქსოვილების ნაკლები ტრაგმატიზაცია, ქსოვილების და სისხლძარღვების კარგი ხილვადობა, რაც იძლეოდა ჰემოსტაზის კონტროლის საუკეთესო საშუალებას, ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაციისას სისხლის დანაკარგი წარმოადგენდა საშუალოდ 35 ± 10 მლ, ხოლო დია წესით ჩარევისას 125 ± 35 მლ. აგრეთვე დადებითი მომენტი გამოვლინდა ოპერაციის ხანგრძლივობაში – ლაპაროსკოპიული $55 - 90$ წ. vs დია

90 – 120 წთ. ინტრაოპერაციული გართულება დია წესით ა. ჩერნოუსოვის მოდიფიკაციით ნისენის ფუნდოპლიაციისას გამოვლინდა 1 შემთხვევაში – იატროგენული სპლენექტომია. ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაციისას აღინიშნა 3 შემთხვევა კანქვეშა და 2 შემთხვევა შუასაყრის ემფიზემის, არც ერთ შემთხვევაში პაციენტის არასტაბილურობას და დამძიმებას ადგილი არ ქონია, რენტგენოლოგიურად პნევმოთორაქსი არ გამოვლენილა და მე-2, მე – 3 დღეს დრენირების გარეშე თავისთავად ალაგდა.

სტაციონარში დაყოვნების პერიოდი დია წესით ოპერაციის შემდგომ მერყეობდა 4 – 6 დღე, ხოლო ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაციის შემდგომ 2,5 – 3 დღე. ოპერაციის შემდგომი ჭრილობის ტკივილი დია წესით ოპერაციის შემდგომ პაციენტებთან გასტანა საშუალოდ 3 – 5 დღე, ხოლო ლაპაროსკოპიული ჩარევის შემდგომ ტკივილის სინდრომი უმნიშვნელო იყო და ისიც 1 – 2 დღე. პოსტოპერაციული ჭრილობის დაჩირქება არც ერთ შემთხვევაში არ გამოვლენილა, მხოლოდ 3 დია წესით ნაოპერაციებ პაციენტებთან აღინიშნა ლაპაროტომიული ჭრილობის კანქვეშა სერომა. ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიაციის შემდგომ პაციენტებთან სრულად შრომისუნარიანობა აღდგა 7 – 10 დღეში, ხოლო დია წესით ჩარევის შემდგომ გასტანა 12 – 21 დღე.

ამ მონაცემების საფუძველზე გამოვლინდა ლაპაროსკოპიული ნისენის ფუნდოპლიკაციის ინტრაოპერაციული და ოპერაციის შემდგომი ადრეული შედეგების გარკვეული უპირატესობა, ვიდრე დია წესით წარმოებული ოპერაციებისა, რასაც კიდევ ემატება ლაპაროსოპიული მეთოდის საუკეთესო კოსმეტიკური ეფექტი.

სადისერტაციო ნაშრომში მონაწილე პაციენტებში ჩატარებული პროცედურების შორეული რეზულტატების ანალიზით გამოვლინდა რომ ლაპაროსკოპიული ტოტალური ფუნდოპლიკაციის შემდგომ დისფაგია აღენიშნა 7 პაციენტს (5,8%) ($p <0,005$) მათ შორის 2 შემთხვევაში მყარი დისფაგია, რომელთაც დასჭირდათ რამდენიმეჯერ საყლაპავის პნევმოდილატაცია, ხოლო დია, ა. ჩერნოუსოვის მოდიფიკაციით წარმოებული ნისენის ფუნდოპლიკაციის შემდგომ დისფაგია აღენიშნა 9 პაციენტს (7,3%) ($p <0,005$). გერდის რეციდივი გამოწვეული Slippage – სინდრომით, საყლაპავის მყარი სტენოზი და რეფუნდოპლიკაცია ლაპარასკოპიით ნაოპერაციებ 5 (4,1%) პაციენტს აღენიშნათ, როდესაც მსგავსი რამე დია წესით ნაოპერაციებ პაციენტებში არ გამოვლენილა ($p=0,02 < 0,05$). რეინტერვენციალური ქირურგია დია წესით ნაოპერაციებ პაციენთებთან

დასჭირდათ 3 შემთხვევაში და სამივე შემთხვევა წარმოადგენდა პოსტოპერაციული ვენტრალური თიაქრის აღდგენით პროცედურას, ხოლო ლაპარასკოპიული მეთოდით ნაოპერაციებ პაციენტებსაც დასჭირდათ აგრეთვე 3 შემთხვევაში, მათგან 2 შემთხვევა – გერდ-ის რეციდივის გამო, ხოლო 1 შემთხვევა წარმოადგენდა ეპიგასტრალური ტროაკარის თიაქრის აღდგენით ოპერაციას (ცხრილი 4.1) ($p=0,078$ დაახლოებით = 0,05).

ცხრილი 4.1 ღია vs ლაპაროსკოპიული ტოტალური ფუნდოპლიკაცია,
შორეული (10 წლის პერიოდი) რეზულტატები

| | ღია წესით ა.ჩერნოუსოვის მოდიფიკაცია – 123 პაციენტი | ლაპაროსკოპიული ტოტალური ფუნდოპლიკაცია – 120 პაციენტი | P value |
|-------------------------------|--|---|-----------|
| გერდ-ის რეციდივი | 0 არ გამოვლინდა | 3 პაციენტი – 2,5% | $p=0,02$ |
| დისფაგია | 9 პაციენტი – 7,3% | 7 პაციენტი – 5,8% | $p<0,05$ |
| რეფლუქსი | 0 არ გამოვლინდა | 3 პაციენტი – 2,5% | $p=0,02$ |
| რეინტერვენციალური ქირურგია | 3 პაციენტი – 2,4% პოსტოპერაციული ვენტრალური თიაქარი | 3 პაციენტი – 2,5% ერთ შემთხვევაში ეპიგასტრალური ტროაკარის თიაქარი | $p=0,078$ |

მოცემულ კვლევაში ჩატარებული GERD-HQRL კითხვარი, Visick –ის სკალით პაციენტების შორეული რეზულტატების ანალიზი და ენდოსკოპიული მონაცემები გვაძლევს საფუძველს რომ ვაღიაროთ ღია, ა. ჩერნოუსოვის მოდიფიკაციით ნისენის ფუნდოპლიკაციის შედარებით უკეთესი საყლაპავის ფუნქციონალური სტატუსი, ვიდრე ლაპაროსკოპიული ტოტალური ფუნდოპლიკაცია, რაც წარმოდგენია 4.2 ცხრილში.

ცხრილი 4.2 დია vs ლაპაროსკოპიული ტოტალური ფუნდოპლიაცია
შორეული რეზულტატები (10 წლის პერიოდი)

| | დია წესით ა.ჩერნოუსოვის მოდიფიკაცია 123 პაციენტი | ლაპაროსკოპიული პროცედურა 120 პაციენტი | p value |
|--------------------------------------|---|--|---------|
| Visick – ის სკალა | Visick 1 – 93 პ. – 67,4% Visick 2 – 31 პ. – 25,2% Visick 3 – 9 პ. – 7,3% | Visick 1 – 85 პ. – 70,8% Visick 2 – 24 პ. – 20% Visick 3 – 8 პ. – 6,6% Visick 4 – 3 პ. – 2,5% | P=0,3 |
| GERD-HRQL – ის სკალა | 0–10 ქულა – 103 პ. – 83,7% 11–20 ქულა – 11 პ. – 8,9% 21–30 ქულა – 5 პ. – 4% 31–40 ქულა – 4 პ. – 3,2% | 0–10 ქულა – 88 პ. 73,3% 11–20 ქულა – 12 პ. – 10% 21–30 ქულა – 9 პ. 7,5% 31 – 40 ქულა – 6 პ. – 5% 41–50 ქულა – 5 პ. – 4,1% | P=0,10 |
| Savary – Miller – ის კლასიფიკაცია | SM I ბ. – 9 პ. – 7,4% SM II ბ. – 5 პ. – 4% SM III ბ. – 4 პ. – 3,2% | SM I ბ. – 10 პ. – 8,3% SM II ბ. – 6 პ. – 6,6% SM III ბ. – 5 პ. – 4,1% SM IV ბ. – 2 პ. – 1,6% | P=0,68 |

დასკვნა:

1. საქართველოში გასტრო ეზოფაგური რეფლუქსური დაავადების ძირითად სიმპტომებს წარმოადგენს: გულმარვა 80%, ბოყინი 72%, რეტროსტერნალური ტკივილი 57,2% და სიმძიმის გრძნობა 51,2%.
2. გერდის ახალგაზრდა მამაკაცებში ხშირი გამოვლინება აიხსნება არასწორი ცხოვრების წესით, კერძოდ: თამბაქოს და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებით, არასწორი კვებით, სიმსუქნით და ნაკლებად აქტიური ცხოვრების წესით.
3. გერდის ქირურგიული მკურნალობის დადებითი ეფექტის მთავარ კრიტერიუმად ითვლება ამ დაავადების ადრეული და სწორი დიაგნოსტიკა და თანამედროვე ანტირეფლუქსური პროცედურების რაციონალური გამოყენება.
4. ლაპაროსკოპიული ტოტალური ფუნდოპლიკაცია ითვლება გერდის მკურნალობის არჩევის მეთოდათ, აღინიშნება ოპერაციის შემდგომი ადრეული და შორეული საუკეთესო რეზულტატები (90,8%) და დისფაგიის ნაკლები გამოვლინება.
5. ლაპაროსკოპიული ფუნდოპლიკაციისას ანატომიური თავისებურებანის გამოვლინებისას და კუჭ-ელენთის იოგის მობილიზაციის შეუძლებლობისას, ნისენის ფუნდოპლიკაციის ნაცვლად უმჯობესია წარმოებულ იქნას ნისენ-როზების ფუნდოპლიკაცია, რომელიც აგრეთვე ეფექტური ანტირეფლუქსური პროცედურაა.
6. დია ა. ჩერნოუსოვის მოდიფიკაციით წარმოებული ნისენის ფუნდოპლიკაცია უსაფრთხო და ეფექტური პროცედურაა, ახდენს Slippage – სინდრომის პრევენციას, ხასიათდება რეფლუქსის უკეთესი კონტროლით, რეციდივის ნაკლები სიხშირით და იძლევა საყლაპავის უკეთეს ფუნქციურ სტატუსს და შორეული შედეგების კარგ მაჩვენებლებს (92,6%).
7. ორივე მიდგომა ხასიათდება თითქმის თანაბარი ეფექტურობით გერდით დაავადებული პაციენტების მკურნალობისას და უნდა ირიცხებოდეს საყლაპავის ქირურგიის ტექნიკურ არსენალში.
8. ლაპაროტომიული მიდგომა შეიძლება განიხილებოდეს როგორც „პარაშუტი“ ლაპაროსკოპიული მიდგომიდან კონვერსიის დროს ტექნიკური პრობლემების არსებობის შემთხვევაში.

ლიტერატურის ჩამონათვალი:

1. Киладзе М.А. Гиуашвили Ш.Т. Современные аспекты хирургического лечения гастроэзофагеальной рефлюксной болезни: наш опыт и обзор литературы// Georgian Medical News -ISSN 1512-0112 – Октябрь 2011 No 10 (199). – С. 7-13.
2. Алешкseenko C.A. Алгоритмы диагностики и лечения гастроэзофагеальной рефлюксной болезни // гастроэнтерология, гепатология.-2006.-№2.-С. 45-50.
3. Бабак О.Я., Фадеенко Г.Д. Гастроэзофагеальная рефлюксная болезнь: Монография. – К., Интерфарма, 2000.-175с.
4. Василенко В.Х., Гребенев А.Л., Сальман М.М. Болезни пищевода: Монография. – М., Медицина, 1971. – 406 с.
5. Василенко В.Х., Суворова Т.А., Гребенев А.Л. Ахалазия кардии: Монография. – М., Медицина, 1976. – 280 с.
6. Васильев Ю.В. Гастроэзофагеальная рефлюксная болезнь: патогенез, диагностика, медикаментозное лечение// Consilium-medium. – 2002. - №4. С. 16-19.
7. Видеоэндоскопическая хирургия пищевода: Монография / В.И. Оскретков, В.А. Ганков, А.Г. Климов и др. – Барнаул: Аз Бука, 2004. 159 с.
8. Гаджиев А.Н. Современные представления о нейромышечных заболеваниях пищевода // Анналы хирургии. – 2000. - №1. Сю 26-32.
9. Грубник В.В., Малиновський А.В. Малоіновазивні операції в лікуванні захворювань стравоходу // Ваше здоров'я. - №40. –С.13.
10. Грубник В.В., Малиновський А.В. Миниинвазивные методы лечения ахалазии кардии// Актуальні проблеми панкреатобіліарної та судинної хірургії: Матеріали Всеукраїнської наукової конференції (26-27 лютого 2007 р.). Київ: Інститут хірургії і трансплантології ім. О.О. Шалімова АМН України / Клінічна хірургія.-2007.- Клінічна хірургія. – 2007. - №2-3. – С. 45.
11. Грубник В.В., Малиновський А.В., Медведев О.В. Эффективность лапароскопических антрефлюсных операций в лечении внепищеводных проявлений гастроэзофагиальной рефлюксной болезни // Хірургія України. – 2007. - №4. – С. 8-12.
12. Грубник В.В., Мельниченко Ю.А., Малиновський А.В. Особенности диагностики и лечения восполительно-дегенеративных заболеваний пищевода // Сучасна діагностична та лікувальна ендоскопія: Матеріали Всеукраїнської наукової конференції (29-30 вересня 2006 р.). – Київ: Асоціація лікарів-ендоскопістів України / Український журнал малоіновазивної та эндоскопичної хірургії. – 2006. №3. – С. 26-27.

13. Діагностична та лікувальна ендоскопія травного каналу: Атлас / В.Й. Кімкович, В.В. Грубнік, Ю.А. Мельниченко, І.М. Тумак-Львів: Mc, 2003. – 220 с.
14. Ивашкин В.Т., Трухманов А.С. Болезни пищевода: патологическая физиология, клиника, диагностика, лечение: Монография. – М., Триада-Х, 2000. – 180 с.
15. Никишаев В.И., Головин С.Г., Лемко И.И. Гастроэзофагеальная рефлюксная болезнь // Український журнал малоінвазивної та эндоскопічної хірургії. – 2004. - №8. – С. 20-28.
16. Окороков А.Н. Диагностика болезней внутренних органов: Руководство в семи томах. – М.: Медицинская литература, 2002. – Т. 1. – 560 с.
17. Окороков А.Н. Лечение болезней внутренних органов: Руководство в семи томах. – М.: Медицинская литература, 2001. – Т. 1. – 540 с.
18. Оскректов В.И., Казарян В.М., Ганков В.А., Климов А.Г. Выбор метода лечения больных ахалазией кардии // Вестник хирургии. – 2003. - №1. – С. 32-35.
19. Передерий В.Г., Чернявский В.В. Изжога. Опасно ли это?: Монография. – Луганск, Луганская областная типография, 2004. – 170 с.
20. Пучков К.В., Филимонов В.В. Грыжи пищеводного отверстия диафрагмы: монография. – М., Медпрактика-М, 2003. – 171 с.
21. Саенко В.Ф., Тивончук А.С., Андреещев С.А. и др. Первый опыт лапароскопической эзофагокардиомиотомии при ахалазии кардии // Клінічна хірургія. – 2003. - №2 – С. 13-16.
22. Фадеенко Г.Д. Внепищеводные проявления гастроэзофагельной рефлюксной болезни: как их распознать? // Сучасна гастроентерологія. – 2004. - №3 – С. 12-17.
23. Функциональная диагностика в гастроэнтерологии: Монография / О.А. Сабин, В.Б. Гриневич, Ю.П. Успенский, В.А. Ратников. - М.: Триада-Х, 2003. – 125с.
24. Черноусов А.Ф., Богопольский П.М., Курбанов Ф.С. Хирургия пищевода: Монография. – М.: Медицина, 2000. – 352 с.
25. Шалимов А.А., Саеко В.Ф., Шалимов С.А. Хирургия пищевода: Монография. – М.: Медицина, 1975. – 368с.
26. Шулутко А.М., Моисеев А.Ю., Казарян А.М. Эндоскопическая хирургия в лечении ахалазии пищевода // Эндоскопическая хирургия. – 2001. - №5. – С. 16-20.
27. Фомин П.Д., Грубник В.В. Неопухолевые заболевания пищевода: Монография – Киев, ООО “Бизнес-Интеллект”. 2008г.-304с.
28. Allen C.J., Anvari M. Does laparoscopic fundoplication provide long-term control of gastroesophageal reflux related cough? // Surgical endoscopy. – 2002. – Vol. 16, №4. – P. 633-637.

29. Armstrong D., Bennett J.R., Blum A. et al. The endoscopic assessment of esophagitis: a progress report on observer agreement // *Gastroenterology*. 1996. – Vol. 111, №1 – P. 85-92.
30. Bowrey D.J., Peters J., DeMeester T.R. Gastroesophageal reflux disease in asthma. Effects of medical and surgical antireflux therapy asthma control // *Annals of surgery*. – 2000. – Vol. 231, №2. – P. 161-172.
31. Champion G., Richter J.E., Vaezi M.F. et al. Duedonogastroesophageal reflux: relationship to pH and importance in Barrett's esophagus // *Gastroenterology*. – 1994 – Vol. 107, №10. – P. 747-754.
32. Billard CM. *traite des Maladies des Enfants Nouveaux-Nes et a la Mamelle: Fondé sur de Nouvelles Observations Cliniques et d'Anatomie Pathologique, Faites a l'Hopital des Enfants-Trouvés de Paris, dans le Service de M. Baron*. Paris: J.B. Bailliere; 1828.
33. Zenker FA, von ZiemsenH. Diseases of the esophagus. In: *Cyclopedia of the Practice of Medicine*. Vol 8. New York: William Wood; 1878: 1-214.
34. Quineke H. Esophageal ulcers from digestive juice (ulcus oesophagi ex digestione). *Dtsch Arch Klin Med*. 1879;24:72.
35. Winklestein A. Peptic esophagitis: a new clinical entity. *JAMA*. 1935;104:906.
36. Allison PR. Reflux esophagitis, sliding hiatal hernia and anatomy of repair. *Surg Gynecol Obstet*. 1951;92:419-431.
37. Hochberg LA. *Thoracic Surgery before the 20th Century*. New York: Vantage Press; 1960.
38. Akerlund A, Onnell H, Key E. Hernia diaphragmatica hiatus oesophagei vom anastomischen und roentgenologischen gesichtspunkt. *Acta Radiol*. 1926;6:3-22.
39. Seresi AL. Diaphragmatic hernia: its unsuspected frequency: diagnosis and technique for radical cure. *Ann Surg*. 1919;69:254-270.
40. Harrington SW. Diaphragmatic hernia. *Arch Surg*. 1928;16:386-415.
41. Harrington SW. The surgical treatment of the more common types of diaphragmatic hernia: esophageal hiatus, traumatic, pleuroperitoneal hiatus, congenital absence and foramen of Morgagni: report of 404 cases. *Ann Surg*. 1945;122:546-568.
42. Sweet RH. Diaphragmatic hernia. In: Sweet RH, ed. *Thoracic Surgery*. Philadelphia: WB Saunders; 1950:316-334.
43. Nissen R. Eine einfache Operation zur Beeinflussung der Refluxoesophagitis. *Schweiz Med Wochenschr*. 1956;86:590-592.
44. Liebermann-Meffer, Stein H. *Rudlf Nissen and the World Revolution of fundoplication*. St Louis, MI: Quality Medical Publishing Inc; 1999.

45. Alisson PR. Hiatus hernia (a 20 year retrospective survey). *Ann Surg.* 1973;178:2730276.
46. Hill LD, Tobias J, Morgan EH. Newer concepts of the pathophysiology of hiatal hernia and esophagitis. *Am J Surg.* 1966;111:70-79.
47. Hill LD. An effective operation for hiatal hernia: an eight-year appraisal. *Ann Surg.* 1967;166:681-692.
48. Hill LD, Kozarek RA. The gastroesophageal flap valve. *J Clin Gastroenterol.* 1999;28:194-197.
49. Hill LD, Kozarek RA, Kramer SJ, et al. The gastroesophageal flap valve: in vitro and in vivo observations. *Gastrointest Endosc.* 1996;44:541-547.
50. Dor J, Humbert P, Dor V, et al. the role of modified Nissen procedure in the prevention of reflux following Heller's extramucosal cardiomotomy *Mem Acad Chir.* 1962;88:877-882.
51. Toupet A. Technique d'eosophago-gastoplastie avec phreno-gastropexie dans la cure radicales des hernies hiatales et comme complement de l'operation de Heller dans les cardiospasmes. *Mem Acad Chir.* 1963;89:394-399
52. Cusumano A., Bonavina L., Norberto L., Baessato M. et al. Early and long-term results of pneumatic dilation in the treatment of esophageal achalasia // surgical Endoscopy. – 1991. - Vol. 5, №1. – P. 9-10.
53. Draaisma W.A., Gooszen H.G., Tournoij E. et al. Controversies in paraesophageal hernia repair: a review of literature // Surgical endoscopy. – 2005. – Vol. 19, №10. – P. 1300-1308.
54. Eypasch E., Troidl H., Sommer H., Vestweber K.H. Long-term results of Troidl's technique of endoscopic pneumatic dilatation for achalasia of the esophagus. A prospective clinical trial // Surgical endoscopy. – 1987. – Vol. 1, №3. – P. 155-164.
55. Granderath F.A., Schweiger U.M., Kamolz T. et al. Dysphagia after laparoscopic antireflux surgery: a problem of hiatal closure more than a problem of the wrap // Surgical endoscopy. – 2005 – Vol. 21, №11. – P. 1439-1446.
56. Granderath F.A., Kamolz T., Schweiger U.M. et al. Long-term results of laparoscopic antireflux surgery. Surgical outcome and analysis of failure after 500 laparoscopic antireflux procedures // Surgical endoscopy. – 2002. – Vol.16, №5. – P. 753-757.
57. Graziano K., Teitelbaum D., McLean K. et al. recurrence after laparoscopic and open Nissen fundoplication. A comparison of the mechanisms of failure // Surgical endoscopy. – 2003. – Vol. 17, №5 . – P. 704-707.

58. Hahnloser d., Dchumacher M., Cavin R. et al. Risk factors for complications of laparoscopic Nissen fundoplication // *Surgical endoscopy*. – 2002. – Vol. 16, №1. – P. 43-47.
59. Hubbard N., Velanovich V. Endoscopic endoluminal radiofrequency ablation of Barrett's esophagus in patients with fundoplications // *Surgical endoscopy*. – 2007. – Vol. 21, №4. – P. 625-628.
60. Kaufman J.A., Houghland J.E., Quiroga E. et al. Long-term outcomes of laparoscopic antireflux surgery for GERD-related airway disorder // *Surgical endoscopy*. – 2006. – Vol. 20, №11. – P. 1284-1289.
61. Kaur B.G., Ouatu-Lascar R., Omary M.B. et al. Bile salts include blunt cell proliferation in Barrett's esophagus in an acid-dependent fashion // *American journal of physiology of gastrointestinal tract and liver*. – 2000. – Vol. 278, №10. – P. 1000-1009.
62. Khajanchee Y.S., Urbach D.R., Butler N. et al. Laparoscopic antireflux surgery in the elderly. Surgical outcome and effect on quality of life // *Surgical endoscopy*. – 2002. – Vol. 16, №1. – P. 25-30.
63. Lee E., Frisella M.M., Matthews B.D. et al. Evaluation of acellular human dermis reinforcement of the crural closure in patients with difficult hiatal hernias // *Surgical endoscopy*. – 2007. – Vol. 21, №4. – P. 641-645.
64. Lubezky N., Sagie B., Keidar A et al. Prosthetic mesh repair of large and recurrent diaphragmatic hernias // *Surgical endoscopy*. – 2007. – Vol. 21, №5 – P. 737-741.
65. Markus P.M., Horstmann O., Kley C., et al. Laparoscopic fundoplication. Is there a correlation between pH studies and the patient's quality of life? // *Surgical endoscopy*. – 2002. – Vol. 16, №1. – P. 48-53.
66. Martinez de Haro. L., Ortiz A. Parilla P., et al. Intestinal metaplasia in patients with columnar lined esophagus is associated with high levels of duodenogastroesophageal reflux // *Annals of surgery*. – 2001. – Vol. 233, №1. – P. 34-38.
67. Moayyedi P., Talley N.J. Gastro-esophageal reflux disease // *Lancet*. – 2006. – Vol. 367, №4. – P. 2086-2100.
68. Novitsky Y.W., Wong J., Kercher K.W. et al. Severely disordered esophageal peristalsis is not a contraindication to laparoscopic Nissen fundoplication // *Surgical endoscopy*. – 2007. – Vol. 21, №8. – P. 950-954.
69. Novitsky Y.W., Zawacki J.K., Irwin R.S. et al. Chronic cough due to gastroesophageal reflux disease. Efficacy of antireflux surgery // *Surgical endoscopy*. – 2002. – Vol. 16, №4. – P. 567-571.

70. Oelschlager B.K., Eubanks T.R., Oleynikov D., et al. Symptomatic and physiologic outcomes after operative treatment for extraesophageal reflux // *Surgical endoscopy*. – 2002. – Vol. 16, №6. – P. 1032-1036.
71. Ogut F., Ersin S., Engin E.Z. et al. The effect of laparoscopic Nissen fundoplication on laryngeal findings and voice quality // *Surgical endoscopy*. – 2007. Vol.21, №4. – P. 549-554.
72. Principles of surgery / Schwartz S.I., Shires G.T., Spencer F.C., Daly J.M. et al. – New York: Mc Graw-Hill, 1999. – 1611 p.
73. Report of the Research Committee on the Definition of Barrett's Esophagus – Paris, 1999. – 24 p.
74. Sivak M.V. *Gastroenterologic endoscopy*. – Philadelphia: WB Saunders, 2000. – P. 580-597.
75. Smith C.D., Bejarano P.A., Melvin W.S. et al. Endoscopic ablation of intestinal metaplasia containing high-grade dysplasia in esophagectomy patients using a balloon-based ablation system // *Surgical endoscopy*. – 2007. Vol. 21, №4. – P. 560-569.
76. Soper N.J., Dunnegan D. anatomic fundoplication failure after laparoscopic antireflux surgery // *Annals of surgery*. – 1999. – Vol. 229, №5. – P. 669-677.
77. Spechler S. Barrett's esophagus and cancer of the gastroesophageal junction // *Esophagus*. – 2005. – Vol. 2, №4. – P. 169-173.
78. Suarez J., MeanF., Boque R., Zaan V. Laparoscopic myotomy vs endoscopic dilation in the treatment of achalasia // *Surgical endoscopy*. – 2002. – Vol. 16, №1 – P. 75-77.
79. Vaezi M.E., Singh S., Richer J.E. et al. Role of acid and duodenogastric reflux in esophageal mucosal injury: a review of animal and human studies // *Gastroenterology*. – 1995. – Vol. 108, №12. – P. 1897-1907.
80. Zoring C., Strate U., Fibbe C., et al. Nissen versus Toupet laparoscopic fundoplication. A prospective randomized study of 200 patients with and without preoperative esophageal motility disorders // *Surgical endoscopy*. – 2002. – Vol. 16, №5. – 758-766.
81. Biertho L., Dallemagne B., Devandre J. – M et al. Laparoscopic treatment of Barret esophagus: Long Term Results // *Surgical Endoscopy*. – 2007. – Vol.21,#1 – p. 11-15.
82. Mattioli G., Bax K., Becmeur F. et al. European multicenter survey on the laparoscopic treatment of gastroesophageal reflux in patients aged less than 12 month with supraesophageal symptoms // *Surgical endoscopy*. -2005. – Vol. 19, #10. – P. 1309 – 1314.
83. Herbella F.A.M., Tedesco P., Nipomnick I. et al. Effect of partial and total laparoscopic fundoplication on esophageal body motility // *Surgical endoscopy*. – 2007. – Vol. 21, #2. – P. 285-288.

84. FykeFE, Code CF, Schiegel JF. The gastroesophageal sphincter in healthy beings. *Gastroenterologia*. 1956;86:135-150
85. Kramer P, Ingelfinger FJ, Atkinson M, The motility and pharmacology of the esophagus in cardiospasm. *Gastroenterologia*. 1956;86:174-178.
86. Dallemande B, Weerts IM, Jehaes C, Markiewica S, Lombard R. Laparoscopic Nissen fundoplication: Preliminary report. *Surg Laparosc Endosc*. 1991;1:138-143.
87. Matter S.G., Bowers S.P., Galloway K.D., et al. Long-term outcome of laparoscopic repair of paraesophageal hernia // *Surgical endoscopy*. – 2002. – Vol.-16, #5. – P. 745-748.
88. Grubnik V.V., Malinovsky V.A., Grubnik O.V. Laparoscopic treatment of achalasia // abstracts of 10th World Congress of Endoscopic Surgery. – 2006. – P.10.
89. Fernando H.C., Luketich J.D., ChristN.A. et al. Outcomes of laparoscopic Toupet compared to laparoscopic Nissen fundoplication // *Surgical endoscopy*. – 2002. – Vol. 16., # 6. – P. 905-908.
90. Velanovich V; The Development of the GERD –HRQL symptom severity instrument; *Dis Esophagus*. 2007;20(2):130-4
91. Visick, All. A study of the failures after gasrectomy. *Ann. R. Coll. Surg.*, 1984;3:266-84. 2.
92. V.V.Grubnik., A.V. Malinovskii., M.A.Kiladze., Sh.T. Giuashvili., Analysis of long-term results of 1500 laparoscopic anti-reflux procedures. Ukrainian journal of minimally invasive and endoscopic surgery (2010) Vol.14; 4: 28-31
93. Chernousov AF, et al. Esophageal Surgery: Monography. – Moscow Medicine 2000-352c.
94. Chernousov AF, Khorobrykh TV, Vetshev FP. reflux esophagitis in patients with short esophagus Khirurgia (Mosk.) 2008;(8): 24-31 Russian.
95. Chernousov AF, Korchak AM, Stepankin SN. Reoperation following Nissen fundoplication. *Langenbecks Arch Chir*. 1986;368(4):223-31. German.
96. Fuchs K.H. Conventional and minimally invasive surgical methods for gastroesophageal reflux. *Chirurg*. 2005 Apr;76(4):370-8. German.
97. Bais JE, Bartelsman JF, Bonjer HJ, et al. (2000) Laparoscopic or conventional Nissen fundoplication for gastroesophageal reflux disease: randomised clinical trial. The Netherlands Antireflux Surgery Study Group. *Lancet* 155: 170-174.
98. Ackroyd R, Watson DI, Majeed AW, et al. (2004) Randomised clinical trial of laparoscopic vs. open fundoplication for gastroesophageal reflux disease. *Br. J. Surg.* 91: 975-982.

99. Nilsson G, Larsson S, Johnsson F. Randomized clinical trial of laparoscopic versus openfundoplication: blind evaluation of recovery and discharge period. Br J Surg 2000; 87:873-878.
100. Heikkinen TJ, Haukipuro K, Bringman S, Ramel S, Sorasto A, Hulkko A. Comparison of laparoscopic and open Nissen fundoplication 2 years after operation. A prospective randomized trial. Surg Endosc 2000; 14:1019-1023.
101. Draaisma WA, Rijnhart-de Jong HG, Broeders IA, Smout AJ, Furnee EJ, Gooszen HG. Fiveyear subjective and objective results of laparoscopic and conventional Nissen fundoplication: a randomized trial. Ann Surg 2006; 244(1):34-41.
102. FienM, Bueter M, Thalheimer A, Pachmayr V, Fuchs KH. Ten -year outcome of laparoscopic antireflux surgery, J Gastrointest Surg. 2008 Nov.12(11): 1893-9. Epub 2008 Sep 3.
103. Hakanson BS, Thor KB, Thoreli A et al. Open versus laparoscopic partial posterior fundoplication. A prospective randomized trial. Surg Endosc. 2007 Feb, 21(2):289-98. Epub 2006 Nov 21.
104. Sandbu R, Khamis H, Gustavsson S, Haglund U. Long-term results of antireflux surgery indicate the need for a randomized clinical trial. Br J Surg. 2002 Feb;89(2):225-30.
105. Sandbu R, Khamis H, Gustavsson S, Haglund U. Laparoscopic antireflux surgery in routine hospital care. Scand J Gastroenterol. 2002 Feb;37(2):132-7.
106. Ruiz-Tovar J, Diez-Tabernilla M et al. Meta-Analysis of Randomized Clinical Trials Comparing Open and Laparoscopic Anti-Reflux Surgery // Am. J. Gastroenterol. 104, 1548-1561(2009).
107. Salminen P, Hurme S, Ovaska J et.al. Fifteen-year outcome of laparoscopic and open Nissen fundoplication // Ann Thorac Surg. 2012 Jun; 93(1): 228-33